

# ისტორიანი

ცასალები:  
ქართველთა  
ხვალი  
ათონის  
მთაზე

„კებოსი“  
ჰოლოველში

ბიორჩივესას  
შეასრული:  
იმპერიის  
„მფარველობა“

ფარისაობა –  
ესაკიდის  
მოთვინიერება

„მასივები“  
ქვედ  
საქართველოში

სპორტის  
ბეჭედონება  
აშშ-ში

კინალები  
ქართველ-  
ბექნელი  
ხელახლი  
კატებების  
ერთეულში

ქართველების ბიორჩივი ცალკე


ადა ადემონესკაბა

დილი მოურავი

14 თებერვალ

რიბნი XIII  
ფასი 3 ლარი

ნიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 6 ლარი



ქართული  
ოპერის  
„კუჩალი  
ერესები“

ალმორანა  
ესაკიდის  
კენობი  
ნესასები



6



8




10



11




17



32



37



53

## საჩივრი

<b>სახი 1 ახალი</b>	
მედინგაბის საგვარეულოს სეულებათა საიდუმლო	6
სტალინის არქივიდან აირვალზეანიანი გამოქვეყნება	7
<b>ორი 2 ახალი</b>	
ჯეგელიშვილი დაკარგული ქალაქი	8
<b>სახი 3 ახალი</b>	
„არღოცენისა და კავკასიის სახელისნაცვლებების ისტორიიდან“	10
„შეუზრანის მტევანი“	11
<b>კომორენა</b>	
ნაარვენია დონ ქრისტოფორი დე კასტელის ნამუშევრები	12
<b>კართვის ბეი</b>	
გეორგიევსკის ტრაქტატი: იმპერიის „მფარველობის“ ქვეშ	17

<b>კახოვი საბანები</b>	
უნიკალური ქართულ-ქარძული სელენიური პეტრობურგის	24
მუდავავა	—
<b>ბაქო</b>	
ლამიაკილაბორისთვის გიორგი დეკანოზიშვილი — დაბიჭყებული გმირი	32
<b>ცხრილი პრფესიები</b>	
მაიმართი ქველი საქართველოში	37
<b>მივიციანი სახელი</b>	
ძართული ლაპრის „პირველი მერცხალი“	42
<b>საკათედრო ცალელის საჭიროებები</b>	
306 მონათლა საქართველოს მომავალი კაიორდიმოს-კაშილიარი?	48
<b>პრიზენი — სამისახური</b>	
სპორტის გაბატონება ამონიქაში	53

98




74




57



90



105



64



81

## საჩიტო

ევფის მავილიაზი	90
გუგუკეტერები — კეთილგონაიღ გაზთა	
საადაპტო რაზმი... „თვითდაფინანსებით“ ..... 57	
კუთილი საკუნძული	98
ძარღული კავალი აორნის ფაილებ მოაზე .... 64	
ისტორის სიცოცხლეანი	105
აფლანტიდა — მითი თუ რეალობა? ..... 72	
ელი ევჰენის „შვილი“	
ახალგაზრდული ამბონი პოლიკური ..... 74	
ოქსარ არის ბაცეხა	111
კაცი პიტლერის უზრუნველყოფა ..... 81	
იუბილი	114
დიმიტრი უზნაემ — 125 ..... 88	
სასაფლომი სწორი გიხესისაბეჭები	
გაღამრები ..... 90	
სოფის ისტორია	
ზარიგარა — მახვილის მოთვიციერება ..... 98	
ცხოვრება	
თანაზი არჩევაში: თუ თავისუფალი	
არ ვარ, დაუმორჩილებელი პლეიბი ..... 105	
ეხეონი	
ცეკვა კომპილირებილი: შეინ ქვეყნის	
ტარსულის კარგად ცოდნა	
კატრიონტიზმი ..... 111	
„ისტორიანი“ ბავშვებისთვის	
500 ფაქტი ისტორიიდან ..... 114	
სკანდალი ..... 122	

## ჩერაქონის სვეტი

XVII საუკუნის დასავლეთი საქართველოს შესახებ წერილობითი წყაროები ძალიან მწირ ინფორმაციას იძლევიან. ამ ხარვეზს მეტ-ნაკლებად აქსებს უცხოური მასალები, რომელთა შორის დონ ქრისტოფორო დე კასტელის ნახატების ალბომი გამორჩეულია.

იტალიელი მისიონერი დე კასტელი, XVII საუკუნის პირველ ნახევარში, ლევან II დადაანის კარზე მოღვაწეობდა. მან უნიკალური ჩანახატების სერია შექმნა. თითოეულ ამ ნამუშევარს ახლავს მინაწერები, რომელებიც კიდევ უფრო განაგრცობენ ნახატებზე წარმოდგენილ სიუჟეტებს. ამ ნამუშევრების მთავარი დირსება ის არის, რომ შეიცავს ქართული სახელმწიფო ობიექტების და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების შესახებ მრავალ ისეთ მასალას, რაც სხვა წყაროებით ცნობილია არ არის.

კასტელის ნამუშევრები მდიდარია ჩვენი ქვეყნის წარსულის ამსახველი ჩანახატებით. მეტიც, არაერთ ქართველი ისტორიკოსს უცდია იმ პერიოდის საქართველოს ისტორიის აღდგენა სწორედ კასტელის მემკვიდრეობის საშუალებით.

ამ ჩანახატებში ცოცხლდება XVII საუკუნის იმერუთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი. მათი ხედები, ქალაქები, სოფლები, სასახლეები, ეკლესიები, გლეხთა კარ-მიდამოები... კურადღებას იქცევს საქართველოს მეუე-დედოფალთა, მთავრებისა და დასხვა პირთა პორტრეტები.

კასტელის ჩანახატების კოლექცია დაცულია პალერმოს არქივში.

იტალიაში გამოცემული ალბომი საქართველოში გასული საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოიტანეს და დაბეჭდეს კიდეც. თუმცადა აღმოჩნდა, რომ იგი არ შეიცავდა მისიონერის ნამუშევართა სრულ კოლექციას.

წინამდებარე ნომერში ჩვენ ამ ხარვეზს ნაწილობრივ გვჟებთ და მკითხეველს ექსკლუზიურად ვთავაზობთ კასტელის რამდენიმე უნიკალურ ჩანახატს, რომელებიც აღნიშნულ ალბომში არ მოხვედრილა. ამ ნახატებს შორის არის ლევან დადიანის დღემდე უცნობი პორტრეტი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს აღმოჩნდა ძვირფასი შენაძენია ქართული მეცნიერებისთვის.



მაგისტრული ექსპლუზიურად ვთავაზობთ კასტელის რამდენიმე უნიკალურ ჩანახატს, რომლებიც მის ცნობილ აღაღომში არ მოხვედრილა.

ისტორიულ-შემქრნებითი უურნალი  
„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი  
ჯაბა სამუშავა

რედაქტორი  
გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი  
ელენე სალარიძე

კომიუნიკაციული უზრუნველყოფა  
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:  
აღვეშანდრე ბოშიშვილი, ოქროპირ ჯიქური,  
ნინო ჯაფრიძე, დიმიტრი სილაქაძე,  
მიხეილ ბარნიგა, შოთა მათთაშვილი,  
კაბაძე გალინა, ნიკოლოზ ხოფერია

კორექტორები:  
ნანა გაჭავარიანი  
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, თისებიძის ქ. №49  
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება  
ტელ.: 238-78-07, 238-78-70

e-mail: [istoriani@palitra.ge](mailto:istoriani@palitra.ge)

უურნალი გამოდის თვეში ერთხელ

რედაქციის ნებართვის გარშემოსალის გაღამესდება აერმალულია

უურნალის გამოწერისთვის მიმართულ პრესისა და წიგნების გაურცელებას სააგენტოს „ელგა-ჯა“. ტელ.: 238-26-73, 238-28-74, 214-09-91

# მედიჩის საგვარეულოს სეულებათა სიძუღლო

მედიჩის იჯახის არასრულწლოვანი წევრების ნეშტის ანალიზმა გამოყლინა, რომ ისინი სასახლისეული ცხოვრების მკარი წესებისა და სპეციფიური კვების გამო რაქიტით იტანჯებოდნენ. ცხრა არასრულწლოვნის ნეშტს მეცნიერებმა 2004 წელს ფლორენციაში, მედიჩის სან ლორენცოს საგვარეულო ბაზილიკის იატაკის ფილების ქვეშ მიაკვლიერს. ჩონჩხების ზედაპირულმა დათვალიერებამ და პისტოლოგიურმა ანალიზმა დაადასტურა, რომ ცხრიდან ექვს მოზარდს რაქიტი და ფოროვანი ძვლის სიმრულის გამოკვეთილი სიმპტომები პქონდათ.

ოთანა ავსტრიელი გაუთან, ფილიპინოსთან ერთად. ჯვანი ბიზანტი, 1678 წ.

რაქიტით ახალშობილი მედიჩებიც იტანჯებოდნენ, იმის მიუხედავად, რომ დაბადებიდან პირველი ექვსი თვის განმავლობაში D ვიტამინის ისინი დედის რძესთან ერთად იღებდნენ. მეცნიერთა აზრით, ეს მიანიშნებს, რომ D ვიტამინის ნაკლებობას თვალი ზრდასრული მედიჩები და მათი ძიებიც განიცდიდნენ. რაქიტის მიზეზი კი ძლების არასაკმარისი მინერალიზაცია იყო.

როგორც ცნობილია, D ვიტამინი ადამიანის ორგანიზმში ულტრაიისტერი სხვების ზემოქმედებით გამომუშავდება. მას ასევე შე-



იცავს თევზის ქონი და კვერცხის ცილა, რმედა რძის ნაწარმი.

კვლევის ავტორთა განმარტებით, მედიჩების ორგანიზმში D ვიტამინის ნაკლებობას მატულში მუდმივი ცხოვრება იწვევდა და ის, რომ ჩატანის სტილის გამო შის სხვების ზემოქმედება აკლდათ. ერთ-ერთ მიზეზად ასევე სახელდება ძუძუთი ხანგრძლივი კვება ისე, რომ ახალშობილებს დამატებითი ცხოველური საკვები არ ეძლეოდათ. თავის ქალის დეფორმაციის ნაშენები მედიჩების ბაგშების პორტრეტებზეც შეინიშნება.

სიმბიოზის მიუხედავად, მედიჩები ჯანმრთელობით არც ჰქონების ტიტულის მიღებამდე გამოიჩინებოდნენ. მაგალითად, პიერო ლიკონიმოს გადაადგილება მხოლოდ სხვების დახმარებით შეეძლო. ბიოლოგების კვლევის საგანი ახლახან მედიჩების უკანასკნელი წარმომადგენლის, ანა მარია ლუიზას ნეშტი გახდა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ჰქონების სიტოდებულია [nature.com](http://nature.com)-ის მიხედვით



ფილიპინო მედიჩის  
თავის ქალა.  
გარდაცვალების  
მომენტში, 1582  
წელს, ვიდრე 5  
წლის გახდებოდა,  
მისი თავის ქალა  
დეფორმირებული  
იყო, რაზეც  
მიუთითებს ნაზი  
შუბლზე.

# სტალინის არქივი

## 300 ვერცხლის გამოცვალა

რუსეთის სახელმწიფო არქივმა ინტერნეტ-ში იმსჯებ სტალინის არქივი განათავსა. საიტზე „საბჭოთა კავშირის დოკუმენტები“ დაინტერნებულ პირთ შეუძლიათ იხილონ, „დიდი საბჭოთა ბეჭადის“ წერილები, სტატიები და სიტყვით გამოსვლისთვის გაკოუბული შენიშვნებიც კა. დღეს ახალ საიტზე ([sovdoc.rusarchives.ru](http://sovdoc.rusarchives.ru)) სტალინის ფონდიდან, ასევე კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს არქივიდან 400 ათასამდე გზებმდლარის ნახვაა შესაძლებელი. მათ შორის ფოტო, ფონო - და კინოდოკუმენტებისა.

ინტერნეტმობარებელს პირველად ეძღვა შესაძლებლობა, გაეცნოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს 300 ათასამდე დოკუმენტის ელექტრონულ ასლს, რომელიც 1919-1932 წლებს განეკუთხება და რუსეთის სახელმწიფო არქივის სოციალურ-პოლიტიკურ განყოფილებაში ინახბოდა. ასევე საბჭოთა ლიდერის, იოსებ სტალინის არქივს. მისი არქივიდან გამოქვენებული დოკუმენტების საერთო რაოდენობა 100 ათას ერთეულს აღმატება. მათზე სპეციალისტები თითქმის ხუთ წელიწადს მუშაობდნენ.

„სტალინის ფონდის“ განყოფილებაში, გარდა პირადი საბუფისა, არის საბჭოთა ლიდერის ბიოგრაფიული დოკუმენტები, წიგნები სტალინის ბიბლიოთეკიდან მის მიერვე გაკთუბული შენიშვნებით; მისალმების ტექსტი სტალინის 70 წლის თებერვალის დაკავშირებით წერილები და ტელეგრამები, რომელიც მისი ავადმყოფობისა და გარდაცვალების გამო გააგზავნეს კრემლში.

რუსეთის არქივის დირექტორი ანდრეი არტიზოვი, რომელმაც ამ თემაზე ინტერვიუ მისცა „რასიის სკაა გაზეტას“, ამბობს, რომ გადაწყვდა დოკუმენტებისა და არქივის გამოქვეყნების დაწყება საბჭოთა პერიოდიდან, რადგან ეს როგორ ხანა იყო. „აუცილებელია, ჩვენთან მოვაახლოოთ საბჭოთა ეპოქა, უფრო გასაგები გავხადოთ იყი, ნათლი მოვფინოთ, რა იყო მასში დირსეული, რით შეგვიძლია ვიამაჟოთ და რაზე უნდა თქვას უარი რუსეთმა“, — მიაჩნია ანდრეი არტიზოვს.

საიტზე სხვა საბჭოთა ლიდერების, მათ შორის ნიკიტა ხრუშჩოვის, ლეონიდ ბრეჟენ-



შენებან საქმეთ სახელმწიფო კომიტეტის მოხსენება სტალინის ქადაქ მოსკოვის უმნიშვნელოვანების აღმოჩენის დაცვის შესახებ. 1941 წლის 21 აგვისტო

გისა და ვიჩესლავ მოლოტოვის ფონდებიც განთავსდება. ავტორთა აზრით, პროექტის მიზანია, ფართო აუდიტორიისთვის ადვილად ხელმისაწვდომი გახდეს ის საყურადღებო და კომპლექსური დოკუმენტები, უმუალოდ პირველწერის მნიშვნელოვანი როლი აკისრიათ საბჭოების ისტორიისთვის.

რუსული მედია წერს, რომ სტალინის მმართველობის პერიოდი ყველაზე როგორი მონაკვეთია ერთანი ისტორიის ახალი სახელმძღვანელოს შედგენისთვის. კომისადმ, რომელიც საგანგებოდ ამ მიზნით შეიქმნა, შეიმუშავა რეკომენდაციები, სტალინის პიროვნება განიხილონ როგორც „ერთპარტიული დიქტატურისა და ერთპიროვნული მმართველობის“ ეპოქის ლიდერი, მაგრამ ისე, რომ რეპრესიები არ მოიხსენიოთ...

„ისტორიანი“





ანგკორ ვატში შემორჩენილია ქამერთა იმპერიის შემქნელის,  
ჯაიაურმან II-ის გამოსახულება, რომლის დროსაც მაჰენდრაპარვატა დაარსდა

## ჯუნბილი ლასახი წალაკი

ათასწლეულების განმავლობაში მონასტრები, არხები, გზები და სტატუები ჯუნგლების საბურვების მიღმა იყო დამარხული. დაკარგულ ქალაქებს კამბოჯის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონში, პნომ კულენის მთანეთში არქეოლოგებმა ახლახან მიაკვლიერეს. პნომ კულენის მთასა და მიმდებარე ტერიტორიას საუკუნეთა განმავლობაში წმინდა აღვილად მიიჩნევდნენ. განკურნებისთვის ადამიანები აქ დღესაც ჩამოდიან.

დაკარგული ქალაქი მაჰენდრაპარვატა სპეციალისტების ჯგუფმა, რომელსაც სიდნეის უნივერსიტეტის პროფესორი დემირ ევან-სი ხელმძღვანელობს, სწორედ მის სიახლოეს, ლაზერული აპარატურის საშუალებით აღმოჩინა. აპარატურა ვერტმფრუნს მიამაგრეს, რომელიც 800 მეტრის სიმაღლეზე აფრინდა. ის მეთოდურად სერავდა 370 კვადრატულ კილომეტრს კამბოჯის ჩრდილო-დასავლეთში და 5 ათასამეტ ციიურული აეროფოტო გადაიღო. მოპოვებული მასალებით, არა მხოლოდ გაუგალი ჯუნგლების მიღმა დარჩენილი ქალაქის დანახვა, არამედ მისი რუკის აღდგენაც მოხერხდა.

უძველესი ქალაქი, სახელად მაჰენდრაპარვატა დაახლოებით 1200 წლისაა. ის ქემერის იმპერიის ინდობუდისტური კულტურის ნაწილია, რომელიც ეჭვის საუკუნის განმავლობაში, 800-1400 წლებში მთელ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას მოიცავდა. ქალაქი 25 მილით არის დაშორებული სახელგანთქმულ ინდუსტრი, ანგკორ ვატის სამონასტრო კომპლექსს. ამასთან, მასზე დაახლოებით 350 წლით ძევლა.

სპეციალისტების ვარაუდით, მაჰენდრაპარვატა 802 წელს უნდა დაეპისტონათ, ჯაიაურმან II-ის დროს, რომელმაც ქამერთა იმპერია შექმნა. ის მთელ სამხრეთ-აღმოსავ-

ლუთ აზიას აკონტროლებდა. ძალით, დიდებით და მნიშვნელობით ეს ცივილიზაცია თავისუფლად შეგვიძლია შევადაროთ რომს. იმპერიის დედაქალაქი ანგკორი აგებულია უფრო მეტი ქათ, ვიდრე გვიპტის პირამიდები და იკავებს იმაზე მეტ ტერიტორიას, ვიდრე თანამედროვე პარიზი. ბეტიც, ამ ქალაქის მოსახლეობა, თავის დროშე მიღიონ კაცს შეადგენდა და მსოფლიოში პირველი აღგილი ეკავა.

ანგკორ ვატი კი ქალაქის მთავარი ნაგებობა და ლირსშესანიშნაობა გახლდათ ტაძრის აგებას დაახლოებით 30 წელიწადი დასჭირდა. სწორედ ეს ნაგებობა გამოსახული კამბოჯის დროშაზე, რადგან ანგკორი სწორედ ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზეა.

ქალაქმა ანგკორმა 600 წელიწადს იარსება და მერე ისე უეცრად გაქრა, როგორც გამოჩნდა. საუკუნების განმავლობაში ევროპისთვის ის მხოლოდ მითებისა და ზღაპრების

ნაწილი იყო, ვიდრე 1860 წელს ფრანგი ნატურალისტი ანრი მორო თავად არ წავია დიდებულ და მიტოვებულ ქალაქს. სწორედ მისი ჩანაწერებისა და ჩანახატების წყალობით გაჩნდა დიდი ინტერესიცა და ბევრი კითხვაც ანგკორის შესახებ: ვინ იყვნენ მისი მშენებლები, რომლებიც ადგილობრივ ენაზე ქმერუბად იწოდებოდნენ, ან რატომ მიატოვეს მათ ასეთი დიდებული ქალაქი?

ანგკორ ვატი დღეს იუნესკოს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა და იმპერიულად, მსოფლიოს ახალი შეიძიო საოცრების სიაშია.

რაც შექმნა მაპენდრაპარვტას, იმის გამო, რომ მიმდებარე ტერიტორიებზე 1970-ან წლებში მრავლადაა რაღიკალური კომუნისტური, წითელი ქმერების რეჟიმის დროიდან შემორჩენილი ნაღმები, ახლადმოჩენილი ქალაქის შესწავლა ჯერჯერობით ჭიანურდება.

**მომზადებულია History.com-ის მიხედვით**

ანგკორ ვატის კომპლექსი კამბოჯაში, რომლის მახლობლადაც მონასტრის ნანგრევებს მიაკვლიერება



## ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

**კალიტრა მელია გისმენი!**

დარეკალ: 219 60 13

მოგვცერეთ: [contact@palitra.ge](mailto:contact@palitra.ge)

ან: „კვირის კალიტრის“ („სიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით

# „კოლონისა და კავკასიის სამეცნიერო-კულტურული ისტორიიდან“

ქართულ-კოლონიური სამეცნიერო კონფერენცია ბლანკში

**2013 წლის 20-22 მაისს**  
**ჩრდილოეთ პოლონეთში**  
**მდებარე ქალაქ გდანსკის**  
**(ძველი დანციგი) სახელმწიფო**  
**უნივერსიტეტში გაიმართა III**  
**ქართულ-პოლონური**  
**საერთაშორისო სამეცნიერო**  
**კონფერენცია „პოლონეთისა და**  
**ქვეყნისას სამეცნიერო ისტორიის**  
**ისტორიიდან (XIX საუკუნეებიდან)**  
**კონფერენცია „მომზადება**  
**უნივერსიტეტის იურიდიულ**  
**ფაკულტეტთან არსებული**  
**პოლონეთის სახელმწიფოსა და**  
**სამართლის ისტორიის**  
**კათედრის (გამგე, პროფესორი**  
**დარიუშ შპოტერი)**  
**ინიციატივით და ორგანიზებით**



გდანსკის უნივერსიტეტი

ქართულ-პოლონურ ერთობლივ სამეცნიერო კონფერენციებს სამართლის ისტორიის საკითხებზე, საფუძველი ორი წლის წინათ ჩაეყარა. პირველი ასეთი კონფერენცია გაიმართა 2011 წლის 27-28 აპრილს, ხოლო მეორე — 2012 წლის 24-25 ფეხნის. მათი ორგანიზატორი იყო თვანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი.

რიგით მესამე ქართულ-პოლონურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობდნენ ცნობილი მეცნიერები, რომლებიც სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან როგორც პოლონეთის ქალაქების აუტორიტეტულ საწარმო-სამეცნიერო ცენტრებში (მათ შორის გდანსკისა და ოლშტინის უნივერსიტეტებში), ასევე თვანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ქართველ მეცნიერთა დელეგაციის (ხელმძღვანელი პროფესორი ირაკლი ჭურდული) შემადგენლობაში შედიოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფა-

კულტურულ არსებული სამართლის ისტორიის ინსტიტუტის პროფესორები: მარინა გარიშვილი, მარიამ ხოფერია, დავით ბოსტოლანაშვილი და პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის პროფესორები ჯაბა სამუშავია და ნიკო ჯავახიშვილი.

კონფერენციის მუშაობის დასრულების შემდეგ მისმა ორგანიზატორებმა სამეცნიერო ფორუმის მონაწილეებს ფრიად საინტერესო კულტურული პროგრამა წარუდგინეს. იგი მოიცავდა ექსკურსიებს როგორც ბალტიის ზღვაში შეკრილ ჰელის ნახევარკუნძულზე, სადაც პოლონეთის ამჟამინდელ ხელისუფლთა სამთავრობო აგარაკები მდებარეობს, ასევე ქალაქ მალბორგში (ძველი მარიენბურგი), სადაც შემორჩენილია ჯვაროსანთა ეპოქის შესანიშნავი ციხესიმაგრე და ქალაქ ფრონბრიკში, სადაც გარდაიცვალა და კათედრალურ ტაძარში განისვენებს სახელგანთქმული მეცნიერი, ასტრონომი, იურისტი, ეკონომისტი და ექიმი მიკოლაი კოპერნიკი (1473-1543 წელი).

„ისტორიანი“

## „მუკუჩინის მტევნი“

### ხისგან დაშადებული ხელის მტევნის გამოსახულება ეკლესიაში

საინტერესო აღმოჩენა გაკეთდა გურჯაანის რაიონში — სოფელ მუკუჩანში, ამაღლების სახელობის ეკლესიაში ხელის მტევნის გამოსახულებას მიაკვლიერა. მუშტად შეკრული ხელის მტევნი ხისგან არის გამოკვეთილი და XVI-XVII საუკუნეების ეკლესიის სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილში, ოთხი მეტრის სიმაღლეზეა ჩადუღაბებული.

სპეციალისტთა განცხადებით, ხელის მტევნის ამ ტიპის გამოსახულება საქართველოში სხვაგან არ შეუნიშნავთ. გურჯაანის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილების სპეციალისტ თამაზ მარკოზაშვილის თქმით, ამ ახალი აღმოჩენის შესახებ ინფორმაციას კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს უახლოეს ხანებში მიაწვდიან. „ხელის მტევნაზე ეკლესიის ინტერიერში, სამხრეთი კედლის აღმოსავლეთ ნაწილშია ჩადუღაბებული. ასეთი ხელის მტევნის გამოსახულება, ჩემი ინფორმაციით, საქართველოს არც ერთ ეკლესიაში არ გახვდება“, — აღნიშნავს თამაზ მარკოზაშვილი. მუშტად შეკრული მტევნის სიმბოლური დანიშნულება ამ ეტაპზე უცნობია.

მუკუჩანის ამაღლების ეკლესია დასახლებული პუნქტიდან 500 მეტრში მდებარეობს. XVI-XVII საუკუნეების ერთნავიანი ბაზილიკა აგურით არის ნაგები.

„ისტორიანი“



ხისგან გამოკვეთილი, მუშტად შეკრული ხელის მტევნი ტაძრის კედლებშია ჩადუღაბებული



მუკუჩანის ამაღლების სახელობის ეკლესია აახელის საინტერესო ცენტრის ფოტოები



**talizi**  
თბილი გადაცემის ცენტრი

ტარგათის 27. ტელ: 2141515

**WWW.TALIZI.GE**

ციკან  
გაერთიანებულ  
ცენტრულ  
კომისია



ნაკოვნია დონ ერისტოფორო  
და კასტელის ნამუშევრები

ცოტა ხნის წინ საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში ერთმა კერძო პირმა გასაყიდად მოიტანა ცნობილი ოტალიელი მისიონერის, არქანჯელო ლამბერტის „კოლხთის აღწერა“. წიგნი 1654 წელს ხეაპოლშია გამოცემული და თავისთვად, სამუშეუმო ინტერესის საგანს წარმოადგენს. თუმცა კვლაშე მნიშვნელოვანი წიგნის ბოლოსაა მოთავსებული — შეიდი დიდი და საშუალო ზომის მინიატურა XVII საუკუნის სამეცნიეროს შესახებ. მინიატურების ხატვის მანერითან გამომდინარე, ცხადი იყო და ამას გამყიდველიც ადასტურებდა, რომ ისინი მეორე ცნობილ იტალიელ მისიონერს, დონ ქრისტოფორო დე კასტელის ეკუთვნოდა.

წიგნშე დართული ილუსტრაციების ხელ-წერა, მასალა და თემატიკა ზუსტად პასუხობს იტალიელი მეცნიერის ამატ დი სან ფილიპოს მოსაზრებას კასტელის შემოქმედების შესახებ: „კასტელი ახერხებდა თავისი აზრების კალმით გამოოქმას, მით უმეტეს, როცა შეუფერადებლად, უშუალოდ ნატურიდან ხატავდა, რაშიც ერთგვარად დახელოვნებულიც იყო, მაგრამ აჭარბებდა თავის შესაძლებლობათა შეფასებაში, როცა თავისუფალ კომპოზიციებს ასრულებდა. მაგალითად: სარწმუნოებრივი სცენების თემებზე, სადაც აშკარა ფანტაზიერებას, გადაჭარბებულ სტილიზებასა და რანამენტაციას მიმართავდა. საერთოდ კი ის ჩვე-

ულებრივ, ფანქრით ხატავდა და შემდეგ კალმით ასწორებდა“. ეს უკანასკნელი კარგადაა შესამჩნევი სამეცნიეროს მთავრობის სასახლის ილუსტრაციაში, სადაც კალმით შექმნილი კონსტრუქციებისა და ფაგურების ქვეშ აშკარად მოჩანს ფანქრით გამოყვანილი კონტურები.

წიგნშე თანდართული ილუსტრაციები სამ თემად შეიძლება დაიყოს: სამეცნიეროს ეთნოგრაფია, ისტორიული გეოგრაფია და ისტორიული პირები. ეთნოგრაფიას ხუთი, გეოგრაფიასა და ისტორიულ პირს კი თითო-თითო ილუსტრაცია ეძღვნება.

შევცდებით ილუსტრაციები თანამიმდვი-

„მეგრელი გლეხი და მეგრელი გლეხის ქლი“





რობით აღვწეროთ ეთნოგრაფიული ჩანახატების სიმრავლეში თემის მრავალფეროვნებაც განაპირობა, შეუძინად გადაკეცილ დაზურცელზე ორი ფიგურაა გამოსახული წარწერებით: მეგრული გლეხი (Contadino Mengrelli) და მეგრული გლეხის ქალი (Contadina Mengrella). ამ უკანასკნელის უფრო დახვეწილი ვერსია ცნობილია. იგი შეტანილია ბეჭან გიორგაძის გამოცემულ დონ ქრისტოფორო დე კასტელის ალბომში 156-ე მინიატურად და როგორც ჩანს, ჩვენს ხელთ არსებული ნამუშევარი პირველადი გრაფიკული ჩანახატია. იგი კასტელმა მოგვიანებით ალბათ უფრო სრულყო და ძირითად ალბომში შეიტანა კიდეც.

მეგრული გლეხის მინიატურა კი დღემდე უცნობი იყო. იგი არ მოხვედრილა არც ქართულ გამოცემაში და არც 1987 წელს პოზერში, პალერმოს მუნიციპალიტეტის დაბეჭდილ ფერად ალბომში. ეს გვაფიქრებინებს, რომ მინიატურა მხოლოდ ამ ვეზემპლარითაა შემორჩენილი. ნახატზე მეგრული გლეხი შესვენების დროსაა გამოსახული. მას სვანური ტიპის წაგრძელებული ქუდი ხურავს, წელზე ფართო ქამარი შემოურტყამს და თოხს დაყრდნობაია.

მესამე იღუსტრაციაზე მეგრული თავადია (წარწერით Baron Mengrello). იგი მთელი ტანითა გამოსახული, მდიდრული მოსახამი და ქუდი მოსახს, ხელში თასი უკავია. მთელი ფიგურა ფრესკული მხატვრობისთვის დამახასიათებელ სტილშია გადმოცემული და უფრო ქტიოტოს მოგვაგონებს.

მეოთხე იღუსტრაციაზე ლოცვა გამოსახული (წარწერით Prece Megrello). აქ სამღვდელო პირი მოჩანს. იგი დაკეტილი კარის წინ, რომელიც სავარაუდოდ, ეკლესიისა უნდა იყოს, ფეხშიშველი დგას და ხელთ გრავილი უყრია. მღვდლის წინ ანთბული სანთელი და სხვადასხვა საეკლესიო ჭურჭელია. ჩვენი აზრით, ამ ჩანახატზე საეკლესიო მსახურების ის მომენტია გადმოცემული, რომელიც თითქმის ერთნაირი სიზუსტით აღწერეს დონ ქრისტოფორო დე კასტელიმ, არქანჯელო ლამბერტიმ და დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელმა. კერძოდ, წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი დღესასწაული, რომელიც კასტელისვე

იღუსტრაციაზე, სადაც ლოცვა გამოსახული, სამღვდელო პირი მოჩანს



ცნობით, 21 ნოემბერს იღორში იმართებოდა. ამ დღეს კელების კარს სამეგრელოს მთავარი საგანგებოდ დუქავდა. მეტელთა ოწმენით, ტაძარში, დაკეტილ კარს მიღმა, წმინდა გიორგის ხარი სასწაულებრივად უნდა შეევანა.


მქონე იღუსტრაციას მარცხნა ზედა კუთხეზე იტალიურად აწერია: „ზემოხსენებული სამეგრელოს პრინცის სასახლე ზუგდიდში“ (Palazzo del Principe di Mingrellia nominato Zugdidi). ეს გრაფიკული ჩანახატი ძვირფასი წყაროა ზუგდიდის სასახლეთა ისტორიისთვის. მართალია, კასტელის ერთი იღუსტრაცია დადიანების რეზიდენციის შესახებ უკვე იყო ცნობილი და ის ქართულ გამოცემაში 445-ე მინიატურად შევიდა, მაგრამ ჩვენს ხელთ არსებული ნახატისგან განსხვავებით, გამოქვეყნებულია მხოლოდ მსხვილი ხედი კომპლექსის ერთი ნაწილისა. ჩვენს იღუსტრაციაზე კი მთელი ანსამბლია წარმოდგენილი. აქ კარგად მოჩანს როგორც

მთავრის სასახლე, ისე ცალკეული სამეურნეო დანიშნულების დამხმარე ნაგებობა.

როგორც აღვნიშნეთ, წიგნს ერთი გეოგრაფიული, უფრო სწორად კი კარტოგრაფიული ნამუშევარი ერთვის. ეს არის სამეგრელოს რუკა, რომელიც კასტელის შეუდგენია და დღემდე უცნობი იყო. პირველადმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ რუკა თითქმის ზუსტად იმეორებს ლამბერტის იმავე ხასათის ნამუშევარს, რომელიც 1938 წელს აღექმანდრე ჰყონიას თარგმანთან ერთად გამოიცა.

წერილის დასასრულს განსაკუთრებული ყურადღება გვინდა გაფამახვილოთ ერთ შესანიშნავ პორტრეტზე, რომელიც, წარწერის მიხედვით, სამეგრელოს სახელოვან მთავარს ლევან მეორე (1611-1657) დადიანს ეკუთვნის (წარწერით Levan Dadian Prince De la Colchide). ქრისტოფორო კასტელიმ ლევანის ორი პორტრეტი შემოგვინახა: ერთზე მთავარი საზეიმო ტანსაცმელში მთელი ტანითა გამოსახული, თავს გვირგვინი ზურავს და ხელში

„სამეგრელოს პრინცის სასახლე ზუგდიდში“



ტაძრის მოდელი უკავია. ჩვენი აზრით, ეს ფიგურა წალენჯიხის ტაძრის ლეგანისეულ საქტიტორო გამოსახულებას ზუსტად იმეორებს და სავარაუდოდ, იქიდან უნდა იყოს გადმოხსატული. მეორე ნამუშევარზე ლევანის ფიგურაა გადმოცემული წელსზემოთ. იგი პროფილშია დახატული. მართალია, მთავრის სახის თავისებურები და ხასიათიც კი განსაკუთრებული ოსტატობითაა გადმოცემული, მაგრამ ლევანი აქ უკვე საკმაოდ ხანძი შესული ჩანს.

დღემდე უცნობ ნამუშევარზე კი სამეგრელოს მთავარი ახალგაზრდობის წლებშია აღბეჭდილი. პორტურეტი კერობული შხატვრობის საუკეთესო ეპოქაშია შექმნილი, ლევანის ფიგურა იმპოზანტურია, ის მდიდრულ სამოსელშია გამოწყობილი, თავზე უხვბეჭვიანი სპარსული ყაიდის ქუდი ახურავს, ტანს კი ასეთივე მდიდრული, ბეჭვით გაფორმებული მოსახამი უმშვენებს. ლევანის სახე მკაცრი და


მშვიდია. მას მეტყველი თვალები, სწორი ცხვირი და გრძელი ულვაში აქვს, მარჯვენა ყურზე კი მასიური საყურე მოუჩანს. ამ პორტურეტის დანახვისთანავე ძალაუნებურად კასტელის შემდეგი სიტყვები განსენდება: „მთავარი ლევან დადიანი, ყველა ომში უძლვეველი, გამარჯვებული მხედარი, სამეგრელოს მეფე, ჩვენი დროის მეორე პანიბალია“.

დონ ქრისტოფორო დე კასტელის ახალაღმოჩენილი ლევან II დადიანის პორტრეტი ფსდაუდებელ წყაროს წარმოადგენს. იგი დასვლეთ საქართველოს ყელაზე სახელოგანი მთავრის მოღვაწეობის იმ წლებს ასახავს, რომლის იღუსტრაციაც ქარისულ ისტორიოგრაფიას დღემდე არ გააჩნდა.

### **გიორგი კალანდია,**

**საქართველოს თეატრის, მუსიკის,  
კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო  
მუზეუმის დირექტორი, ისტორიის  
მეცნიერებათა დოქტორი**

სამეგრელოს რუპა, შედგენილი დონ ქრისტოფორო დე კასტელის მიერ





ბეორბიცხვანის ტრაქტაზი:

## იმპერიის „მფარველობის“ ქვემა

ქალაქი გეორგიევსკი — შენობა, სადაც ტრაქტაზი ხელი მოქმერა და მემორიალური დაფა

### რუსეთის იმპერია ხელშეკრულების პირობების შესრულებას თავიდანვე არ აპირებდა

გეორგიევსკის ტრაქტაზი (1783 წ.)  
წერილი მეორე

ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიის ხელშეკრულება (გეორგიევსკის ტრაქტაზი) მომზადდა და დაიდო იმსანად მოქმედი საერთაშორისო ხორმების სრული დაცვით

რუსეთის იმპერიის მფარველობაში ქართლ-კახეთის სამეფოს მიღების საკითხი ეკატერინე II-ის წინაშე ერეკლე II-მ ოფიციალურად 1772 წელს წამოჭრა.

1771 წლის 30 დეკემბერს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო. ამ დღეს მეფემ თბილისში ხელი მოაწერა რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ისთვის გასაგზავნ დოკუმენტს — ხელშეკრულების პროექტს, რომლის მიხედვითაც, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლას ითხოვდა. ქართლ-კახეთის სამეფო, მფარველობაში შესვლისას, სხვა პირობებთან ერთად, უმაღლესი საერთ

და საეკლესიო ხელისუფლების „უცვალებელად“ და „მოუშლელად“ შენარჩუნებას მოითხოვდა. სამეფო ხელისუფლების თაობაზე ხელშეკრულების პროექტში გვითხულობთ: „ეულად ვითაც ძევლად ყოფილა ჩვენის ჩამომავლობის მეფობა, ვითხოვთ ოქვენისა დიდებულების მოწყალებისა გამო, გრძელვე საუკუნოდ უცვალებლად ეგოს...“ — ასე თარგმნებს ხელშეკრულების პროექტის ეს ადგილი პეტერბურგში. ასევე მკაფიო და საესებით ნათელი იყო ერეკლე II-ის თხოვნა უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების შენარჩუნების თაობაზე: „მსგავსადვე კათოლიკოზიცა წესსავე თვისსა ეგოს მოუშლელად“. როგორც ვწედავთ, ქართლ-კახეთის მეფე ითხოვდა ბაგრატიონთა დინასტიით სათავეში სამეფო ხელისუფლების უცვლელად შენარჩუნებას, ასევე სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის



რუსეთის მხრიდან ტრაქტატს ხელი მოაწერუს გრიგოლ პოტიოძემა (ზემოთ) და პოლკოვნიკმა გასილი ტამარაშ, ხოლო ქართველი მხრიდან — გარსევან ჭავჭაძემ (ქვემოთ) და თანე მუხრანბატონმა



უმაღლესი იერარქის — კაოლიკოს-პატრიარქის თავის უფლებებში უცვლელად დატოვებას.

რუსეთის მფარველობაში შესვლის პირობად ერეკლე II ასევე აყენებდა: 1. ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვის მიზნით, რუსთა ოთხიათასიანი კორპუსის გამოგზავნას; 2. ყირიმის სახანოს ტერიტორიაზე ოსმალთა ტყვეობის-გან თავდახსნილ ქართველთა საშობლოში თავისუფლად დაბრუნების უზრუნველყოფას; 3. ქართლ-კახეთის ჯარის შესანახვად რუსეთის იმპერიის ხაზინიდან სესხის მიცემას; 4. რუსეთ-ოსმალეთის ომის (იგულისხმება იმსანად მიმდინარე 1768-1774 წლების ომი) დამთავრების შემდეგ ზავის დადებისას „ახალციხის ქვეყანა“ (ე.ი. სამცხე-საათაბაგო) არ უნდა დარჩენილიყო ოსმალეთის შემადგენლობაში, „ვინაიდგან საქართველოს მიწა არის და ქართული ენა აქუთ და მრავალნი ქრისტიანები არიან იმათში, და სხუანიცა ახალი გარდაქცეულნი არიან მაპმადიანობაზედ“.

1772 წლის 6 იანვარს, ანუ ხელშეკრულების პროექტზე ხელმოწერიდან ერთი კვირის შემდეგ, მცხეთაში ხელი მოეწერა მეორე დოკუმენტს — ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობას რუსეთის იმპერატორისადმი. ხელშეკრულების პროექტისგან განსხვავებით, რომელსაც ხელს შეოლოდ ერეკლე II აწერდა, სამეფო სახლის პირობას ხელს აწერდნენ: მეფე ერეკლე II, დედოფალი დარეჯანი, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I, ბატონიშვილები: გიორგი, ლევანი, იულინი და ვაჟანგი. ქართლ-კახეთის სამეფო სახლი პირობას დებდა, რომ რუსეთის იმპერატორის მფარველობაზე უარს არასოდეს იტყოდა, რის თაობაზეც ფიც დებდა: „ეს ყოვლად ძლიერსა დამერთსა და ცხოველმყოფელსა ჯვარსა და წმინდასა სახარებასა ზედა ფიცით დამიმტკიცებდა და თვით ხელითა ჩემთა დამიწერია და გრეთვე სახლეულთა ჩემთა ხელმოწერით და დაბეჭდვით მტკიცე მიყოფა“.

ხელშეკრულების პროექტი ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესვლის თაობაზე (1771 წლის 30 დეკემბერი) და ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობა რუსეთის იმპერატორს (1772 წლის 6 იანვარი) პეტერბურგში 1772 წელს ჩაუტანეს კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა და ლევან ბატონიშვილმა. რუსეთის საიმპერატორო

კარტე დიდხანს იფუქრეს ერკლე II-ისა და სოლომონ I-ის თხოვნაშე.

1782 წლის მიწურულსა და 1783 წლის დამდებარებელი (ზუსტი თარიღი უცნობია) ეკატერინე II-ის მდივანმა (1775 წლიდან) და იმპერიის საგარეო-პოლიტიკური უწყების ფაქტობრივმა ხელმძღვანელმა (1783 წლიდან) ალექსანდრ ბეზბოროდგომ კავკასიის ხაზის უფროს გრიგოლ პოტიომპინს წერილობით აცნობა ეკატერინე II-ის აზრი ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებთან დასადები ხელშეკრულებების (ტრაქტატის) თაობაზე.

1783 წლის 24 ოქტომბერის ჩრდილოეთ კავკასიის რუსულ სიმაგრე გეორგიევსკში დაიდო ტრაქტატი (ხელშეკრულება) რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის. პრეამბულის მიხედვით ტრაქტატი იყო „მეგობრობითი ხელშეკრულება“, ქართლ-კახეთის სამეფო ცნობდა რუსეთის იმპერატორის „უმაღლეს ხელისუფლებასა და მფარველობას“.

გეორგიევსკის ტრაქტატის პირველი მუხლის მიხედვით ერკლე II მისი და მემკვიდრეების სახელით სახემომად აცხადებდა, რომ ამიერიდან სამუდამოდ უარს ამბობდა ეცნო ირანის ან რომელიმე სხვა ქვეყნის ხელმწიფის უზენაესი ხელისუფლება და მფარველობა, გარდა რუსეთის იმპერატორისა და მისი მემკვიდრეებისა: „ვითარმედ არა შერაცხს იგი თვის ზედა და მენაცულეთა თვისთა ზედა სხუასა თვითმშერობელთა თვინიერ უზენაესისა ხელმწიფებისა და მფარულობისა მისისა იმპერატორების დიდებულებისა და მაღალთა მისთა მემკვიდრეთა და მენაცულეთა საიმპერატოროისა ტახტისა“.

ტრაქტატში არ ასახულა ეკატერინე II-ის კატეგორიული მოთხოვნა ავსტრიის იმპერატორთან და სხვა ქრისტიან ხელმწიფებთან ქართლ-კახეთის სამეფოს მხრიდან ურთიერთობის გაწყვეტის თაობაზე. როგორც ჩანს, საბოლოოდ ეკატერინე II მოერიდა ასეთი მოთხოვნის ხელშეკრულებაში შეტანას, რადგან ქრისტიან ხელმწიფებთან ამგვარი დამოკიდებულება უზერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდა რუსეთის საიმპერატორო კარს.

ტრაქტატის მეორე მუხლში აღნიშნულია, რომ რუსეთის იმპერატორი მისი და მემკვიდრეების სახელით პირობილი დაცუასა ზედა აწინდელთა სამფლობელოთა მისისა უგანათლებულებობისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვითისათვის“.

ფოსტვის და ქვეყნის ტერიტორია დაეცვა გარეშე მტრებისგან: „დიდებულება მისი აძლევს იმპერატორებისა თუს-ძებობასა თვისთა მრთლად (და დაუკლებლად) დაცუასა ზედა აწინდელთა სამფლობელოთა მისისა უგანათლებულებობისა მეფისა ირაკლი თეიმურაზოვითისათვის“.

ტრაქტატის მესამე მუხლი ადასტურებდა, რომ რუსეთის მფარველობაში შესულ ქართლ-კახეთის სამეფოში შენარჩუნებული იქნებოდა ერეკლე II-ისა და მისი მემკვიდრეების მეფობა. ახალი მეფის ტახტზე ასვლას სამეფო ნიშნების (ინვესტიტურის) გამოგზავნით ადასტურებდა რუსეთის იმპერატორი: „სიენებულნი იგი მეფები ოდეს-იგი მიიწვიან მემკვიდრეობით სამეფოსა ზედა მათსა, მსწრაფლ აუწყებდენ ამისთვის კარსა საიმპერატოროსა რუსეთისასა და ითხოვდნ დესპანთა თვისთა მიერ სამეფოსა ზედა თვისთა იმპერატორებისა დამტკიცებასა ინვესტიტურისა წერილით“.

ტრაქტატი არ ეწებოდა ერკლე II-ის უფლებას ქვეშეკრდობებზე, ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობას, ქართული სამართლისა და სასამართლო სისტემას, ზომა-წონის ერთეულებს, ჯარის ორგანიზაციას და სხვ. ქართლ-კახეთის მეფის ქვეშეკრდომი არ ხდებოდა რუსეთის იმპერიის ქვეშვერდომი. ტრაქ-

#### კათოლიკოსი ანტონ I





### გეორგიევსკის ტრაქტატის დედანი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

ტატის მეექვსე მუხლში აღნიშნულია, რომ რუსეთის იმპერატორი: „შინაგანსა ხელმწიფებისა და მმართველობისა თანა შეუძლვილსა მსჯავრსა და სამართალსა და შეკრებასა მისაცემელისა ხარკისა დაანებეს მისსა უგანათლებულესობასა მეფესა სრულსა შინა ნებასა“. რუსეთის იმპერატორი ასევე ვალდებულებას იღებდა, რომ მისი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეები არ ჩაერეოდნენ ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში. ამ თავალსაზრისით საინტერესოა ასევე ტრაქტატის მეშვიდე მუხლი. ქართლ-კახეთის მეფეს მოხელის თანამდებობაზე დანიშნისას უნდა გაეთვალისწინებინა კანდიდატის დამსახურებაში ასევე ტრაქტატის მეშვიდე მუხლი: „რათა უსაკუთრესად აჩუქონსმცა უდიდესობაი მსახურებისთვის რუსეთის იმპერიისა“ ცხადია, ამ მოთხოვნის ტრაქტატში შეტანა პოლიტიკური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი. რუსეთის საიმპერატორო კარზე კარგად უწყობდნენ, რომ ერეკლე II-ის ქვეშვერდომთა (თავადთა და აზნაურთა) შორის ყვე-

ლა პრორუსული ორიენტაციისა არ იყო. ტრაქტატის მეშვიდე მუხლი რუსეთის საიმპერატორო კარს გარანტიას აძლევდა, რომ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე არ დაწინაურდებოდნენ პრორუსული ორიენტაციის მოწინააღმდეგენი. მეშვიდე მუხლი, ცხადია, ზღუდვადა ქართლ-კახეთის მეფის სუვერენულ უფლებებს.

გეორგიევსკის ტრაქტატში ვერ აისახა ერეკლე II-ის მიერ შემუშვებულ ხელშეკრულების პროექტში (1771 წლის 30 დეკემბერი) შეტანილი მოთხოვნა კათოლიკოს-პატრიარქის უფლებათა უცვლელად („მოუშლელად“) დატოვების თაობაზე. ტრაქტატის მერვე მუხლი, რომელიც ქართლ-კახეთის ეკლესიასა და კათოლიკოს-პატრიარქს ქვება, თითქმის მთლიანად აღექსანდრ ბეზბოროდკოს მოსაზრების მიხედვით ჩამოყალიბდა. მცხეთის უძველესი საპატრიარქო ტახტის მპერობელი, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I ხდებოდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდესი სი-

ნოდის წევრი და სინოდის წევრ მღვდელმთა-  
ვართა შორის იკავებდა მერვე ადგილს ტო-  
ბოლსკის არქიეპისკოპოსის შემდეგ. მერვე  
მუხლში ვკითხულობთ: „ინებებს მისი იგი დი-  
დებულებაი, ვითარმედ კათოლიკოზსა ანუ უმ-  
თავრესა არქიეპისკოპოსა მათსა, რათა აქუნ-  
დეს ადგილი რიცხუთა შორის რუსეთისა  
მღვდელთ-მთავართასა მერუეს შინა ხარისხ-  
სა, ესე იგი არის შემდგომად ტობოლსკისა“.  
1700 წლიდან 1917 წლამდე რუსეთის ეკლესი-  
ას პატრიარქი არ ჰყავდა, სინოდის წევრები  
მხოლოდ მღვდელმთავრები (ეპისკოპოსები,  
არქიეპისკოპოსები, მიტროპოლიტები) იყვნენ.  
იმხანად, ანტონ I-ის რანგის საეკლესიო  
იერარქი რუსეთს არ ჰყოლია. უძველესი აფ-  
ტორეფალიური ეკლესის საჭეომპერობელი  
სინოდის წევრებს — რიგით მღვდელმთავრებს  
გაუტოლეს. ამასთან, შვიდი მღვდელმთავა-  
რი სინოდში ანტონ I-ზე დიდი პატივით სარ-  
გებლობდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ შეიღა-  
სა კათოლიკოს-პატრიარქის ლირსება. რუსე-  
თის საიმპერატორო კარზე კარგად უწყოდ-  
ნენ, რომ საქმე პქრნდათ უძველეს სამოციქუ-  
ლო მართლმადიდებელ ეკლესიასთან და მის  
საჭეომპერობელთან. ამიტომ იყო, რომ მერ-  
ვე მუხლის ძალით, ორი ქვეყნის ეკლესიათა  
შორის ურთიერთობა უნდა გარკვეულიყო  
ცალკე ხელშეკრულებით: „ამისთვის უკუკე  
იწერების სხუა არტიკული“.

ტრაქტატის ძირითად ტექსტთან (პრემბუ-  
ლა და ცამეტი მუხლი) ერთად დამოუკიდებელ  
დოკუმენტად გაფორმდა (ცალკე მოქარი ხე-  
ლი) საიდუმლო მუხლებს (ოთხ მუხლს) ანუ,  
„სეპარატურისა არტიკულებს“. აღსანიშნავია,  
რომ პირველ სეპარატულ (ცალკე) ანუ საი-  
დუმლო მუხლში აისახა ეკატერინე II-ის  
მოთხოვნა. ერეკლე II მეგობრულ ურთიერთო-  
ბაში უნდა დარჩენილიყო სოლომონ I-თან, ხო-  
ლო მევებს შორის უთანხმოების წარმოშო-  
ბის შემთხვევაში, არბიტრის როლს შეასრუ-  
ლებდა რუსეთის იმპერატორი, რომლის გა-  
დაწყვეტილებასაც ერეკლე II უნდა დამორჩი-  
ლებოდა: „შე და შემდგომად შერაცხს მისისა  
იმპერატორებისა დიდებულებასა სრულიად მე-  
შუამავლედ და განაგდებს მისისა მიერ უზენა-  
ესისა განჩინებისა ანუ განჩენისა ვერ გულის-  
ხმის-საყოფულთა შფოთთა შორის ორთა ამათ  
მფლობელთა უფროს ყოვლისა მოლოდებისა

გამოსრულთა“. ცხადია, პირველი სეპარატუ-  
ლი მუხლი ლახავდა როგორც ერეკლე II-ის,  
ისე სოლომონ I-ის სუვერენულ უფლებებს და  
ამავე დროს რუსეთის საშუალებას აძლევდა,  
ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების  
ურთიერთობაში ჩარეულიყო. მეორე სეპარა-  
ტული მუხლი გაუწყებს: „დაცვისთვის სამფ-  
ლობელისა ქართლისა და კახეთისა ყოვლით  
კერძო შეხებისაგან მეზობელთასა და სიმტკი-  
ცისთვის მხედრობისა მისისა უგანათლებულე-  
სობისა მეფისა, დიდებულება იმპერატორები-  
სა მისისა აღუთქვამს შესახუად სამფლობე-  
ლოთა შინა მეფისათა ორსა სრულსა ბატალი-  
ონსა ქუეითსა თოხითა ზარბაზნითა“. მესამე  
სეპარატული მუხლის ძალით რუსეთი ვალდე-  
ბული იყო, რომ შემთხვევაში დამატებითი დახ-  
მარება აღმოჩნდა ქართლ-კახეთის სამეფოს-  
თვის და მისი მტერი ორივე ქვეყნის მტრად შე-  
ერაცხა: „დასდუას ჰაზრი შეწევნისთვის  
თქმულთა მათ ქუეყანათა და წინ-აღდგომისა  
მტერთასა მოქმედებისთვის, რომელიცა არა  
სხუებრ, არამედ ვითარცა საერთოდ მტრად შე-  
რაცხუად სათანადო არს“. მეორე სეპარატუ-  
ლი მუხლი რუსეთის აკალდებულებდა რომის შემ-  
თხვევაში (იგულისხმებოდა ომები ირანთან და  
ოსმალეთთან) ქართლ-კახეთის სამეფოს დახ-

## მუხლები II





გეორგიევსკის ტრაქტატის მემორიალი  
ქ. გეორგიევსკში

მარებოდა იარაღით. ამასთანავე, საზაფო მოლაპარაკებისას უნდა ეცადა, ქართლ-კახეთის სამეფოსთვის დაეპრონებინა წინათ მტერთაგან წართმეული ტერიტორიები: „რათა დროსა ბრძოლისასა იხმაროს ცა ყოველი შემძლებლობაი მცადიონბისა ღონითა საჭურუელისათა, ხოლო დროსა შშვიდობისასა დაზავებისა მიერ უქმო-ქცევისთვის ქუჯანასა და ადგილთა მტერთაგან ქონებულთა და ძუელადვე სამეფოისა მიმართ ქართლისა და კახეთისა შერაცხილთა, ესენი უკუ დაშობებინ სამფლობელოდ მუნებურთა მეფეთა“.

გეორგიევსკის ტრაქტატიან ერთად ასევე ცალკე, დამოუკიდებულ ღოკუმენტად გაფორმდა ფიცის ნიმუში (სახე), რომელიც ერკლე II-ს უნდა მიეღო ტრაქტატის რატიფიკაციის შემდეგ. ღოკუმენტი იწყება ასე: „სახე, რომლისაგრძ უგანათლებულებია მისა მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი თემურაზოვიჩი ჰყოფს ფიცითსა აღთქმასა ერთგულებასა ზედა მისისა იმპერატორების დიდებულებისასა თვითმპრობელისა ყოვლისა რუსეთისასა და აღსარებასა

მფარუელობისა და უზენაესისა ხელმწიფებისა იმპერატორთასა მეფეთა ზედა ქართლისა და კახეთისათა“. ამრიგად, ფიცის ნიმუშშიც (სახე-შიც) დადასტურებულია ქართლ-კახეთის მეფეების (და, ცხადია, სამეფოს) არსებობა.


გეორგიევსკის ტრაქტატი დაიდო ომხანად არსებულ საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებული ყველა წესის დაცვით (მხარეების მიერ ტრაქტატის პროექტების შედგენა და განხილვა, ტრაქტატის ტექსტის მომზადება, სრულუფლებიანი დელეგაციების დანიშვნა, მოლაპარაკება, ტრაქტატის საბოლოო ტექსტის შეთანხმება და ხელმოწერა, ტრაქტატის რატიფიკაცია და გამოქვეყნება). ამ თვალსაზრისით საინტერესოა ტრაქტატის მეთორმეტე მუხლი. მართალია, ტრაქტატი „საუკუნოდ“ იდებოდა, მაგრამ თუ მასში ურთიერთსასარგებლო ცვლილებების შეტანა იქნებოდა საჭირო, ეს უნდა მომხდარიყო ორივე მხარის თანხმობით: „უკეთუ განხილულ იქმნეს რამე საჭიროდ შეცეულებად, ანუ დართუად ურთიერთისთვის სარგებლისა, აქუს მას ადგილი ორთავე კერძოთა თანხმობისა“.

1783 წლის 21 სექტემბერს ეკატერინე II-მ მოახდინა გეორგიევსკის ტრაქტატის, ანუ, როგორც იგი წერდა, „მცველობის ხელშეკრულების“ რატიფიკაცია და ღოკუმენტი საქართველოში გამოგზავნეს. 1784 წლის 24 იანვარს ტრაქტატის რატიფიკაცია მოახდინა ერკლე II-მ.

გეორგიევსკის ტრაქტატით დასრულდა რუსეთის ხანგრძლივი ურთიერთობა ქართულ სამეფო-სამთავროებთან. ერკლე II-მ ვერ ამოიცნო, რომ რუსეთი გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების შესრულებას არ აპირებდა. ცხადია, რუსეთის საიმპერატორო კარის სამოქმედო გეგმა, მათ შორის ტრაქტატის არშესრულების გადაწყვეტილებაც, იმხანად უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საიდუმლოს წარმოადგენდა და მისი ამოცნობა ქართველი დაპლომატებისთვის ძალიან მნელი, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. საბოლოოდ ტრაქტატმა მუსლიმური სამყაროს გაღიზიანება გამოიწვია და რუსეთისგან მიტოვებული ქართლ-კახეთის სამეფო უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

### **ვასთანგი გურული,**

**ისტორიის მეცნიერებათა დოკტორი,**  
**პროფესორი**



მიღლა შაბათი  
ფიტნის ღოვან  
დავაწესო...  
+ ასა—

კომპ გერმანია!  
„გიგანტი“!  
მანაზონის განვითარების  
სამსახური!

ბიბლიოსი  
Books

ნაირითხმა ფიტნის გერმანია!



იერუსალიმად შესვლა

## უნიკალური ქართულ-ბერძნული ხელნაწერი პეტერბურგის მუზეუმში

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ილია აბულაძის საგამოფენო დარბაზში 1-ელ აპრილს გაიხსნა გამოფენა სახელწოდებით „ამბავი ერთი ხელნაწერისა“, რომელიც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ორგანიზებითა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა. პროექტის ფარგლებში მოწყო ამ ხელნაწერის ფაქსიმილური გამოცემისა და ალბომის პრეზენტაცია.

აღსანიშვნაია, რომ ღონისძიება მიეძღვნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მც ხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, ილია II-ის აღსაყდრებიდან 35 და დაბადებიდან 80 წლისთვის.

XV საუკუნეში გადაწერილი ეს ქართულ-ბერძნული ხელნაწერი, შეიძლება ითქვას, თავისი შენარჩუნებით და გაფორმებით ქართული მწიგნობრობისა და მხატვრული აზროვნების უნიკალურ ნიმუშს წარმოადგენს. ორწოვანი

ხელნაწერი სხეულასხვა ლიტურგიკულ ტექსტებსა და მინიატურების დამოუკიდებელ ციკლებს შეიცავს. მეცნიერთა აზრით, ხელნაწერი წარმოადგენს ერთადერთ კულტურს, სადაც ჩართულია ისეთი მინიატურები, რომლებიც

მანამდე თავმოყრილი სახით არ გვხვდება. დღეს ხელნაწერი პეტერბურგში, რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული.

ხელნაწერი მცირე ზომისაა (8,2 X 12,4 სმ) და შეიცავს ქაღალდის 146 ფურცელს. ძველი პაგინაციით 21 რევულია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელნაწერი ლიტურგიკული შინაარსისა და მოიცავს სახარებისეულ საკითხავებს, ტროპარებს, სავეძრებელ ლოცვებს, თვენს, მაცხოვრისა და ავგაროზ მეფის მიმოწერას. ტექსტის ძირითადი ნაწილი ქართულია, რომელიც ორ სეტად ნუსხურითა გადაწერილი. ტროპარებს, სავეძრებელი ლოცვები და ცალკეული საკითხავები ბერძნულ ენაზე შესრულებული. ლოცვის ტექსტი დართულია იმ წმინდანის იკონოგრაფიულ გამოსახულებასთან, რომლისადმიც არის მიმართული საკედრებელი ლოცვა.

სამწუხაოდ, ქართულ-ბერძნულ ხელნაწერს არ ახლავს ანდერმი, ამიტომ მისი გადაწერის ადგილისა და დროის, მომგებელისა და გადამწერების შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება.

ხელნაწერით პირველად XIX საუკუნის ფრანგი მეცნიერები შარლ რომ დე ფლერი და ჟიულ მურიე დაინტერესდნენ. შარლ რომ დე ფლერმა თავის ნაშრომში გრიგორ გაგრინის მიერ შესრულებული მინიატურების ას-

ლები გამოაქვეყნა და ხელნაწერი XI საუკუნით დაათარიღდა. ჟიულ მურიემ კრებული XVII-XVIII საუკუნეებს მიაკუთვნა. მათივე ინფორმაციით, ხელნაწერი სამეცნიეროს დედოფალ ეკატერინე დადიანს ეკუთვნოდა და გორდის სასახლეში ინახებოდა.

ხელნაწერის საქართველოდან რუსეთში გატანის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. 1911 წელს რუსეთში მყოფ ნიკო მარს უცნობმა პირმა ხელნაწერის რაობის დადგენა სთხოვა, 1913 წელს კი ქართულ-ბერძნული ხელნაწერი პეტერბურგის საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკამ (დღეს რუსეთის ეროვნული ბიბლიოთეკა) შეიძინა. ჩატარებული ექვანტიზისა და შეძენის აქტის გაფორმებისას ძველმა მფლობელმა ვინაობის გამჟღანება არ ისურვა, თუმცა, არქივში შემორჩენილი ჩანაწერის მიხედვით დადგინდა, რომ გამსხვისებელი ვინგე დოლაბერიძე იყო. უნდა ითქვას, რომ პეტერბურგში მოხვედრისთანავე ხელნაწერმა ქართველ და უცხოელ მკვლევართა დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ხელნაწერის შესწავლის შემდეგ მეცნიერებმა გამოიქვევა ვარაუდი, რომ იგი ათონის მთაზე XV საუკუნის უკანასკნელ ათწლეულში შეიქმნა, მაშინ, როდესაც მსატვრული ფორმები ჯერ კიდევ არ იყო მოწყვეტილი ბიზანტიურ ტრადიციებს.

წმინდა მამათა მსელელობა (წმინდანები: ნიკოლოზი, იოანე ოქროპირი, თომა, ბართლომე, ფილიპე, იოანე მანაზებელი)





პეტრეს უარყოფა; მამლის კვიილი; მაცხოვარი პილატეს წინაშე

„დეიოსუს“. წმინდანები — პეტრე და პავლე



ხელნაწერს განახლების კვალი ეტყობა, ფურცლები რესტავრირებულია, მინიატურები ზოგ აღიიღას ზემოღან არის გადახატული, ხელნაწერი ხელახლა აკინძული, რაზეც მინიატურებს შორის ჩართული გამყოფი ფურცლები მეტყველებს. გამყოფი ფურცლები ჭვირნიშნების მიხედვით XVII საუკუნის დასასრულით თარიღდება.


ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული XVII საუკუნის გულანი, რომელშიც ჩართულია ქართულ-ბერძული ხელნაწერის ოთხი მინიატურა, თავდაპირეველად გელათის მონასტერში ინახებოდა. სწორედ აქედან გამომდინარე, არსებობს ვარაუდი, რომ ქართულ-ბერძული ხელნაწერის რესტავრაცია გელათის მონასტრის სახელოსნოში შესრულდა.

ხელნაწერში სულ 385 მინიატურაა წარმოდგნილი. დასურათებაზე ოთხი მხატვარი — ქართველი და ბერძენი ოსტატები მუშაობდნენ. ნიმუშებად გამოყენებულია სხვადასხვა იქონოგრაფიული წყაროები. ხელწერაში იგრძნობა ათონური და ათონთან დაკავშირებული მხატვრული წრის გავლენა.

მინიატურათა ერთი ნაწილი ქრისტიანობის ციკლის სიუჟეტებს მოიცავს და ქრის-



ჯევარზე გაკვრა



წმინდა პეტრე (იბერიკელი), აბრაამი; წმინდა ოღარიონი (იბერიკელი), წმინდა იოანე ნათლისმცემელი — უდაბნოს ანგელოზი (ლანგარზე დასკვენებული მოკვეთილი თჯით), წმინდა გიორგი (საგარაუდო, იბერიკელი); წმინდა იოანე იბერიკელი. წმინდა ეფთვამე იბერიკელი

ტეს მიწიერი ცხოვრების თემას ხარჯიდან მის აღდგომამდე ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოადგენს. ამ სერიის მინიატურათა იკონოგრაფიული და მხატვრული გადაწყვეტა მჭიდროდ არის დაკავშირებული XIV-XV საუკუნეების მოწევენტურ ტრადიციასთან — მრავალფეროვანობა, არქიტექტურითა და პეიზაჟით გადატვირთული სასურათე არე, ფიგურათა პოზები და ექსტები გამოძახილს იმავე ეპოქის პალეოლიტოსური სტილის ძეგლებში პოულობს. პალეოლიტოსთა სტილი XIII საუკუნის ქრისტიანულ ხელოვნებაში გაფრცელებული ახალი მიძინვარებია, რომლის თვისაც დამახასიათებელია ინტერესი ანტიკურობისადმი, მეტი თავისუფლება და დინამიკურობა, ფერწერულობა და გმირიულობა. ყველა ეს ტენდენცია შესანიშნავად იგრძნობა ქართულ-ბერძული ხელნაწერის მინიატურებში.

ქართულ-ბერძნული ხელნაწერის მინიატურებზე წარმოდგენილია მართლმადიდებლური სამყაროსათვის მნიშვნელოვანი ყველა წმინდანი, მათ შორის გნდეგილობისა და სამონასტრო ცხოვრების ფუძემდებლები: წმ. ანტონ დიდი, მაკარი მეგაბატელი, წმ. ონოფრე, საბა განწევნდილი, სვიმეონ მესვეტე. მათ გარდა გამოსახული არიან ქართველი წმინდანებიც: წმინდა ნინო, პეტრე იბერი, ილარიონ ქართველი, ეფთვამე ათონელი. ამგვარად ქართველი წმინდანები წარმოდგენილია მსოფლიო წმინდანების გვერდით, რითაც ხაზგასმულია მათი თანასწორობა მართლმადიდებლურ სამყაროს წმინდანებთან.

მინიატურებში წმინდანებთან ერთად გვხვდება თვეთა პეტრისონიფიკაციები. თვეთა ფაგურები წარმოდგენილია ლიტურგიკული წლის მიხედვით და წმინდანთა ორ სერიას გამოყოფს: სექტემბრიდან ნახევარი წელი ეთმობა წინასწარმეტყველებს, ხოლო მარტიდან მეორე ნახევარი მოწამეებს. საინტერესოა ისიც, რომ წინასწარმეტყველების რიგი იწყება არა ტრადიციულად, ბიბლიური მეფეების —

წმინდა გიორგის წამება — ურმის თვალზე გადატარება; წმინდა მამა ლომბე



წმინდა ოცნებორუ ტირონი განგმირავს გველეშაპს



თვეების პერსონალიური გაცემის. მარცხნივ: აიარი და თექურვალი — კაცი ღვინის თასით ზელში და მოხუცი თბება ცეცხლთან; მარჯვნივ: სეტტინგერი — მოადაირე მიმძინთი

დავითისა და სოლომონის ნახევარფიგურებით,  
არამედ წმ. ოთაც ნათლისმცემლის მშობლე-  
ბის — ზაქარიასა და ელისაბედის მინიატუ-  
რებით. გამოსახულებათა ერთ ჯგუფს ნიკო-

ლომ კალიკლეს ეპიგრამების ტექსტები ერთვის, რომლებიც წლის თითოეული თვეს დახსასიათებას შეიცავს. ამ ტექსტებში აღწერილი და დახსასიათებულია ადამიანის ჯამთვე-

თვეების პერსონალიურაციები. ფლობის ხელში თავთავებით ზოდაქო – ღობი; წმინდანები – კოზმა და დამანე. ღადება პატიოსნისა სამოსელისა ყოვლადწმიდას ღვთისშობელისა კვაქერნას



ლობისათვის სახიანო ან სასარგებლო თვეები. ამ ტექსტებისა და ლოცვების ავტორი ნიკოლოზ კალიკლე XI-XII საუკუნეების ბიბანტიის საიმპერატორო კარის ექიმი და იმავდროულად შესანიშნავი პოეტი იყო, ხოლო მისი თხზულებები ფართოდ გაფრცელდა შეუა საუკუნეების მონასტრებში. ხელნაწერში წარმოდგენილი თვეთა ფიგურები სეზონურ საქმიანობას წევიან: სექტემბერი მიმინოთი მონადირეა, ოქტომბერი ფრინველებს იჰკირს, ნოემბერი ნხავს, დეკემბერი კურდღლებზე ნადირობს, იანვარი დვინოს აჭამნიკებს, თებერვალი ცეცხლთან თბება, მარტი მეომარია, აპრილი მწევებია ბატქით ხელში, მასის ფავილების შემგროვებელია, ფნისი თბავს, ველისი მკის, ხოლო აგვისტო რგავს. როგორც ვხედავთ, მათში ყურადღება გამახვილეულია თუ როგორ მოქმედებს ამნდა ადამიანის ყოფაზე, ხილისა და ბოსტნეულის სიავეარგეზე. ხელნაწერის მხატვრულ თავის სექტემბერის ყოველი თვის დასაწყისში გამოსახული თვის პერიონით კაცია და ზოდიაქონი ნიშანი წარმოადგენს.

მაშ ასე, ქართულ-ბერძნული ხელნაწერი ითხი მხატვრის დასურათებულია. ისინი ნიმუშებად სხვადასხვა წყაროს იყენებდნენ.


წმინდა წინასწარმეტვევლი გორდიანი; ჯვართამაღლება

ხელნაწერის შედგენილობა და მხატვრული სახე სხვადასხვა იკონოგრაფიული და სტილური ტენდენციების არსებობას ავლენს. სახურია ათონური და ათონთან დაკავშირებული მხატვრული წრის გავლენა, კრუტული და დასავლეთ ეკონომიკული ხელოვნების ანარეკლი. ხელნაწერის გაფორმებაში ნათლად აისახა იმდროინდელი ქრისტიანული სამყაროს მხატვრული გემოგნება, ტრადიციისადმი ერთგულება, იკონოგრაფიული და სტილური თავისებურებანი.

ხელნაწერის შედგენილობა და სახე გარკვეულწილად ავლენს მემკვიდრეობით მიღებულ იმ ლიტერატურულ და მხატვრულ ტენდენციებს, რაც იმ ეპოქაში, ბიზანტიის იმპერიის დაცემისა და საქართველოს მძიმე მდგომარეობის ფონზე, კალავ იძლეოდა მაღალი პროფესიული დონის შესაბამის შესაძლებლობას. ორენოვანი ლიტურგიკული კრუტული საინტერესო მაგალითია ქართული და იმდროინდელი ქრისტიანული სამყაროს კულტურული ურთიერთობებისა, როგორც საუკუნეების შემოქმედებითი გამოცდილება, ასევე თანადროული მხატვრული აზროვნება.

## ოძოვარი პირანი,

ისტორიის მაგისტრი



# გიორგი დეკანოზიშვილი

## 1830-1905 ული ბერი

XIX საუკუნის მეორე ნახევარში იღია ჭუჭვაძე, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე და სხვა ქართველი პატრიოტები აქტიურად წინააღმდეგებოდნენ რუსულ კოლონიურ პოლიტიკას საქართველოში, რომლის მთავრი მიზანსაც ქვემინის რუსთვიკაცია წარმოადგენდა. ახალი ასწლეულის მოახლოებასთან ერთად ჩანაცა, რომ გარდაუგალი იყო ბრძოლის ახალ, პოლიტიკურ ეტაპზე გადასცელა. ამ მხრივ პირველები სოციალ-დემოკრატები აღმოჩნდნენ (ნოე ფორდანიას ხელმძღვანელობით), შემდეგ კი სოციალისტ-ფედერალისტები. იღიას და მისი თაობის ბრძოლა ეროვნული უფლებებისთვის, ხაწილობრივ სწორუდ ფედერალისტებმა იტვირთეს არჩილ ჯორჯაძის ხელმძღვანელობით ამ ეპოქის უდიდეს ინტელექტუალს, არჩილ ჯორჯაძეს, რომელიც მირითადად თურქულიკოსი იყო, მხარში კდგა გიორგი დეკანოზიშვილი, რომელიც იშვიათი ორგანიზაციული ნიჭით გამოიჩინეოდა. მის შესახებ კი ქართველმა საზოგადოებამ თთქმის არაფერი იცის და შევცდებით, ეს რამდენადმე გამოვასწიროთ



გიორგი დეკანოზიშვილი

იშვიათია მოღვაწე, რომლის ცხოვრებისა და დეაქტუალის შეფასებისას თანამედროვენი ასე თანხმდებოდნენ ერთმანეთთან, როგორც გიორგი დეკანოზიშვილის შემთხვევაში. მისი თანამებრძოლები (სამსონ ფირცხალავა, გიორგი ლასხეშვილი, თეოდო სახოკია და სხვები) მას ერთხმად მოიხსენიებენ, როგორც პატრიოტსა და საქართველოსთვის თავგადადებულ პიროვნებას, რომელიც შეად იყო, ყველაფერი გაედო ქვემისთვის. მართლაც ამ სულისკვეთებით განვლო მან თავისი ხანმოკლე ცხოვრება.

გიორგი გაბრიელის ძე დეკანოზიშვილი დაიბადა 1868 წელს ქ. პეტროვსკში (მახაჩალა), სამხედრო მოსამსახურის ოჯახში. მამამ სამხედრო საწავლებელში მიაბარა, თემცა გიორგიმ სამხედრო კარიერა არ ისურვა

და პეტერბურგის სამთამადნო ინსტიტუტი და-ამთავრა წარჩინებით.

ახალგაზრდა ინჟინერი სტუდენტობაშივე ჩაერთო რუსოლუციურ საქმიანობაში. დაუკავშირდა რუსეთში მყოფ ქართველ სტუდენტებს: თავის ბიძაშვილ ანდრია დეკანოზიშვილს, შემდგომში ცხონბილ ქართველ იურისტსა და საზოგადო მოღვაწე გიორგი გვაზაქას, შიო არაგვისპირელსა და სხვებს, რომლებითან ერთადაც ჩამოაყალიბა „საქართველოს განთავსუფლების ლიგა“.

მისი პოლიტიკური აქტივობა, რომელიც 1890 წლიდან დაიწყო, რუსულ უანდანმერიას არ გამოიპარება. ოხრანკამ ყველაფერი იცოდა. საბოლოოდ ეს საიდუმლო წრე ჩაგარდა, ახალგაზრდები დააპატიმრეს, თუმცა მცირე სასჯელი აკმარეს.

ამის შემდეგ გიორგი დეკანოზიშვილი სა-

ქართველოში ბრუნდება და ძალებს საზოგადოებრივ საქმიანობაში ცდის. 1892 წელს ქართლში ქოლერის ეპიდემია მძვინვარებდა და მოსახლეობას მუსრის ავლებდა. დეკანოზიშვილმა შეადგინა ჯგუფი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისინი უვლიდნენ კველასგან მიტოვებულ აკადემიკებს, ხალხს ასწავლიდნენ, როგორ დაეძლიათ მომაკვდინებელი სენი. სხვების ზრუნვაში გიორგიც დააყადდა, თუმცა დროული მკურნალობით სენს თვით დააღწია.

იმავე ხანებში ჭიათურის მარგანეცის მრეწველმა ბესარიონ ლოლობერიძემ ახალგაზრდა სამოირ ინჟინერი სამუშაოდ მიიწვა. ნოვატორმა სამთოელმა ახლებური მეთოდების დანერგვა დაიწყო წარმოებაში. ამასთან აქტიურად ჩაერთო ჭიათურის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ადგილობრივებისთვის დაწყებითი სკოლის გახსნაც კი მოახერხა.

ჭიათურის მარგანეცზე იმ დროისთვის დიდი მოთხოვნა იყო სოფლიო ბაზარზე, თუმცა საჭირო გახდა სხვა ქვეყნებში არსებული კონკურენტი ქვეყნების მარაგებსა და მათ დირსება-ნაკლოვანებებზე ინფორმაციის მოპოვება. „შავი ქვის მრწველთა საბჭომ“ ეს მისია გიორგი დეკანოზიშვილს მიანდო. 1902 წელს იგი გაემგზავრა კუბასა და ბრაზილიაში. ამ მოგზაურობას მან წიგნიც მიუძღვნა.

1901 წელს გაზეთ „ცნობის ფურცლის“ გარშემო იკრიბება სოციალისტ-ფედერალის-

ტური პარტიის ბირთვი. ამ პოლდასავლური პოლიტიკური ჯგუფის აქტივირი წევრი გახლდათ გიორგი დეკანოზიშვილი. პარტიულმა საქმიანობამ მოითხოვა თავისუფალი გაზეთის გამოცემა, რაც მეფის რუსეთის მკაცრი ცენზურის პირობებში შეუძლებელი იყო. საზღვარგარეთ გაზეთის გამოცემას კი თანხების მოძიება სჭირდებოდა. ეს გიორგი დეკანოზიშვილმა იტვირთა და შესანიშნავადაც გაართვა თვითი, შეაგროვა 7 ათასი მანეთი და 1903 წელს არჩილ ჯორჯაძე (გაზეთის რედაქტორი), გიორგი დეკანოზიშვილი (გაზეთის გამოცემის ორგანიზატორი) და ასოთამწყობი მიშა კიკნაძე პარიზს გაემგზავრნენ. პარიზში გიორგიმ სწრაფად გააპა კაფშირი „ახალგაზრდა ოსმალთა პარტიასთან“, რომლის წევრებმაც ერთი კუთხი დაუთმეს თვის სტამბაში. თურქების მეშვეობით დაუკავშირდა ევროპაში ცნობილ სოციალისტებს: ქორქეს, ფორს, დაუახლოვდა ასევე მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის გენერალურ მდივან კამილ ჰოსმანს.

გიორგიმ ჩამოასხმევინა ქართული შრიფტი ცნობილი „პარიზულის“ სახელით და განჩაღდა მუშაობა. იბეჭდებოდა გაზეთი „საქართველო“ და მისი ფრანგული დამატება „ლა შეორჟი“, რომლის მომხადებაშიც გიორგის მეუღლე ჰენრიეტა ფრენუა ქმარებოდა.

გიორგი ზრუნვადა თანხის მოძიებაზე, გაზეთების არალეგალურად საქართველოში გჯ-



ქალაქი  
პეტროვსკი  
(დღეს –  
მახაჩალა)

## ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის



უან ჟორჟის ძეგლი სიურენში, პარიზის გარეუბანში



ჰეტერბურგის სამთამადნო ინსტიტუტი

ქალაქი ჭიათურა



რცელებაზე, იარაღისა და საბრძოლო აღჭურვილობის დასაშახატებლად საჭირო მასალის საქართველოში გაზიარდა გორგაძისა და კიპნაბის ჯამბრიულობაზეც კ, თუმცა ამ დროს სულაც არ ახსოვდა თავისი ჯამბრიულობა და ვერც ცოლ-შვილს აქცევდა ჯეროგნ ფერადლებას.

მისი ორგანიზებით გამართა 1904 წელს უნივერსიტეტი ქართველთა პირველი კონფერენცია, სადაც ოფიციალურად გაფორმდა სოციალისტ-ფედერალისტთა სარკველუციო პარტია, რომელშიც ფედერალისტთა გარდა შევიძნენ ანარქისტები (მიხაკო წერეთელი, ვარლამ ჩერქეზიშვილი) და ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების ჯგუფი (გიორგი გგაზავა). კონფერენციის შემდეგ მან გამოსცა მუშაობის მასალები, რომელიც მიმშენელობანი წყაროა საქართველოს ახალი ისტორიისა.

1905-1907 წლების რევოლუციის დროს ყველა პოლიტიკური პარტია აქტიურად იბრძოდა რუსული რევოლუციის წინააღმდეგ. გიორგი დეკანოზიშვილი ამ პერიოდში უკავშირდება იაპონიის არმიის პოლკოვნიკ აკაშის (რუსეთიაპონიის სამხედრო დაპირისპირების გამო იაპონელები დაინტერესებული იყვნენ იმპერიაში ანტირუსული ძალების გაძლიერებით) და მისგან იღებს გემისა და იარაღის შესაძნად 200 ათას ფრანგს. გარდა იმისა, რომ გიორგის უხდებოდა აკაშისთან კონსპირაციული შეხვედრა, მანვე ორგანიზება გაუკეთა იარაღისა და გემის შესყიდვას, დაგეგმა შეიარაღების შემოტანის მარშრუტი და განხორ-

ციელება, თან ისე, რომ ვეროპაში დაგეშილი რუსული სპეცსამსახურების აგენტებისთვის თავგზა აეჭნია. ამ საქმის ძირითადი სიმძიმე, მიუხედავად რამდენიმე დამხმარის არსებობისა, მასზე გადადიოდა. ეს ყოველივე მის დღიურსაც ეტყობა. დროის სიმწირის გამო გორგის ხანდახან თვეში ერთხელ და ისიც ძალიან დაღლილს უხდებოდა ხელში კალმის აღება. მოვიყვანთ ნაწევეტს დღიურიდან: „1905 წლის 27 ნოემბერი – საშინელი ბურუსი იდგა. საშინლად ციონდა. პალტოც რიგიანი არ არის. სასაცილოა 200 ათას ფრანკს გემისთვის ვხარჯავ და თბილი პალტო კი ვერ მიყიდია. როგორ ვიყიდო, როცა ყოველი ფრანკი გამოანგარიშებულია“.

ცხადია, იარაღის შემოტანა ურთელესი საქმე იყო. იმავე ხანებში ფინელებსა და ბალტიისპირელებს ჰქონდათ მცდელობა, თუმცა უშედგოდ. სკანდინავიელთა ერთი გემი გაირიყა და აფეთქდა, ხოლო მეორე რუსებმა ჩაიგდეს ხელში. რუსების ხელშივე აღმოჩნდა ლატვიელთა ხომალდიც.

გიორგი დეკანზიშვილმა შვეიცარიაში ნაკიდი 7 ათასი „ვიტულის“ ტაძის თოფითა და მილიონ ასი ათასი ვაზნით დატვირთა ახლად შეძენილი სამანძიანი ხომალდი „სირიუსი“, რომლის ეკიპაჟსაც შეადგენდნენ პოლანდიელი ასარქისტები კორნენბოლსენის მეთაურობით. თუმცა მაღვევე შეიქმნა ფინანსური პრობლემა. გეძი უსახსრობის გამო გიბრალტარში შეჩერდა. გზის გაგრძელებისთვის საჭირო იყო 25



გიორგი  
დეკანზიშვილის  
პარიზში  
გადაღებული ფოტო



პოლკოვნიკი  
მოტომირო  
აკაში

კონსპირაციის წესი დაირღვა და საჭურვლის შემოტანის შესახებ არაერთმა ფოთელმა შეიტყო (ქალაქი ფოთი XX საუკუნის დასაწყისში)





გემი „სინიუსი“, რომელზეც იარაღი იყო  
დატეართული

ათასი ფრანგი. გიორგი თავისი მეუღლის სახლის დაგირავებასაც ფიქრობდა, მაგრამ ეს საქმეს ვერ უშველიდა. დახმარებისთვის მარგანეცის მაგნატ ბესარიონ ღოღლობერიძეს მიმართა, თუმცა უარი მიიღო. ბოლოს იარაღის საქმეში აქტიურად ჩართული პალიკო ყოფანი და გიორგი სიხარულიძე მივიდნენ პარიზში მყოფ იაკობ ზუბალაშვილთან და მუქარით გამოართვეს საჭირო თანხა. გემმა გზა განაგრძო და 1905 წლის ნოემბრის ბოლოს ფოთისაც მიაღწია. თუმცა იარაღის გაღმოტვირთვის დროს თავი არაორგანიზებულობამ იჩინა. გარდა იმისა, რომ კონსპირაციის წესი დაირღვა და მრავალმა ფოთელმა იცოდა საჭურვლის შემოტანის ამავეთ, იარაღით სავსე პირველი ყუთების გახსნის დროს გაუფრთხილებლობით მოხდა.

გასროლა, ხმაურზე პოლიცია გამოჩნდა და საქმე გამოაშკარავდა. გემის კაპიტანი იძულებული გახდა, იარაღის დარჩენილი ნაწილი ზღვაში გადაეყარა და თვალს მიფარებოდა. თუმცა შეიარაღების ნაწილი ფედერალისტთა ხელში აღმოჩნდა.

ამ წარუმატებლობის შემდეგ გიორგი დეკანოზიშვილი აქტიურ საქმიანობას ჩამოსცილდა, რადგან ძველმა სენმა, ტუბერკულოზმა შეხესენა თავი. რამდენიმე წლის მკურნალობის შედეგად მომჯობინდა, თუმცა არა საბოლოოდ და 1910 წელს 42 წლის ასაკში გარდაიცვალა ქ. კანში. მისი სურვილი იყო საქართველოში დასაფლავება. ამისთვის გეგმაც კი შეუდგენია, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ უნდა შეესრულებინათ მისი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს. გიორგი დეკანზიშვილის დამ მოახერხა ნებართვის მოპოვება და 1910 წელს გიორგის ცხედარი ხმაურის გარეშე ჩამოასვენეს, ისე, რომ მის მრავალ თანამებრძოლსაც არ გაუგია, და დაკრძალეს წმ. ნინოს (კუეგა) სასაფლაოზე.

ვფიქრობთ, დადგა დრო, ქართველი საზოგადოება იცნობდეს თვის გმირებს, იღეალისტ ადამიანებს, რომელებიც მოჟლი ცხიფრება იბრძონენ საქართველოს თავისუფლებისა და უკოტესი მოძალისთვის. ისინი ყველაფერს აკეთებდნენ ჩუმად, უხმაუროდ, საკუთარი სიცოცხლის, რჯახისა და ჯანმრთელობის ფასად.

### **გიორგი გაფინანსვილი,**

**ისტორიის მაგისტრი**

გიორგი დეკანზიშვილი ოჯახთ, ბიძაშვილთან ერთად. ფოტო გადაღებულია პარიზში, ლუვრის ფოტოატელიეში




# მაცივრები ქველ საქართველოში

„საყინულებები“ არა  
მარტო მეტებსა და  
თავადებს, არამედ  
გლოხებსაც კი ჰქონდათ

თოვლისა და ყინულის შენახვას  
საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს.  
საუკუნეთა განმავლობაში ამ საქმიანობას  
დიდი ყურადღებაც უწევოდა. მაგალითად  
გიორგი V ბრწყინვალის დროს (1299, 1318-  
1346 წწ.) შედგენდა „ხელმწიფის კარის  
გარიგებაში“ აღნიშნულია, რომ „სალამოს  
მეღვინე ფანჯას მიღებს, მყინვარიანთა  
ჭრჭლითა ანუ ტბაკითა, ზედა მყინვარსა  
და პერ... და თუ მეფესა დამით  
მოწყვეროს, ბრძანოს, რომელიცა უნდა“.

გახტანგ VI-ის (1703-1714; 1716-1724 წწ.)  
მიერ შედგნილ „დასტურლამალში“, რომე-  
ლიც ერთგვარ კონსტიტუციას წარმოადგენ-  
და, სადაც სამეფოს ყველა მოხელის თუ სოფ-  
ლის ვალდებულებები და მოვალეობებია გან-  
სახლვერული, ვკითხულობთ: „ორიალეთის რი-  
გისა და გამოსაღებისა საბატონოსა და სამო-  
ხლეოსათვის“. „სძეს... თოვლის ზიღვა“, იქვე  
აღნიშნულია „კოსორზე ტბილის მიტანის,  
მარნის რეცხვის და ყინულის ჩაყრის ვალდე-  
ბულება“. სამეფო მაცივრებს თავისი მომსა-  
ხურე ხალხი ჰყავდა. მაცივრის საქმებს გა-  
ნაგებდა და მასზე პასუხისმგებელი იყო „აბ-  
დარბაში“. აბდარბაშს რამდენიმე „აბდარი“  
ანუ თანაშემწე ჰყავდა. აბდარბაში დადგენი-  
ლი დებულებით ხელმძღვანელობდა, ამასთან  
ერთად მას პქონდა „ნუსხაც“, ანუ იმ პირთა  
სია, ვისაც სამეფო საყინულები თოვლ-ყინუ-  
ლის მიტანა ვალებოდა. ყველა აბდარი ვალ-  
დებული იყო, აღრიცხვა ზუსტად წარმოები-  
ნა, რადგან ვინც თოვლ-ყინულს არ ჩაბარებ-  
და, მას მეფის სასარგებლოდ ჯარიმა უნდა გა-  
დაეხსადა. „...ჯარიმა ნაცუალმა უნდა აიღოს  
და ბატონის ქარხანაში მიაბაროს: და ყინუ-  
ლის თეთრი, როგორც სამეფოსა სძეს“. ასევე



საყინულე-გამოქვაბულის შესასვლელი სოფელ  
კლდეისთან (თუთოიწყაროს მუნიციპალიტეტი)

გველ ქართულ საბუთებსა თუ სიგელ-გუჯრუბ-  
ში ხშირად შეტვდებით ყინულისთვის განკუთ-  
ვნილი ჭურჭლის ხსენებას.

ყინული ძრითადად სურსათ-სანოვაგის  
შესანახად და სამკურნალოდ გამოიყენებო-  
და. ქანანელის „უსწორო კარაბადინში“  
(XI ს.), ხოჯა ყოფილის „წიგნი საქმიმოში“  
(XIII ს.), ზაზა ფანასკერტელ-ცაციშვილის  
სამკურნალო წიგნ „კარაბადინში“ (XV ს.),  
დაუდ ხანის (დავით XI 1569-1578 წწ.) „იად-  
გარ დაუდში“ დაცული ცნობების მიხედვით,  
ავადმყოფობის სამკურნალოდ და მოვლისას,  
სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად,  
ცივ წყალსა და თოვლ-ყინულსაც იყენებდნენ.  
მძმე, სიცხანი ავადმყოფის მკურნალობის  
დროს ექიმები ყინულს თითქმის ისეთ უპირა-  
ტესობას აძლევდნენ, რასაც დღეს სიცხის დამ-  
წევ წიმლებს ანიჭებენ. საინტერესოა პლატონ  
იოსელიანის ცნობა, რომ ყინული გამოყენე-  
ბული ყოფილა გვამების შესანახადაც. მეფე-  
ები ერეკლე II (1744-1798 წწ.) და გიორგი XII  
(1798-1800 წწ.) გარდაცვალებიდან განსაზღ-  
ვრული დროის შემდეგ დაუკრძალავთ (ერეკ-  
ლე II მეორმოცე დღეს მიაბარეს მიწას). ამ  
ხნის განმავლობაში ცხედრებს სწორედ ყი-



თუთოწყაროს რაიონის სოფელ პატარა კლდისში არის საყინულე და მევალითური ნაგებობა, რომელსაც ხსლხი „თამარ მეფის საყინულე“ ეძახის. პატარა კლდისში აღვითას XVIII საუკუნეში მდებარეობდა სოფელი ხორხები, რომელიც მოხსნიერდებოდა განუშტი ბაზატიონის თხზულებაში და აღნიშვნია რუკებში. განუშტი აღწერს ყინულოვან მღვიმესაც: „ხორხებს არს ქაბი კლდისა, რომელი არს ზამთარ თბილ, ვითარცა აპარო, და ზაფხულს დის წყარონი კლდიდამ; მას წყაროს ჰყინვს და არს ყინული ფრად წმიდა და მრავალი, ზიდვენ ზაფხულს მეფისათვის“. ხორხების ყინულოვანი მღვიმე დღესაც არსებობს

ნულში ინახავდნენ. 1800 წლის 28 დეკემბერს გარდაცვლილი მეფე გიორგი XII 1801 წლის 20 თებერვალს ანუ 54 დღის შემდეგ დაკრძალეს. პლატონ იოსელიანის ცნობით „მგვამი მეფისა ესვენა სიონისა ეკლესიასა და სხეულისა ხრწილებასა იმაგრებდნენ და ეშველებოდნენ კუბოსა შინა ყინულთა შთადებითაც“.

ქართველ მეფებს თუ ქალაქის დაწინაურებულ საზოგადოებას თაყიანთი მაცივრები პქონდათ, რომელიც სხვადასხვა ზომისა იყო და სასახლებშივე შადდებოდა. 1982 წელს არქეოლოგმა ოთარ ტეეშელაშვილმა, როსტომ მეფის სასახლის ანსაბლში, ეზოში, მიწის ქვეშ, XVI საუკუნის 40-იანი წლების ორსართულიანი, თახჩებიანი საყინულე აღმოაჩინა. ეს უნდა ყოფილიყო სამეფო სასახლის მაცივარი. აღმოჩენილია გიორგი XII-ის სასახლის ჭა-მაცივარიც, რომელიც დროთა გახმავლო-

ბაში სხვადასხვა დანიშნულებით ყოფილა გამოყენებული. მაცივრები თბილისის სხვადასხვა უბანში არქეოლოგიური გათხრების თუ ეთნოგრაფიული მასალებით მრავალი დასტურდება. სამღებროს და გორგასლის ქუჩების მონაკვეთზე მიაკვლიერ ჭა-მაცივარს, რომლის დიამეტრი ერთ მეტრს, ხოლო სიღრმე 12 მეტრს აღწევდა, მანამდე კი მეცნიერებმა XII-XIII საუკუნეების მაცივარი ბალნეოლოგიური კურორტის ტერიტორიაზე აღმოაჩინეს. მსგავსი მაცივრები დაფიქსირებულა ლესელიძისა და ჩახრუხაძის ქუჩებზე, დიდუბის ეკლესიის მახლობლად და სხვ.

თბილისის გარდა, ხელოვნური საყინულები და ჭა-მაცივრები არსებობდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მაგალითად ერთ-ერთი მიწაში ჩამჯდარი საყინულე მიკვლეულია სოფელ ლაძისყანაში ობელიანების სა-

სახლის ეზოში. არქეოლოგ გიორგი ცქიტიშვილის მიხედვით, იგი XVI საუკუნით უნდა დათარიღდეს. ძველებარ ჯუანშერ სონდურლაშვილის დაკვირვებით კი, ყველა თავადს თავის საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსში „საყინულეც“ ჰქონია მოთავსებული. მაგალითად, შესრაბსა და დიღომში ბაგრატიონებს, ფხვენისში – ამილაზერებს, ქვემო ხვითში – თაქთაქიშვილებსა და მაჩაბლებს, ნიქოლში – ფალაგანდიშვილებს, ერეზში – ფავლენიშვილებს, ახალქალაქში – თარნენიშვილებს.

შინდისში თავად ბარათაშვილების სასახლესან დღემდეა შემორჩენილი დიდი ქვებით ამოშენებული სარდაფის მსგავსი ორმო, რომელიც მაცივარი უნდა ყოფილიყო.

თბილისის მიდამოების ეთნოგრაფიულ ფოტაში დღემდე მოაღწია თოვლისა და ყინულის შენახვის სალხურმა წესებმა, რომელიც ძევლი ცოდნა-გამოცდილების მიხედვით წარმოებდა.

რადგან ყოფა-ცხოვრებაში თოვლ-ყინულს ფართოდ იყენებდნენ, ამიტომ მასზე დიდი მოთხოვნილება იყო თბილისის დუქნებსა და ბაზრებში, აცივებდნენ ღვინოს, ხორცს, თვეზე და სხვადასხვა საჭმელსა თუ სასმელს.

თოვლ-ყინულზე გაზრდილი მოთხოვნილების გამო თბილისის შემოგარენში მისმა დამზადებამ ინტენსიური ხასიათი მიიღო და ადგილობრივებისთვის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროდ იქცა.

ყინულს სპეციალურ საცავებში თოვლისგან ამზადებდნენ. საქართველოში თოვლ-ყინულის შენახვის რამდენიმე ტიპის საცავია აღნუსხული. მაგალითად, შიდა ქართლში ყინულს ვაკე ადგილებზე განლაგებულ ორმო-თხრილებში ინახვდნენ.

ყინულის შესანახი „ორმო-თხრილი“ შენობის ჩრდილოეთ მხარეს იჭრებოდა, რათა შეეც ნაკლებად მოხვედროდა და უფრო დიდხანს შენახათ. ორმო-თხრილები მოცულობით 15-20 კუბურ მეტრს აღწევდა. ეს იყო ძირითადად საოჯახო მოთხოვნილებისთვის. ხოლო თუ ორმო-თხრილს გასაყიდი ყინულისთვის აშენებდნენ, მაშინ საცავიც შესაბამისად დიდი უნდა ყოფილიყო. ასეთი საცავების უმრავლესობაში 200-300 ურები თოვლი და ყინული ეტეოდა.

თოვლ-ყინულზე დიდი მოთხოვნილება იყო თბილისის დუქნებსა და ბაზრებში, აცივებდნენ ღვინოს, ხორცს, თვეზე და სხვადასხვა საჭმელსა თუ სასმელს



ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ

1907 წლის 25 მაისი



გასაყიდ ყინულს ურმით ეზიდებოდნენ. ჩაღაგებულ ყინულს თავზე ბალახსა და სკოლ ტილოს აფარებდნენ და იმავე დამით მიჰქონდათ ბაზარში გასაყიდად

თბილისის მიდამოებში არის კიდვე „კლდე-ნაკვეთები“, რომელიც ძირითადად მდინარე-ებისა და ტბების მახლობლად კეთდებოდა. კლდე-ნაკვეთები წარმოდა მთის ჩრდილოეთ მხარეს, საიდანაც „ფლატე“ ჰქონდა აღმართული. ფლატეს გამოანგრევდნენ და წინ კედელს აუშენებდნენ, ერთ მხარეს „სათვალურს“ უტოვებდნენ, საიდანაც ყინული შეკენდათ.

მესამე სახეობის საცავი ეს იყო საყინულე სარდაფები, ანუ ე.წ. საყინულები. ასეთი სარდაფები ძველ თბილისში საქაოდ იყო გავრცელებული, ეს გახლდათ მიწის პირამდე ამოუ-განილი ქვითკირის თაღიანი კედლები. ამგვარ ნაგებობას სათვალური უკეთდებოდა თაღის თავზე, საღაც ურმები პირდაპირ იცლებოდა. სარდაფს გავსების შემდეგ სათვალურს უშენებდნენ.

მეოთხე სახის ნაგებობას „ჩაღარდნილი“

ადგილები წარმოადგენდა. ჩავარდნილ, ანუ მყუდრო ადგილებს ხალხი იმ შემთხვევაში იყენებდა, თუ ქარი ამოვარდებოდა და მოხერხებულ ადგილას ნამჭერს გააკეთებდა. ნამჭერი ანუ ნაბუქი თუ მთის ჩრდილოეთ მხარეზე შეგროვდებოდა, მაშინ მას ერთი არშინის სისქის ბზეს დააყრიდნენ და ზემოდან და გვერდებზე შეკირილ ჩალას, ან სიმინდის ფუტებს დაუწყობდნენ. ასეთ შემთხვევაში ხშირად თოვლი ზაფხულამდე ინახებოდა.

დამოწმებულია თოვლ-ყინულის შენახვის რამდენიმე წესი. მაგალითად, ორმო-თხრილებში, საღაც ყინული ძირითადად ოჯახის მოთხოვნილებას ემსახურებოდა, ასეთ ხერხს მიმართავდნენ: ორმოს ძირას გაშლიდნენ ნახევარი არშინის სისქის ნახერხს ან ბზეს, შემდეგ აწყობდნენ ყინულს 2,5 არშინის სიმაღლეზე. აქ 5-8 ურემთ ყინული თავსდებოდა, შემდეგ მოაყრიდნენ კვლავ ბზეს ან ნახერხს ნა-

ხევარი არშინის სიმაღლეზე. მეორე პირზე უფრო მეტ ყინულს აწყობდნენ. ყინული ლაგ-დებოდა წყობისად, ხოლო ცარიელ ადგილებს დაფშევნილი ყინულით ავსებდნენ, ასეთ ორ-მოში სამი-ოთხი პირი ყინული ეწყობოდა. ავსებულ ორმოს ზემოდან კვლავ ბზეს ან ნახერს დააყრიდნენ და ფიცრის სახურავს მოარებდნენ.

„კლდე-ნა კვეთებში“ და „საყინულე“ სარდაფებში ყინულს წყობისად, კლდურად ალაგებდნენ. ასეთ ნაგებობებში ორი-სამი მუშა აწყობდა ყინულს, ყინულით ამოშენებულ კედლებში უროთი და კეტებით დაფშევნილ ყინულს ტენიდნენ, რათა „ქარი“ არ დარჩენილიყო და ყინულს დნობა არ დაწყო. ამ პროცესს „ჩახვიჭვა“ ეწოდებოდა. ამოუსებულ საყინულებს ზემოდან წყალსაც ასხამდნენ, რათა ცარიელი ადგილები შევსებულიყო. შემდგა სათვალურსაც ამოუშენებდნენ და ზაფხულმდე აღარ ხსნიდნენ.

თბილისის მიმდებარე სოფლებში, ორმოში შენახულ ყინულს ზემოდან ერთი მეტრის სისქის ბზეს მოაყრიდნენ და ჩალას ან ფიჩხსაც დაწყობდნენ. ზაფხულში ორმოს ჩრდილოეთის მხრიდან ხსნიდნენ და ისე გამოჰქონდათ ყინული.

თუ ყინვიანი წელიწადი არ იყო, ასეთ შემთხვევაში სოფელ დიღომისა და ლისში მცხოვრები გლეხები თოვლს ტყიდან ეზიდებოდნენ, რადგან „ტყეში სუფთა და მკვდარი თოვლი დვასო“, მოტანილ თოვლს საყინულები კეტებითა და სხვა იარაღებით სტენიდნენ.

თბილისის შემოგარენის სოფლებში საკმაოდ იყო განვითარებული ყინულის მოჭრაც. ყინულს ტბებზე ჭრიდნენ, დადასტურებულია, რომ ასეთი ადგილები იყო „ლისის ტბა“, „დიდგარცლის ტბა“, „მლაშე ტბები“, „დიდგორ-წინის ტბა“, „შიოს ტბები“, „მუხათვერდის ტბა“, „ჭაჭაურები“, „ძევვის ტბა“, „ჩახერგილის ტბა“ და სხვ.

გასაყიდ ყინულს არა მარტო ზამთარში, ზაფხულშიც ეზიდებოდნენ. საყინულეს მაისში ან ფილისში გახსნიდნენ, საღამოს გამოიტანდნენ და ურემზე ალაგებდნენ. ურემს ქვეშიდან სეველ ტილოებს უფეხდნენ. ურმის თავი და ბოლო კოფოებით იყო შეკრული. ურემში ჩალაგებულ ყინულს თავზე ბალახსა და სველ ტილოს აფარებდნენ და იმავე ღამით მიჰქონდათ ბაზარში გასაყიდად, საღაც უმე-

ტესად მყიდველი წინასწარ ჰყავდათ შეპირებული და ბეც აღებული ჰქონდათ. კოჯრელები, წენეთელები და შინდელები ყინულს სახედრებით ეზიდებოდნენ და ნაჭრუბადაც ყიდლნენ.

მაცივრებისა და თოვლ-ყინულის შენახვის ტრადიციები საქართველოში საუკუნეებს მოითვლის. სურსათ-სანოვაგის შენახვისა თუ მეურნალობისთვის ყინულის გამოყენების მეთოდის ხალხში ლრმად ფესვგადგმას თავისი ტრადიციული წანამდღვრები უნდა ჰქონოდა. ასევე საინტერესოა, რომ თბილისის საქალაქო ცხოვრებისა და წარმოებული აღებმიცემის გამო, ყინულზე, როგორც გამაგრილებელ საშუალებაზე, მოთხოვნილება გაიზარდა. ამან კი ქალაქის მიმდებარე სოფლებში ამ საქმიანობის შემდგომი განვითარება გამოიწვია, რაც დროთა განმავლობაში ქალაქითნა ახლოს მდებარე სოფლებისთვის შემოსავლის ერთგვარ წყაროდაც იქცა.

## ალექსანდრე გოგიავალი,

თბილისის ფანჯარების სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, ისტორიის დოქტორი

„მაცივრის“ შესასვლელი სოფელ პატარა კლდეისში



# ქართული ოპერის „პირველი მერცხალი“

(უცნობი დეტალები  
ისტორიიდან)

„პირველი მერცხალი“ — ასე მოიხსენიებდნენ თანამედროვენი რეკაზ გოგნიაშვილს — პირველი ქართული ორიგინალური ოპერის, „ქრისტინეს“ ავტორს. „ქრისტინე“ 1918 წლის მაისში დადგა სრული სახით ქართულ სცენაზე და შესაბამისად, იგი პირველი ეროვნული ოპერა გახლავთ.

რეკაზ გოგნიაშვილი —  
პირველი ქართული ოპერის ავტორი



„ქრისტინეს“ ქართულ ენაზე წარმოდგენას წინ უსწრებდა 1897 წელს პეტერბურგში მელიტონ ბალანჩივაძის ოპერის, „თამარ ცბიერის“ ფრაგმენტების დადგმა (მომდევნო რედაქციით, „დარეჯან ცბიერი“). სრული სახით ამ ოპერის პრემიერა თბილისში 1926 წელს გაიმართა. რეალურად „თამარ ცბიერი“ იყო პირველი მცდელობა ქართული ოპერის შექმნისა, თუმცა როცა ოპერაზე მუშაობა დასრულდა, ქართულ მუსიკაში უკვე არსებობდა ამ უანის კლასიკური ნიმუშები.

2013 წლის მაისში პირველი ქართული ოპერის პრემიერიდან 95 წელი შესრულდა. ამას-ვე ემთხვევა, „ქრისტინეს“, აგზორის დაბადებიდან 120 წლისთვის. ეს თარიღი — დღე-განდელი ჩვენი კულტურული ცხოვრებისგან სრულიად მივიწევებული და შეუსწავლელი, უდავოდ იმსახურებს დაფუსებასა და აღნიშვნას.

რეკაზ გოგნიაშვილი XX საუკუნის დასწყისის ქართველ კომპოზიტორთა იმ მცირე ნაწილს მიეკუთვნება, ვინც უმაღლესი მუსი-

კალური განათლება ევროპაში მიიღო. მან 1913 წლის 20 წლის ასაკში დაამთავრა პარიზის კონსერვატორია საკომპოზიტორო განხრით და იმავე წელს საქართველოში დაბრუნდა. ის, როგორც ევროპაში განათლებამიღებული ნიჭიერი სტუდენტი, ქართველმა საზოგადოებამ ჯერ კიდევ 1910 წელს გაიცნო ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლებიდან. ამავე პერიოდში დამწევები კომპოზიტორის რამდენიმე ვოკალური ნაწარმოები უკვე იყო ვანო სარავიშვილის რეპერტუარში. ამდენად, თბილისის მუსიკალურ-კულტურული საზოგადოება ინტერესით ელოდა რეკაზ გოგნიაშვილის საშოთაბლოში დაბრუნებას. სწორებ მას მიანდო საოპერო თეატრის კომისარმა — რეჟისორმა აღვეულესანდრე წუწუნავაშ საკუთარი დიდი ხნის ჩანაფიქრის ხორცშესხმა, კერძოდ, ენატე ნინოშვილის „ქრისტინეს“ მიხედვით ოპერის შექმნა.

1914 წელს კომპოზიტორმა დაიწყო მუშაობა ოპერაზე, რომელიც სამ წელიწადში დაასრულა. ეს ის პერიოდი იყო, როცა თბილი-

სის მაღალ წრებში ოპერა დიდი პოპულარობით სარგებლობდა. თუმცა ცარიზმის პირობებში დედაქალაქში დადგმული ყველა ევროპული ოპერა რუსულ ენაზე სრულდებოდა. ამ ტენდენციას ვერც „ქრისტინეს“ ავტორი გაეცა — მან თავადვე შექმნა ლიბრეტო რუსულ ენაზე.

საგარაუდოა, რომ 1918 წელს უკვე დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში გაჩნდა ოპერის ქართულად თარგმნის სურვილი, რაც მოკლე ღროში წარმატებით შეასრულა კიდევ ვალერიან გუნიამ. „ქრისტინემ“ ეროვნული ოპერის სტატუსი შეიძინა.

როგორც იმდროინდებოდი უურნალ-გაზეთებიდან ირკვევა, ქართული ოპერის არსებობის იდეას უმაღლ გამოუჩნდენ სკეპტიკოსები. ეროვნული ოპერის შექმნა მათ წარმოუდგენლად მახნდათ. ამის დამადასტურებელია უურნალ „ოქატრი და ცხოვრების“ 1920 წლის ივნისის ნომერში გამოქვეყნებული ერთი წერილი. სტატიის ავტორი — მომღერალი სვიმინ წერეთელი იხსენებს: „ქართული ოპერა“ — ამ ორ სიტყვას უკვე მიჩვეულია ქართველი საზოგადოების სმენა. აგრე არ იყო ამ სამი

წლის წინად... ჩვენი სკეპტიკები ამბობდნენ: თვით რუსეთი დიდხანს იყო ევროპული ოპერის გავლენის ქვეშ, ქართველები კი ქლა იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებას და უკვე დამოუკიდებელი ოპერის შექმნა უნდათო“.

1918 წლის მარტში თითქმის ყველაფერი შზად იყო პირველი ეროვნული ოპერის პრემიერისთვის, მაგრამ, როგორც მასალებიდან ჩანს, თავი იჩინა ბევრმა ხელოვნურად შექმნილმა პრობლემამ: ახალგაზრდა კომპოზიტორს მხარს არ უჭირდა ფილარმონიური საზოგადოება და თბილისის ხელოვნების სექცია; ამავე გაერთიანებების ჩარევით, „ქრისტინეს“ საპრემიეროდ არ დაეთმო სახელმწიფო თეატრის დარბაზი. ამიტომაც ოპერის მხარდა-საჭერად და მის შზის შექმნებისას გაერთიანდნენ კომპოზიტორის მეგობარი მუსიკოსები, რომელთაც ასევე შეუერთდნენ იმ პერიოდის მაღალრეიტინგული უურნალის, „ოქატრი და ცხოვრებას“ რედკოლეგია და ერთობლივი ძალებით დაარსეს ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავშირი. ახალმა კავშირმა მიზნად დაისახა „მონოპოლისტი ფილარმონიული საზოგადოებისგან ჩაგრული ახალგაზ-

თბილისის საოპერო თეატრის ინტერიერი





რდა მუსიკოსების“ დახმარება. კავშირის და-არსებასთან ერთად, უერნალმა აქტიურად და-იწყო კრიტიკული სტატიების გამოქვენება. პირველი და შემცვევა განხორციელდა ხელოუ-ნების სექციის მმართველ ზაქარია ფალიაშ-ვილზე, რომელსაც, სტატიაში სათაურით „ქართული სამუსიკო ხელოუნების მესაფლა-ვე“, ადანაშაულებენ არაეროვნულ საქმიანო-ბასა და დამწეული მუსიკოსების შემოქმედე-ბითი წინსვლის დაბრკოლებაში. ამგვარ „ჩაგ-რულთა“ სიაში მოხვდნენ პარიზის კონსერ-

ვატორიის კურსდამთავრებულებიც — რევაზ გოგნიაშვილი და დირიჟორი ნიკო ქართვე-ლიშვილი...


ქართველ მომღერალ-მუსიკოსთა კავში-რის ძალის ხმევით დაიწყო საოპერო დასის შეკრება და 1918 წლის 21 მაისს მოწყო „ქრის-ტინეს“ პრემიერა ქართული კლუბის სცენაზე (დღევანდელი გრიბოედოვის თეატრი). რეჟი-სორი კოტე ანდრონიკაშვილი იყო, დირიჟო-რი — ნიკო ქართველიშვილი, იასონის პარტი-ას ვანო სარაჯიშვილი ასრულებდა.



წინააღმდეგობებთან ერთად, თბილისში ოპერისადმი დიდი მოლოდინიც იყო. უურნალ „თეატრი და ცხოვრებას“ რედაქტორის, იოსებ იმედშველის მოგონებებში ვწყდებით საინტერესო წერილს, სადაც მას გიორგი ლეონიძე დიდი მორიდებით სოხოს, ოპერაზე დასასწრებად დარბაზში შეღწევაში დაქმაროს, თუნდაც ეს იყოს უბილეთოდ, ფეხზე დადგომით...

ფართო საზოგადოებაში ოპერა აღტაცებით მიიღო. მაყურებელი აღაფრთოვანა იორდანაშვილის შესრულებულმა საცეკვაო კინტო-

ურმა და კლასიკურ საორკესტრო ინსტრუმენტებთან ერთად, დუდუკისა და დოლის გამოჩენამ. ოპერას მაღალი შეფასება მისცეს მუსიკოსებმა ია კარგარუთელმა და სვიმონ წერეთელმა. დადებითი რეცენზიები გამოუქვეყნა „ქრისტინეს“ მისმა მხარდამჭერმა უურნალმაც. თუმცა მუსიკოსთა მეორე ნაწილი მოსმენილს არ აღუფრთოვანება. ამ ეროვნული ოპერის მუსიკის მთავარ ნაკლად სწორედ ეროვნული ხასიათის ნაკლებობა დაასახელეს.



„ქრისტინეს“ პარტიულაც 90-იან წლებამდე დაკარგულად ითვლებოდა

ქართულ კლუბში სამი წარმატებული დადგმის შემდგე თამამად დაისვა „ქრისტინეს“ საოპერო ოეტრის სცენაზე შესრულების საკითხი. დაბრკოლებებმა თავი აქაც იჩინა: რამდენიმე მსახიობმა წარმოდგენის წინ საერთოდ უარი განაცხადა შესრულებაზე; ორეულტრმაც მოულოდნელად გაზრდილი ჰონორარი მოითხოვა; ამას დაერთო სარაჯიშვილის ბრონქიტი; პრობლემები იყო აფშებთან დაკავშირებითაც. ოპერა რუსულენოვანი ხვედრისგან ვერც დამოუკიდებელ საქართველოში გათავისუფლდა, კერძოდ, აფშები 1918 წელსაც კი რუსულად დაიბეჭდა, წარმოდგენის დღეს კი მათი დიდი ნაწილი განზრას ჩამოხიეს დაფებიდან. ამ უსიამოენო ფაქტებს კვლავ მოჰყვა პროტესტის დიდი ტალღა უურნალ-გაზეთებში, სადაც წერდნენ მუსიკოსთაგან ოპერის განზრას ჩაშლის მცდელობაზე...

„ქრისტინე“ სულ რამდენჯერმე დაიდგა იმ წელს. სამწლიანი პაუზის შემდეგ კი — 1921 წლის დეკემბერში, მთავარი სახელოვნო კომიტეტისა და ოპერის თეატრის გამგეობის გადაწყვეტილებით, საბოლოოდ მოიხსნა რეპერტუარიდან. მხოლოდ ამ პერიოდში ჩანს „ქრისტინეს“ თემა პრესაში, ისიც საყვედურის წერილით, თუ როგორ დაუმსახურებლად მიი-

ვიწყეს იგი.

მიუხედავად იმისა, რომ გოგნიაშვილის „ქრისტინეთი“ იწყება ეროვნული ოპერის სასცენო ისტორია, ქართული ოპერის პირველმა მერცხალმა ადგილი ვერც ენციკლოპედიის ფურცლებზე დაიმკვიდრა. მისი შემოქმედების შესახებ არ არსებობს არც ერთი სამეცნიერო ნაშრომი. თავად „ქრისტინეს“ პარტიიტურაც 90-იან წლებამდე დაკარგულად მიიჩნეოდა, ვიდრე მას მუსიკისმცოდნე შზა ჯაფარიძე მიაკვლევდა კინოს, თეატრისა და მუსიკის სახელმწიფო მუზეუმში კომპოზიტორის მწირი საარქივო მასალის შესწავლისას (არქივი დაცულია ამავე მუზეუმში).

შემდგომში გოგნიაშვილის მოღვაწეობა ველაზე ნაყოფიერი ღრამატული თეატრის ეანწმი აღმოჩნდა. გულგატებილი კომპოზიტორი დიდი წნით ჩამოშორდა კლასიკურ მუსიკას და აქტივურად თანამშრომლობდა თბილისის თუ რეგიონულ თეატრებთან, სადაც ორასხე მეტი სპექტაკლი გააფორმა მუსიკალურად. იგი მხოლოდ მოგვიანებით დაუბრუნდა თავის პირვანდელ უანრს და შექმნა ორი ოპერა: „ქურუმი“ და „ჯადოსანი“, ასევე რამდენიმე ვოკალური ნაწარმოები...

დღეს „ქრისტინეს“ მუსიკასა და მის დი-

რებულებაზე საუბარი შეუძლებელია მისი პარტიტურის შესწავლის გარეშე. მხოლოდ მუსიკის გაცნობის შემდეგ მოხერხდება გა-გება, რატომ არ მიიღეს ოპერა, რატომ იდევ-ნებოდა პარიზის კონსერვატორიის კურსდამ-თავრებული კომპოზიტორი. ეს იყო მუსიკის სისუსტე თუ შერი, ან ბრძოლა მეტად საპა-ტიო ტიტულებისთვის: „პირველი მერცხა-ლი“, „პირველი ეროვნული ოპერის აფტორი“! მაგრამ წინასწარ ერთი რამის თქმა კი შეიძ-ლება — „ქრისტინეში“ აშკარად ჩამოყალიბ-და ის ძირითადი დრამატურგიული ხაზები, რომლებიც შემდგომში გამოჩნდა ქართულ კლასიკურ ოპერებში — გუნდის წამყანი რო-ლი, ქართული ეროვნული ცეკვები, თბილი-სური დუდუკი და სხვ.

მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით გარ-კვეულწილად შესაძლებელი გახდა იმ ეპო-ქისა და მასში მიმდინარე მოვლენების ახს-ნა, როცა რევაზ გოგნიაშვილი მოღვაწეობას იწყებდა. უაღრესად დააბულად, მაგრამ სა-ინტერესოდ ირეკლებოდა მუსიკალურ საზო-გადოებაში ქვეყანაში მიმდინარე პროცესე-ბი: სახელონებო ჯგუფთა ურთიერთდაპი-რისპირება; საზოგადოებრივი აზრის მონო-პოლიზება; დემოკრატიის განთიაღზე ბრძო-ლა პირველობისთვის; ენობრივი ბარიერი,


რაც აშკარად ჩანს „ქრისტინეს“ მაგალითზე — ქართული ოპერის რუსული ლიბრეტო, გან-გებ ჩამოხეული რუსულენოვანი აფიშები. ენასთან დაკავშირებული კიდევ ერთი მომენ-ტი თვალში საცემია პარტიტურის გადაშლის-თანავე, სადაც სასიმღერო ქართული ტექს-ტი რუსული ასოებითა ჩაწერილი სანოტო მასალაში....

უდავოა ოპერის სხვა დანიშნულებაც — „ქრისტინეში“ ერთგვარი კატალიზატორის როლი შეასრულა და გამოავლინა ქართული სახელონებო ტენდენციებისა და მისი თანა-მედროვე ეპოქის ინტელექტუალური წრეების შენაგანი წინააღმდეგობები. სწორედ ამ ოპე-რასა და მის სასცენო ისტორიას უკავშირდე-ბა XX საუკუნის ათიან-ოციანი წლების მიჯ-ნაზე საქართველოში განვითარებული საკან-ძო მომენტები...

ხელოვნების ისტორია ზოგადად საკსეა მსგავსი ფაქტებით, როცა შემოქმედი არ და-ფასებულ სიცოცხლეში, თუმცა ხელახლა და-ბადებულა მას შემდეგ, რაც აღმინებილა და ახლიდან შესწავლილა მისი შემოქმედება. რე-გაზ გოგნიაშვილი და მისი ოპერა „ქრისტი-ნე“ საუკუნის შემდეგ ახლიდან შესწავლასა და რეალურ შეფასებას ელოდება....

## შიო აპარაშია

თბილისის ძელი ოპერა (ერთორი გაგარინის პროექტი)



# 306 მონათლა საქართველოს მომავალი კათოლიკოს- პატრიარქი?

უწმილესისა თა  
უნატარესის,  
მიღმისადეპ III-ის  
ბიობრაფიის  
უცნობი ფურცელი

კათოლიკოს-პატრიარქი  
მელქისედეკ III



XX საუკუნეში მოღვაწე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთა შორის ერთ-ერთ გველაზე გამორჩეულ პიროვნებას წარმოადგენდა უწმიდესი და უნეტარესი მელქისედეკ III, ერისკაცობაში მიხეილ გიორგის ძე ფხალაძე (1872-1960). ამ ფრიად საპატიო და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე იგი 1952-1960 წლებში, რვა წლის განმავლობაში მოღვაწეობდა. იმავდროულად იყო მცხეთა-თბილისის მთავრებისკამთხვე.

აღსანიშნავია, ოომ მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით, 1957 წლის 16 აპრილს, თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის ტაძარში ბერად აღკვეცეს სასულიერო აკადემიის II კურსის სტუდენტი, 24 წლის ირაკლი შიოლაშვილი (ლუდუშაური), სრულიად საქართველოს ეკლესიის ამჟამინდელი

საჭირობელი ილია II. ბერად აღკვეციდან ორი დღის შემდეგ, სიონის საკათოდრო ტაძარში ბერი ილია ხელდასხმული იქნა იეროდიაკვნად.

1959 წლის 10 მაისს, მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევითა და პირადი წერილობითი თხოვნით, სრულიად რუსეთის პატრიარქის, ალექსის მიერ იეროდიაკვნი ილია ხელდასხმულ იქნა მღვდელ-მონაზვნად წმინდა სერგის მონასტრის ტაძარში.

ამჯერად არ ვისაუბრებთ მელქისედეკ III-ის ცხოვრუბისა და მოღვაწეობის შესახებ, რომელიც საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი. კურადღებას გაუძინებოდა მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ამ წინამდლობლის წარმომავლობისა და ბიოგრაფიის ზოგიერთ ფაქტზე, რომელთაგან ნაწილი აქამდე ან ნაკლებად იყო ცნობილი, ანდა უცნობი რჩებოდა.

1872 წლის გიორგობისთვის ორს, ღირსის ნიკოლოზ ქართველთა მნათობის, აკოლოთიათა აღმწერების (XIV საუკუნის მოდგაწის) ხეების დღეს, იმდროინდელი სიღნადის მაზრის სოფელ ყანდაურაში (ისტორიული დასახელება — ყანდიაური) მცხოვრები გიორგი ფხალაძის ოჯახში დაიბადა ერმა, რომელსაც მიხეილი დაარქვეს. მაშინ მხოლოდ უფალმა უწყოდა, რომ ამ ახალშობილს ბედი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინამდოლის გვირგვინს უმზადებდა...

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ისტორიულ გარეკახეთში (მოიცავდა ამჟამინდელ საგარეჯოს რაიონს) მდებარე ამ სოფლის წარსულის მოკლედ გახსენება.

XVII საუკუნის ათიან წლებში სპარსეთის შაპინშაპის, აბას I-ის მიერ მოწყობილი გამანადგურებელი ლაშქრობების შედგად კახეთს აუნახლაურებელი ზარალი მიადგა. 100 ათასამდე მებრძოლი მტერთან ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო 200 ათასამდე ტყვედ წაიყვანეს და სპარსეთის ცალკეულ პროვინციაში დაასახლეს. უმრავი დასახლებული პუნქტი სამუდამოდ აღიგავა პირისაგან მიწისა.

მრავალ სოფელთან ერთად, ნასოფლარად იქცა გარეკახეთის სოფელი ყანდაურიც, რომელიც ძველთაგანვე შეწირული იყო ალავერდის წმინდა გიორგის სახელობის საკათედრო ტაძრისადმი.

საუკუნე-ნახევრის განმავლობაში ეს სოფელი სრულად დაუსახლებელი რჩქინდა.

ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-მ გადაწყვიტა აღედგინა ყანდაური და ამ მხრივ, XVIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში, მან პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგა.

1797 წლის 23 თებერვალს, კათოლიკოს-პატრიარქები ანტონ II-მ განდინა მისი სის უმაღლესობის მეფის ირაკლის სახასო ქმანი არიან და მამული ალავერდის წმინდის გიორგის ეკლესიისა არის, რაც ამ სოფლის გამოსვალი იქნებოდეს, ნახევარი სამეფოდ მიერთმეოდეს და ნახევარი წმინდის გიორგის ალავერდის ეკლესიას მიერთმეოდეს“.

პატარა კახმა ახლად აღდგენილი სოფელი ყანდიაური საუფლისწულო მამულად უბოძა თავის ძეს — ბატონიშვილ მირიან ბაგრატიონს (1767-1834), რომელიც გახლდათ რუსეთის სამხედრო სენატის წევრი, გენერალი და ყაბარდოს პოლკის შეფი. იმავდროულად, უფლისწული მირიანი ლიტერატურულ და მთარგმნელობით მოღვწეობასაც წევოდა.



კათოლიკოს-პატრიარქები ანტონ II-მ განდიაურთან დაკაგშირებით საგანგმო განჩინება გამოსცა

რადგანაც კაცნი მისი უმაღლესობის მეფის ირაკლის სახასო ქმანი არიან და მამული ალავერდის წმინდის გიორგის ეკლესიისა არის, რაც ამ სოფლის გამოსვალი იქნებოდეს, ნახევარი სამეფოდ მიერთმეოდეს და ნახევარი წმინდის გიორგის ალავერდის ეკლესიას მიერთმეოდეს“.

პატარა კახმა ახლად აღდგენილი სოფელი ყანდიაური საუფლისწულო მამულად უბოძა თავის ძეს — ბატონიშვილ მირიან ბაგრატიონს (1767-1834), რომელიც გახლდათ რუსეთის სამხედრო სენატის წევრი, გენერალი და ყაბარდოს პოლკის შეფი. იმავდროულად, უფლისწული მირიანი ლიტერატურულ და მთარგმნელობით მოღვწეობასაც წევოდა.

აქვე დავძენთ, რომ სწორედ მირიანს ხვდა პატივი, 1787 წელს შეხვედროდა მირგოროდში მცხოვრებ მხცოვან დაიკით გურამიშვილს

და სამშობლოში ჩამოეტანა მისი ხელით გადაწერილი უნიკალური ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელიც ცნობილია „დავთიანის“ საქართო სახელწოდებით.

უფლისწეულ იოანე გიორგის ძე ბაგრატიონის ნაშრომში „ქართლ-კახეთის აღწერა“ ცალქა გამოყოფილი გარეკახეთის ტერიტორიაზე მდებარე სოფლები, რომელთაგან საუფლისწეულოდ იხსენიება მხოლოდ ყანდაური, მის მფლობელად კი მითითებულია მეფე გიორგი XII-ის ნახვარმა — ბატონიშვილი მირანდი.

ერკლე II-ისა და გორგი XII-ის მეფობის პერიოდში ყანდაცურის მოურავი იყო თავადი როსებ ჯანდიზრი.

მოგვიანებით შენგელიძებად დაწერნენ (სამეცნიეროდან), გაპრიელაშვილები, გლახაშვილები, დურგლაშვილები, კუტაშვილები, სიდამონიძები, ქართლელიშვილები, ხორბალაძეები (შიდა ქართლიდან) და სხვები, ასევე, კახეთის ცალკეული სოფლიდან გადმოსულიდა.

XIX საუკუნის დასაწყისში სოფლის ნაცვალი იყო ჯერ ბერი (ბერო) გამყრელიძე, ხოლო შემდეგ, მასი ვაჟი — ივანე ბერის ძე გამყრელიძე. იმავე საუკუნის ბოლო მესამედში სოფლის მამასახლისად როხეჯერ აირჩიეს ივანე გიორგის (გლახას) ძე ჯავახიშვილი.

1817 წელს ჩატარებული კამერალური აღწერიდან ნათელი ხდება, რომ ყანდაურაში უცხოვრია თამაზ ფხალაძის (აღწერაში იგი იხსენიება „შხალაძის“ ფორმით) ოჯახს (იხ.: სცსა, ფონდი 254, აღწერა 1, საქმე 499, ფურ-ჯლი 82-ბ).

1873 წელს ჩატარებული კამერალური აღწერიდან ირკვევა, რომ ყანდაურაში უცხოვრია ფილიპე ლიმიტრის ძე ფხალაძეს (ფ. 254, ა. 3, ს. 279, ფურც. 375-ბ), რომლის უფროსი ძმა — გიორგი ლიმიტრის ძე ფხალაძე მცვა-

ვითხედ მოღვაწეობდა მეზობელი სოფლის, კა-  
კაბეთის წმინდა მარიამ ღვთისშობლის ეკ-  
ლესიაში.

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო  
საისტორიო არქივში დაცულია სოფელ ყან-  
დაურის წმინდა გიორგის ეკლესიის მეტრი-  
კული წიგნი, რომლის თავფურცელზეც  
ვკითხულობთ: „მეტრიჩესკის წიგნი მიცემუ-  
ლი საქართველო-იმერეთის უწმინდესის მმარ-  
თებლის სინოდის კანტორიდგან სიღნაღის  
უეზდის სოფლის ყანდაურის წმ. გიორგის ეკ-  
კლესიასა შინა, ჩასწერად დაბადებულთა,  
ქორწინებით შეუღვლილთა და გარდაცვალე-  
ბულთას 1872 წლისთვის“ (ფ. 489, ა. 9, ს. 471).

ზემოხსენებული საარქივო დოკუმენტიდან  
ირკვევა, რომ 1872 წლის 2 ნოემბერს, ყანდა-  
ურაში მცხოვრები მედავითნის, გიორგი დი-  
მიტრის ძე ფხალაძისა და მისი სჯულიერი მე-  
უღლის ბარბარე აბრამის ასულის ოჯახში და-  
იბადა ვაჟი, რომელსაც სახელად მიხეილი და-  
არქვეს.

მიტროპოლიტი მელქისედეკი



მ ე ტ რ ი ს ი ს ხ ე ს წ ა ს წ ი გ ნ ა ხ ა ჩ ე ჭ წ ლ ი ს ა				
სისტემური დაბადებულ ბულთა.	თოვლი და დღეს.	სახელმწიფო	წადება, სახელი, მამის სახელი	წადება, სახელი, მამის სახელი
დაბადებული დღეს.	წმ. წარმოდგენი დღეს.	დაბადებული დღეს.	დაბადებული მიმქმედითა.	დაბადებული მიმქმედითა.
დაბადებული დღეს.	წმ. წარმოდგენი დღეს.	დაბადებული დღეს.	სამოქმედის მარიან.	სამოქმედის მარიან.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი,  
ფონდი 489, ანაწერი 9, საქმე 471, ფურცელი 9-ბ (ფურცელის ზედა და ქვედა ნაწილები)

19	10	მიხეილ	Приговорен Георий Иоаннисиес Никони и заскончан имен его Варлаам Абрагам и вон один приговорен	Митрополит Никониан имен Димитрий Епистемиан имен и вон.
Дицс сно	по промокому С. Кутину 24 მაი 1896. № 957.			



მღვდელმონაზონი ილია. 1959 წ.

10 ნოემბერს ნათლობის საიდუმლო აღუსტულებია სოფელ ყანდაურის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მღვდელს სფრიდონ ფხალაძეს, მედავითნეუბის („პრიჩეტნიკების“) — ლევან ელიზბარაშვილისა და ანდრია გარაზაშვილის „თანა დასწრებით“.

იმავე საბუიიდან ნათელი ხდება სრულიად საქართველოს მომავალი კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის მეღქისედეკ III-ის „სახელის მიმრქმელის“ (ნათლიის) ვინაობა. იგი ყოფილა სოფელ ყანდაურას მცხოვრები ივანე ჯაგაზიშვილის სჯულიერი მეუღლე — ეკატერინე ივანეს ასული.


ზემოხსენებული ივანე გიორგის (გლახას) ძე ჯაგაზიშვილი (1846-1902) ამ სოფლის მამასახლითი ყოფილა (ფ. 254, ა. 3, ს. 279, ფურც. 313-ბ). მამასახლისად იგი ოთხჯერ აურჩევიათ, რასაც ამ სოფელშივე მდებარე მისი საფლავის ეპიტაფიაც ადასტურებს.

მედავითნე გიორგი დიმიტრის ძე ფხალაძის ჯალაბობა იმდენად ახლოს ყოფილა თავიანთი ნათელ-მირონის, მამასახლის ივანე ჯაგაზიშვილის ოჯახთან, რომ იგი მეორედაც დაინათესავეს. გიორგი ფხალაძის 1878 წლის 21 ივნისს დაბადებული ასული (მომავალი კათოლიკოს-პატრიარქის და) — მარიამი იმავე წლის 28 ივნისს მონათლა ისევ ივანე ჯაგაზიშვილის სჯულიერმა მეუღლემ — ეკატერინე ივანეს ასულმა (ფ. 489, ა. 9, ს. 977, ფურც. 8-ა).

ამრიგად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის მეღქისედეკ III-ის (1872-1960) წინაპრები წარმოშობით იმერქონიდან იყვნენ. XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში ისინი დამკვიდრდნენ გარეკანეთის სოფელ ყანდაურაში, სადაც დაიბადა, მოინათლა და ყმაწვილობის წლები გაატარა მიხეილ გიორგის ძე ფხალაძემ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მომავალმა წინამძღოლმა. მისი ნათლია იყო სოფელ ყანდაურის მამასახლისას ივანე გიორგის (გლახას) ძე ჯაგაზიშვილის სჯულიერი მეუღლე — ეკატერინე ივანეს ასული ჯაგაზიშვილისა.

#### თიკო კავანიშვილი,

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯაგაზიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი



# სპორტის განპატოვება სამირიკაში

„წითელი“ გრუინჯის მონუმენტი ჩიკაგოს სტადიონზე

## „პიტილდეონბის ჭლების“ ყველაზე ცნობილი ადამიანები

XX საუკუნის 20-იანი წლების ერთ-ერთ დამახასიათებელი ნიშანი იყო ამერიკულთა მშარდი გატაცება სპორტით. ამ პერიოდს ზოგჯერ „სპორტის ოქროს ხანასაც“ უწოდებენ. აშშ-ში სპორტი ყოველთვის პოპულარული იყო როგორც საუნივერსიტეტო, ასევე პროფესიულ დონეზე. თუმცა მაშინ პროფესიული სპორტი ჯერ კიღვა ფეხს იკიდებდა, მაგალითად, ამერიკულ ფეხბურთში, ხოლო საუნივერსიტეტო გუნდები ძალიან პოპულარული იყვნენ.

ამერიკულ ფეხბურთში განსაკუთრებით ცნობილი იყო ნოტრდამის უნივერსიტეტის გუნდი. უძლიერესი ფეხბურთელი ჰარიოლდ „წითელი“ გრუინჯი კი ილინოის უნივერსიტეტის გუნდში თამაშობდა. გრუინჯი საუკეთესო ნახევრმცველი იყო. მას ზოგი მხტუნავ აჩრდილს, ზოგიც მფრინავ საშინელებას ეძახდა. მისი ნომერი 77 ბევრს მართებულად მიაჩნდა ორმაგად იღბლიანად. მიიჩნევა, რომ ნამდვილი პროფესიული ფეხბურთი მაშინ განვითარდა, როცა გადაბერებული და უიდბლო-

სპორტსმენებისგან შეძლგარ პროფესიულ ფეხბურთში უკვე უნივერსიტეტის კურსდამთავრებული გრუინჯი გადავიდა.

მკეთრად გაიზარდა დიდი სტადიონების რაოდენობა და სპორტულმა სანახაობებმა მართლაც მასობრივი ხასათი მიიღო. ამას მოჰყვა პრესაში სასპორტო განყოფილებების ზრდა, ხოლო რადიოს მეშვეობით გაცილებით მეტ ადამიანს შეეძლო ესმინა რეპორტაჟები განსაკუთრებით პოპულარული გუნდების შეხვედრებიდან. თუმცა სპორტული კომენტატო-



პაროლდ „წითელი“ გრეინჯი



დიდი სტადიონების აშენებამ სპორტულ სანახაობებს მასობრივი ხასიათი შესძინა. ჩიკაგოს ამერიკული ფეხბურთის სტადიონი 1923 წელს აიგო

წარწერა №77 სპორტსმენის მონუმენტზე

რები ხშირად აღმაზებდნენ, აზვადებდნენ მოედანზე მომზდარ ამბებს.

რასაკავირველია, მალიან პოპულარული იყო ბეისბოლი. აქ გამოირჩეოდნენ ნიუ-იორკის იან კების გუნდი და ამ გუნდისა და ალბათ მთელი ამერიკის ლუგენდარული მოთამაშე ბეი-იბ რატი (სხვათა მორის, რამდენიმე წლის წინ ნიუ-იორკისკენ მიძაგალ გზაზე მხოლოდ იმიტომ გადავურჩი დიდ ჯარიმას, რომ მანქანაში ქუდი მქონდა ამ გუნდის ემბლემით. პოლიციელს ამ გუნდის გულშემატკივარი ვერა ბე და დიდსულოუნება გამოიჩინა ჩემდამი — კ.კ.). შეიძლება ითქვას, რომ ბეიბ რატი ამერიკის შევრთოებულ შტატებში ყველაზე პოპულარული სპორტსმენი იყო. რაც კიდევ უფრო საოცარია, იგი საკმაოდ მძიმე წრინისა გახდებათ და თანაც, ალკოჰოლის მოყვარული.

ამერიკული სპორტის გარსკვლავი იყო მმიმეწონისანი მოკრივე ჯეპ დემპსი. როგორც ამბობენ, ის, ვინც საკუთარი ფეხით გმოვიდოდა არენიდან დემპსისთან ორთაბრძოლის შემდეგ, იყბლიანად მიიჩნეოდა. დემპსის იმდენად ძლიერი დარტყმა ჰქონდა, რომ ხშირად ჩემპიონობისთვის ფინალურ ბრძოლასაც კი 15-20 წამში ასრულებდა ნოკაუტით. სამოცმა მოწინააღმდეგვებ მეორე რაუნდამდე ვერ მიაღწია. თუმცა გამონაკლისიც ყოფილა. 1923 წლის 14 სექტემბერს, ნიუ-იორკში არგენტინულ ლუის ანხელ ფირპოსთან ბრძოლის დროს ორივე მხარეს 11 ნოკდაუნი აღინუსხა. ერთი ასეთი ნოკდაუნის დროს ფირპომ დემპსი ბაგირს იქით გადასტყორცნა და უურნალისტებს სასწრაფოდ რომ არ გადმოეგდოთ უკან, რინგზე, თვლაში ბრძოლას აგებდა, თუმცა საბოლოოდ შეხვედრა მოიგო.

ჩიკაგორთი, რომელიც ომამდე მდიდართა კლასის პრივილეგია იყო, ოციან წლებში სულ უფრო მასობრივ სახეს იღებს. პარადოქსია, მაგრამ სპორტის ამ სახეობის მასობრივად გადაქცევას სწორედ ამ პრივილეგირებული წრის წარმომადგენელმა, უილარ ტეიტ ტილდენ II-მ

## Harold “Red” Grange

The Galloping Ghost

77

Red Grange is considered the greatest player in college football history. He lettered as a halfback from 1923-25, earning All-America honors all three seasons. His most memorable performance occurred in the Memorial Stadium dedication game against Michigan on October 18, 1924, when he scored four touchdowns the first four times he touched the ball, on runs of 95, 67, 56, and 44 yards. He was inducted as a charter member into both the College and Pro Football Halls of Fame.

*“A streak of fire, a breath of flame; flinging all who reach and catch; A grey ghost thrown into the game that rival hounds may never track;*  
*blazing soul, whose destination is the goal - Red Grange of Illinois!”*

Grantland Rice, legendary sportswriter



ბეიბ რატი —  
ამერიკის  
გველაზე  
პოპულარული  
სპორტსმენი  
(მარჯვნივ)

შეუწყო ხელი. ამ განუმეორებელმა ჩოგბურ-  
თულმა აშშ-ის შვიდი ჩემპიონატი მოიგო, მათ-  
გან ექვსი ზედიზედ, სამჯერ გაიმარჯვა უიმბ-  
ლდონის კორტებზე და შვიდჯერ ზედიზედ და-  
ისაკუთრა დევისის თასი. ალბათ, არ არის გა-  
საკვირი, რომ მას დაუმარცხებელ ტილდენს  
უწოდებდნენ.

1920-იან წლებში სპორტის არც ერთი სა-  
ხეობა არ განვითარებულა ისე, როგორც გოლ-  
ფი და ალბათ, უფრო მისი სოციალური სტა-  
ტუსის გამო. გოლფის მოედნები ძვირი დირ-  
და, იქვე იყო კლუბები ძალაში მაღალი სწევ-  
რო გადასახადით. გოლფის თამაში უფრო  
პრესტიჟის საქმე გახდათ და ყველა ახალ-  
გამომცხარი წარმატებული ბიზნესმენიც  
გოლფის თამაშს ცდილობდა. 1920-იანი წლებ-  
შის მიწურულს ამერიკაში 5 ათასამდე გოლ-  
ფის მოედანი იყო. შესაბამისად, ამერიკულე-  
ბი გოლფზე წლიურად \$200 მილიონს ხარ-



ბეიბ რატი საქმაოდ მიიღ წინისა გახდათ და  
თანაც, რაც უნდა გასაკვირი იყოს, აღკომლის  
მოყვარულიც

ბეიბოლის გუნდი „ნიუ-იორკის იანები“ (1927 წ.)





(მარცხნიდე) ისტორიული მატჩის დროს ფირბომ ჯეკ დემბი რინგზეან გადააგდო; (მარჯვნიდე) ჯეკ დემბის

ჯავდნენ. ამ ეპოქის გოლფის გარსკვლავი ბობი ჯონსია.

ამავე პერიოდში პირველმა ქალმა, ნიუ-იორკელმა ჰერტრუდ ედერლემ გადაცურა პალე-კალეს სრუტე 14 საათსა და 31 წუთში.

„ყოთილდღეობის წლების“ ჰეშმარიტი გმირი, შეიძლება ითქვას, სუპერგმარი იყო მფრინავი, 25 წლის ჩარლზ ლინდბერგი, რომელიც 1927 წელს მარტო, ოვითმფრინავ Spirit of St. Louis-ით („სენტ ლუსის სული“) ნიუ-იორკიდან პარიზში ჩაფრინდა 33 საათსა და 39 წუთში. მაგრამ ლინდბერგმა ამერიკელები არა ამჟღადა გარკარტი



მარტო გმირული შემართებით მოხიბდლა, არა-მედ თაგმდაბლობით და იმ დროისთვის უკვე საკმაოდ უცხო არაპრაგმატულობითაც. აღტაცებული საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნებულს, ნიუ-იორკში მართლაც რომ ტრიუმფული შეხვედრა მოუწყვეს და ამერიკის ჰეშმარიტ გმირად აღიარეს. ამავე დროს, მისმა გადაფრენამ კიდევ უფრო გაზარდა ავიაციის პოპულარობა ისედაც ტექნიკაზე ორიენტირებულ ამერიკელებში. მაგრამ შემდგომში მის იძიჯს დიდი ზიანი მიაექნა მისმა კეთილგანწყობამ ნაცისტებისადმი და ჰიტლერის პერსონით აღფრთვანებამ.

პირველმა ქალმა კი ატლანტის ოკეანე 1928 წელს გადაიფრინა. ამელია ეარკარტი ბოსტონიდან გაფრინდა თვითმფრინავ Friendship-ით („მეგობრობა“, მაგრამ ლინდბერგისგან განსხვავებით, მას ორი თანამგზაური ჰყაუდა. სამწუხაროდ, 1937 წელს მსუბუქი სამგზავრო-სატრანსპორტო თვითმფრინავით მსოფლიოს გარშემო მოგზაურობისას, ეარკარტი უცხო-უკვლიოდ დაიკარგა წენარი რეკანის ცენტრალურ ნაწილში... დღესაც აშშ-ში ამელია სახალხო გმირად და მისაბაძად ამერიკელად რჩება.

**ვასლ კაშარავა,**  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესიონალი



მუშკატერები –  
კეთილმოგილ  
33 უთა სასახუო რაზმი...  
„თვითდაფინანსებით“

## მეცის მცველთა სახელგანთქმული ასეულის ფერმები მუდმივად ყელაგდე ვალში იხრჩობოდნენ

**მუშკეტერების სამხედრო შენაურო**  
ერთ-ერთ გველაზე ცნობილი იყო  
**XVII-XVIII საუკუნეების დასავლეთ**  
ევროპაში. უძრავლესობისთვის  
მუშკეტერები ცნობილია ალექსანდრ  
დიუმას ორმანიდან „სამი მუშკეტერი“,  
რომელმაც მხოლოდ განაახლა ხსოვნა  
მამაცი და გამბედავი მეომრების შესახებ.

მეცის მუშკეტერი



ფრანგი მუშკეტების მცველების ისტორია იწყება ე.წ. მეფის სამხედრო სახლიდან (La maison du roi), რომელიც, თავის მხრივ, ფრანგ მუშკეტია და დაცვიდან იღებს სა-თავეს. „მეფის სამხედრო სახლი“ ოფიციალურად წარდგენდა ქვეითი და ცხენოსანი სამხედროების მთელ შტატს, რომლებიც პირადად მონარქს ემსახურებოდნენ. „სახლი“ ითავსებდა სამეფო დინასტიის პირადი დაცვისა და გარდის, ანუ პრივილეგირებული სამხედრო ნაწილის ფუნქციებს.

მეფის მცველები ორ ნაწილად იყოფილნენ. ლუვრის შიდა დაცვა მეფის რეზიდენციას იცავდა, ხოლო ლუვრის გარე დაცვა მეფის უსაფრთხოებას სამხედრო ლაშქრობისა და მოგზაურობის დროს დარაჯობდა. პირველ შენაუროში შედიოდა პირადი დაცვის კორპუსი (შედგებოდა ერთი შოტლანდიური და სამი ფრანგული ასეულისგან, რომლებიც 1440-1515 წწ. შეიქმნა) და საუკუთხმო ქვეითი შვეიცარიული ასეული („ასი შვეიცარიული“).

მეორე ნაწილი — ლუვრის გარე დაცვა, შედგებოდა მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი გვარდიელი ჟანდარმებისგან (1609 წ.), მსუბუქი კავალერისტების ასეულისგან (1593 წ.), თვით სამეფო მუშკეტერებისგან (უფრო სწორად, შენაუროსგან, რომელიც მოგვაიანებით მუშკეტერთა ასეული გახდა) და გვარდიელთა ორი პოლკისგან: ფრანგული გვარდიისგან (1563 წ.) და შვეიცარიული გვარდიისგან (1616 წ.). მუშკეტერების ასეული დაარსდა 1600 წელს, ანრი IV ბურბონის მიერ. ასეული შეიარაღებული იყო მსუბუქი თოფებით, საიდანაც სროლა უნაგირიდან ადვილი იყო. 1622 წელს, ლუი XIII-მ, ანრი IV-ის შვილმა, ასეულს მუშკეტები გადასცა და სწორედ ამ მომენტიდან მიეცა დასაბამი მუშკეტერთა სამხედრო შენაუროს.

რა თქმა უნდა, მუშკეტერების ძირითადი მოგალეობა იყო მეფის დაცვა, როცა იგი პარიზში იმყოფებოდა, აგრეთვე მეფისა და მისი კარის დაცვა იმ დღებში, როცა იგი თავის სასახლე-



1600 წელს დაარსებულ ასეულს მეფე ლუი XII-მ მუშკეტები გადასცა და ამ მომენტიდან დასაბამი ძალება მუშკეტერთა სამხედრო შენაურთს

ოცდაათწლიანი ომის დროს მუშკეტერები პარიზში ახალგაზრდა და ლუი XIV-ის დასაცავად დარჩნენ



ებს ტოვებდა. მაგრამ ამასთან ერთად, მუშკეტერები მეტყოცი მონაწილეობდნენ. თუ მეფე ბრძოლის ველზე იყო, მუშკეტერთა ასეული მას სრული შეძალებლობით იცავდა, აგრეთვე, მეფის თანხმობით, შენაურთის ნაწილი ბრძოლაშიც მონაწილეობდა. მუშკეტერები ქვეით ნაწილებშიც იბრძოდნენ და ასევე დაცვის ფუნქციებს ასრულებდნენ ცხენოსანთა რიგებში.

### ბრძოლის ველზე

პირველი ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობდნენ მუშკეტერები, როგორც სამხედრო ნაწილის წარმომადგენლები, იყო კუნძულ რეზე (ლა-როშელთან ახლოს) გაღმოსხმული ინგლისური დესანტის განადგურება (1627-1629 წლების ინგლის-საფრანგეთის ომის ერთ-ერთ ეპიზოდი). ამის შემდეგ მუშკეტერები იბრძოდნენ თითქმის ყველა სამხედრო კონფლიქტში, რომელშიც მონაწილეობდა საფრანგეთი, გარდა ოცდაათწლიანი ომის (1618-1648) ბოლო კამპანიებისა, როცა ისინი პარიზში ახალგაზრდა ლუი XIV-ის დასაცავად დარჩნენ. აგრეთვე არ მონაწილეობდნენ ისინი საფრანგეთის ისტორიაში ცნობილ ბრძოლაში როკრუასთან, სადაც 1643 წლის 19 მაისს ფრანგულმა არმიამ ესპანური ჯარი პირწმინდად გაანადგურა (ოცდაათწლიანი ომი).

საერთო ჯამში, მუშკეტერები მონაწილეობდნენ XVII საუკუნის საფრანგეთის კონფლიქტებში, თუმცა მეფის მცველთა სამხედრო ისტორია დროთა განმავლობაში აღარ იყო უწინდებურად დიდებული. მუშკეტერთა ასეულში მსახურობდნენ უფრო მეფის მცველების სტატუსის გამო. ოფიცირები XVII საუკუნის დასაწყისიდანვე პროტექციით ინიშნებოდნენ, მაგრამ მაინც ისინი მკვეთრად განსხვავდებოდნენ თავისი მემკვიდრეებისგან. ლუი XIV-ის შვილთაშვილის, ლუი XV მეფის დასაწყისიდანვე პროტექციით ინიშნებოდნენ, მაგრამ არმიამ გაიმართა ბრძოლა როსბათან (შვიდწლიანი ომი), სადაც ავსტრიულ-ფრანგული 54-ათასკაციანი არმია პრუსიელთა 22-ათასიანმა არმიამ გაანადგურა. პრუსიელებმა მხოლოდ 550 კაცი დაკარგეს, ხოლო ფრანგებმა — 3 ათასი. 5 ათასი ტყველი ჩაგრიდა. ბევრი ფრანგი ოფიცერი წინააღმდეგობის გარეშე ნებდებოდა. უკანასკნელი ბრძოლა, რომელშიც მუშკეტერები მონაწილეობდნენ, გაიმართა ფრანგულუასთან 1745 წელს 11 მაისს (ომი ავსტრიული მემკვიდრეობისთ-

ვის), სადაც ფრანგულმა არმიამ ინგლის-პოლანდია-პანოუერულების გაერთიანებული არმია გაანადგურა.

იმდროინდელი სამხედრო ღოქტრინების შესაბამისად, მუშკეტერთა ასეული მოქმედებდა, როგორც ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული წებისმიერი შენაერთი: ბრძოლის ველზე გამოდიოდა ცეცხლის გახსნის მანილზე და სროლას იწყებდა. ძირითადად უმიზნებდნენ მტრის ოფიცირებს, მედროშებსა და ქვემქების მსახურებს. ამის შემდეგ ბრძოლაში ერთვებოდნენ ქვეითი შუბონსები (5-6 მტრიანი შუბებით) და ცხენოსხები.

1775 წლის 15 დეკემბერს დაწყებული სამხედრო რეფორმის შედეგად მუშკეტერთა ასეული დაიმალა, თუმცა მნელი წარმოსადგენი იყო, რომ სამხედრო მიღწვებით ცნობილი და გმირებით მდიდარი შენაერთი საბოლოოდ ბარდებოდა წარსულს. მუშკეტერთა შენაერთის ხელახლა შექმნა ორჯერ სცადეს. პირველად 1789 წელს, თუმცა მონარქის დამხობის შემდეგ 1792 წელს კვლავ გაუქმდა, მეორედ — ბერბონთა ოსტაგრაციის ეპოქაში, 1814 წელს. მაგრამ ჯარში, რომელიც მთლიანად ნაპოლეონის ვეტერანებისგან შედგებოდა, ახალი მუშკეტერები ისეთი ძლიერი ზიზღის მიერთად იქცნენ, რომ 1816 წლის 1-ელ იანვარს მათი შენაერთი საბოლოოდ დაიმალა.

XVIII საუკუნეში მუშკეტერები უფრო წარმომადგენლობით როლს ასრულებდნენ და

სხვა გვარდიული ნაწილებისგან არაფრით განსხვავდებოდნენ. გარდა ამისა, რამდენიმე წლის განმავლობაში ნაწილი გაუქმებული იყო, როგორც სამხედრო შენაერთი — ასეთი ბრძანება გასცა კარდინალ რაშელიეს მექვიდრემ, კარდინალმა მაზარინიმ, ხაზინის სახსრების ეკონომიის მაზნით. ეს 1640 წელს მოხდა, როცა მუშკეტერთა ასეულის მეთაური იყო კველას-თვის ცნობილი პერსონა, გრაფი დე ტრუვილი (მუშკეტერთა მეთაური 1634 წლიდან).

### ომი და გულალტერია

მუშკეტერები შეიარაღებული იყვნენ, რათემა უნდა, მუშკეტით, აგრეთვე დაშნით, ორორი პისტოლეტით, სხვადასხვა სახეობის ხანჯლით. ძირითადად ეს იყო ე.წ. დაგა, ანუ ხანჯალი მარცხენა ხელისთვის, გამოიყენებოდა ბრძოლის დროს დაშანასთან ერთად. მუშკეტის გარდა, რომელიც ხაზინის ხარჯზე გაიცემოდა, დანარჩენი იარაღისა და საკმარი ძვირი ფორმის, (ცხენების ხარჯი და ბანის ქირა (მუშკეტერები კაზარმებში არ ცხოვრობდნენ), მუშკეტერს საკუთარი ჯიბიდან უნდა გადაეხადა.

რიგითი მუშკეტერის ხელფესი შეადგენდა 300 ლივრს წელიწადში, კაპრალისა — 500 ლივრს, სერეანტის — 700 ლივრს. კაპიტან-ლეიტენანტი 600 ლივრს მეფისგან (ის ასეულის საპატიო კაპიტანი გახლდათ) იღებდა, კოდვე 600 მას პენსიის სახით ერგებოდა. პო-

უკანასკნელი ბრძოლა, რომელშიც მუშკეტერები მონაწილეობდნენ, 1745 წლის 11 მაისს ფონტენუასთან გაიმართა





გრაფი დე ტრუილი

რუჩიკის წლიური შემოსაგალი 1.500 ლივრი იყო, პრაპირშჩიკისა და კორნეტისა — 1000 ლივრი. შედარებისთვის, მეტლე იღებდა 30 ლივრს თვეში, მწევები — 28 ლივრს, მსახური — 12,5 ლივრს. აქ უნდა გავითვალისწინოთ დაშნის, ხანჯლების, ცხნის, ლამაზი ფორმის, პარიზში ბინის დაქმრავების ხარჯები. დაშნა ხარისხიანი ფხით 25-დან 60 ლივრამდე ღირდა, კარგი ცხენი — რამდენიმე ასეული ლივრი. როგორც კარგ გვარიშვილს, მუშკეტერს თავისი მსახურიც უნდა ჰყოლოდა, რომელსაც 15-20 ლივრს უხდიდა. რა თქმა უნდა, 300 ლივრი ამ ყველაფერს ვერ გაწვდებოდა და ფაქტობრივად, მუშკეტერები თვითონ ინახვდნენ საკუთარ თავს. დიდგაროვანთა ასეულების არსებობის აზრიც ეს იყო, რომ ისინი მეფეს თითქმის არაფერი უჯდებოდა.

რიგითი მუშკეტერი ცხოვრობდა 39 სუზე დღეში (სუ არის ძველი ფრანგული ეკონომიკური სისტემის დაბალი ერთული, ოუთის ანალოგი. 1 ლივრი 20 სუს უდრიდა). ყოველი მუშკეტერი აზნაური იყო და მათი მსახურებიც არ იყვნენ ჩვეულებრივი მსახურები, რომლებიც პატრონებს ღვინოს უსხამდნენ ან თუთუულს



მუშკეტერების  
აღკაზმულობა,  
1660 წ.

ურუცხავდნენ. ესენი იყვნენ ე.წ. სამხედრო მსახურების ვიწრო წრის წარმომადგენლები, რომელთა ძირითადი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობა იყო მუშკეტერის იარაღის, ცხენისა და აღჭურვილობის შესაფერის მდგომარეობაში შენახვა. გარდა ამისა, მუშკეტერს მსახური ყოველთვის დაპყვებოდა ბრძოლის ველზე, შეადი იყო, მიქვიდებინა მისოვის სათადრიეგო იარაღი და ყოველთვის იცავდა მას ზურგიდან, რაც ორმაგად ზრდიდა ბრძოლის ველზე მუშკეტერთა ასეულს.

გასაკვირი არის, რომ რიგითი მუშკეტერები გალებში გარდებოდნენ. ისინი იდებდნენ გალს შმობლებისაც, მეუღლებისაც, ერთმანეთისაც და, რა თქმა უნდა, მევახშებისაც, რაც საქმაოდ დიდ საფრთხეს წარმოადგენდა. თუმცა ამგვარი ვთარება დიდხანს არ გაგრძელებულა. 1661 წლის დეკემბერში ლუი XIV-ს მუშკეტერებს უბრძანა, სახსრების ეკონომიისთვის ორ-ორად დასახლებულიყვნენ სენ-ჟერმენის გარეუბანში, რათა ცოტათი მაინც შემსუბუქებულიყო მათი ფინანსური მდგომარეობა.

მუშკეტერთა აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენდა ფორმა და ცხენი. XVII-XVIII სა-არტანიანის სკულპტურა პარაზში (გუსტავ დორეს ნამუშევარი)



მეფის მუშკეტერი





რიგით და ოფიცერი მუშკეტერთა რაზმიდან



მუშკეტერის სამხრე, 1940 წ.

კარგი დაშნა 25-დან 60 ლიტრამდე ღირდა



უკუნის გარიურაჟზე კარგი, ღონიერი მუშა ცხენი 80 ლიტრი ღირდა. მაგრამ ისეთი ცხენი, რომლითაც მიწის დამუშავება შეიძლება, ბრძოლის ველზე არ გამოგება. საკალერიო ცხენი ღირდა 300 ლიტრი და ომის დროს ეს ფასი, რა თქმა უნდა, იზრდებოდა. ამას ემატებოდა მოსართავები, უურაჟის ხარჯები და ჯამში ცხენი საკმიდო ძვირი ფუფუნები გამოიდიოდა.

მუშკეტერთა ასეულში ცხენების შენახვითა და წერთნით კაპიტან-ლეიტენანტი იყო დაკავებული. ხაზინიდან ის ცხენებისთვის ყოველწლიურად 800 ლიტრს იღებდა, მაგრამ აღვილი მისახვედრია, რომ ეს თანხა საქმარისი არ იყო. ცხენის გარდა, მუშკეტერი ზრუნავდა თავის ფორმაზე, რაც ასევე აჩანაგებდა მის ფინანსებს. იმ დროს მუნდირები, როგორც ასეთი, არ არსებობდა და მუშკეტერთა ერთადერთი განმასხვევებელი ნიშანი იყო ცისფერი მოკლე ლაბადა, ზურგსა და მკერდზე ვერცხლისფერი ჯვრებით. ამას თუ არ გავითვალისწინებთ, სამხედროები იმავე ტექსაცელს ატარებდნენ, რასაც სამოქალაქო პირები. მაგრამ დროთა განმავლობაში მუშკეტერთა ფორმა იცვლდოდა და ხდებოდა უფრო და უფრო ძვირფასი და მდიდრული. ოქროსა და ვერცხლის ძაფებით ნაქარგი ფარჩა, ატლასი, ხავერდი, მაქმანები... ასევე აღსანიშნავია, რომ XVII საუკუნეში უურუნებისა და ძერძვასულობის საგნად მიიჩნეოდა ღილები. არისტოკრატები ისევე იყენებდნენ ღილებს, როგორც სამკაულებს. იმ დროისთვის პოპულარული იყო მინის ღილები პატარა ფიგურებით, პეზაჟებით, ასევე ბროლის ღილები და სხვ ღილები მიღენად დიდ ფასეულობას წარმოადგენდა, რომ გაკოტრებული არისტოკრატები თავიანთ ღილებს ჰყიდნენ, როგორც ოჯახურ ძვირფასეულობას. აღსანიშნავია, რომ მუშკეტერის ლაბადას 150-მდე ძვირფასი ღილი ეკერა.

### კორუფცია პალფრანებულად

დღვენანდელ შეარაღებულ ძალებში ახალი წოდების ძილება ხდება ან დაწინაურებისას, ან სამხედრო მსახურების რამდენიმე წლის გავლის შემდგე. XVII საუკუნის ფრანგულ არმიაში სხვაგვარი ვითარება იყო. სამხედრო წოდებები იყიდებოდა. მაგალითად, არმიის კაპიტნის წოდება 40 ათასი ლიტრი ღირდა, პოდპოლკოვნიკის წოდება ორჯერ ძვირად იყო შეფასებული. რა თქმა უნდა, მუშკეტერ-

## მუშკეტერების ფორმის გვლუცია



თა ასეულში ფასები ბევრად მაღალი იყო. მაგალითად, ასეულის ფაქტობრივი მეთაურის წოდების ფასი 200 ათასი ლივრი იყო! მუშკეტერთა კორნეტის წოდება ლირდა 35 ათასი, პორუჩიკის — 30 ათასი ლივრი. შესაბამისად, მდიდარ ფრანგ არისტოკრატს შეეძლო ეყიდა ნებისმიერი სამხედრო წოდება არმიაში, გვარდიასა და მუშკეტერთა ასეულში.

რა თქმა უნდა, მუშკეტერები, როგორც სამხედრო შენაერთი, არსებობდა სხვა ევროპულ ქვეყნებშიც. ესპანეთში ცნობილი იყო ეწ-ტერცია — არა სამხედრო შენაერთი, არამედ სამხედრო წყობა, რომელშიც მუშკეტერები და შუბოსნები ერთად მოქმედებდნენ. მუშკეტერები არსებობდნენ რუსეთშიც, სადაც ცნობილი იყვნენ სახელწოდებით „სტრელცი“. ისინი წარმოადგენდნენ რუსეთის ისტორიაში პირველ რეგულარულ ქვეით ჯარს, მაგრამ ძირითადი განსხვავება ამ მუშკეტერებსა და ფრანგ მუშკეტერებს შორის ის გახლდათ, რომ სამეფო მუშკეტერები წარმოადგენდნენ პრივალეგირებულ სამხედრო კლასს და დროთა განმავლობაში უფრო და უფრო წარმომადგენლობითი როლი ენიჭებოდათ.

**გიორგი ცოხაია**



ძველი მუშკეტერების პატივსაცემად, მსკლელობებზე საფრანგეთში დღესაც იცვამენ მათ ფორმებს



ПРОДЕ  
АСЧАМНІС



## ქართული კვალი ათონის წმიდა მთაზე

„არასწორია ჭარმოდგენა, რომ იქ ქართულ კვალს მალავენ“

ფინისში ათონის მთაზე მომუშავე ქართული ექსპედიციის წევრებს საშუალება მიეცათ, საკუთარი თვალით ენახათ ბევრი ისეთი რამ, რაც აქამდე ჩვენი მკვლევრებისთვის ხელმიუწვდომელი იყო. ფირონის მონასტერი, თორინიკე ერისთავის აბჯარი, ოშკის ბიძლია — არის თუ არა შემონახული ქართული კვალი ათონზე, რისი ნახვა და შესწავლა მოახერხეს ექსპედიციის წევრებმა და როგორია სამონასტრო ცხოვრება ათონის მთაზე, რომელიც ფაქტობრივად მართლმადიდებელ ბერთა მსოფლიოში ერთადერთი უტონობია — „ისტორიანი“ ხელნაწერთა ერთგული ცენტრის დარიუქტორ ბუბა ქულავას ესაუბრა.

— ათონის ხენებისას ბევრი მხოლოდ ათონის ქართველთა ძმინასტერს წარმოიდგენს. არა-და, ათონი საკმაოდ მოზრდილი ნახვარკუნძულია, რომლის ბოლოს აღმართულია პირდაპირ ზღვიდან ამოზიდული ათონის მთა (ზღვის დონიდან 2033 მეტრი). ამ მთას ბერძნები წმინდა მთას უწოდებენ. ათონი აფტონომიური სუბიექტია საკუთარი საზღვრებითა და თვითმმართველობით ადმინისტრაციული საზღვარი გადის იქ, სადაც ნახევარკუნძული იწყება.

— ნახევარკუნძულზე შესვლას ნებართვა სჭირდება?

— დიახ, საჭიროა საგანგებო ნებართვა, რომელსაც პირობითად ვიზას ეძახიან. სასაზღვრო პუნქტზე ურანოპოლისიდან, რომელიც ტურისტული ობიექტია, ათონზე საზღვაო გზით

შედიან. სამანქანო გზა არსებობს, მაგრამ მას იშვიათად იყენებენ — თუ დელგა ზღვაზე ან სხვა რამ საგანგებო შემთხვევაა.

საზღვაო გზით შედისართ ნაკმისაღომ დაფინდება აქედან სამანქანო გზით შეიძლება სხვადასხვა მონასტერში მისვლა, თუმცა ზოგ მონასტერში მხოლოდ საზღვაო გზით მოხვდებით.

— ნახევარკუნძულზე რამდენი მონასტერია?

— მონასტერი ოცია და მათი რაოდენობა არ იცვლება. ბოლო საუკუნეებია ეს მკაცრად არის განსაზღვრული. ამას გარდა, არის სკიტები (სავანები), რომელიც მონასტრის ქვემოთ საფეხურია. ქართული მასშტაბით სკიტი შესაძლოა დიდი მონასტერიც იყოს, მაგრამ ათონური მასშტაბით ეს მონასტერზე ნაკ-

ლები ერთულია. კვლა სკიტი რომელიმე მონასტერს ემორჩილება. შეძლევ მოღის კვლია (სენაკი), თუმცა არ უნდა აგვერიოს ბერის საცხოვრებელ სენაკში. კვლიაში ათი ბერიც შეიძლება ცხოვრობდეს. ზოგიერთი კვლია სკიტზე დიდია, მაგრამ მათ სტატუსი არ ეცვლებათ. კვლია ვერ გახდება სკიტი, სკიტი ვერ გახდება მონასტერი.

ყველა მათგანი ავტონომიურია, შიდა სამონასტრო საქმეებს, მაგალითად, ბერის მიღებასა და გაშვებას სკიტიდან თუ კელიიდან, კელიის ან სკიტის წინამძღვარი წყვეტს, მაგრამ ძირითადი საკითხები გადაწყდება მონასტერთან შეთანხმებით. მონასტრუების ერთობა ქმნის კინოტს, რომელიც ათონის მთის მმართველია. თითოეულ მონასტერს კინოტში საკუთარი მუდმივი წარმომადგენელი ჰყავს. თუკი საკითხი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, 20 წარმომადგენელს ემატება კიდევ 20 წინამძღვარი და 40 კაცი ერთად მსჯელობს.

— შეკვეთის არსებობდა პროტეის  
თანამდებობა, რომელიც ათონის მთის მბართ-  
ველი იყო. ეს თანამდებობა ახლაც არსებობს?

— ათონის მთას ერთი მმართველი აღარ ჰყავს და მას კინოტი მართავს. ნახევარებულებულის დედაქალაქია კარიესი, სადაც კინოტია განთვალისწილებული და მისი წევრუბიც აქ მუდმივად იმყოფებიან. აღმინისტრაციულ ცენტრში არის მარაზიები, მედუნებრტი, ვერტმფრენის დასაფრენი საგანგებო სიტუაციებისთვის, ვთქვათ სანძრისას ან რაიმე ექსტრემალურ სიტუაციაში დახმარების გაწვევის მიზნით. პატარა, სამონასტრო ტიპის გაერთიანებები თავდაცარიელშიც არის.

მონასტრებში ხშირად, და მრავლად მიღდიან მომლოცველები. 50, 100, ხშირად მეტნიც არიან და იქ რჩებათ, თანამედროვე ცივილიზაციის მონაპოვრების გარეშე, ელექტროენერგია იქნება ეს, თუ სხვა ტექნოლოგიები, შეუძლებელია მომლოცველთა ნორმალურად მიღება და გამასპინძლება. დღეს ეს მონასტრები თანამედროვე, გამართული ინფრასტრუქტურის დაწესებულებებია. რომელ მონასტრებშიც ვიყავი, არა მხოლოდ ინფრასტრუქტურა იყო გამართული, არამედ ემსახურებათ ბიბლიოთეკები, საცავები, სარესტაურაციო სახელოსნოები, ხის საამქროები, სასათბურე მეურნეობები საკუთარი სარწყავი სისტემებით და სხვ.



სიმონ-პეტრეს მონასტერი, უკანა პლანზე —  
ათონის მთა



## გრიგორიუს მონასტერი

## ათონის ნახევარკუნძულის რუკა





ფირონის მონასტერი



მცირუ ეკლესია ფირონის მონასტრის შიდა ეზოში, რომელიც ფერის ღვთისმშობლის ხატი არის დასკვებული

— დამეს მონასტრებში ათვედით ოუ სასტუმროების სისტემაც არსებობს?

— რამდენიმე დამე კელიაში გაგათენე, ერთი კი გრიგორიუს მონასტერში, საღაც ამჟამად ოთხი ქართველი ბერია. იქ დამისთვება შესაძლებელია და ამისთვის არც ანაზღაურებას იხდის სტუმარი. ლოცვის შემდეგ ტრაპეზია და ყველას ეპატიუებან, მომლოცველებსაც უბრალოდ აუცილებე-

ლია შესაბამისი წესის დაცვა, წინასწარ გაფრთხილება და შეტყობინება. გრაფიკი მეტრია და ოუ გრაფიკიდან ამოვარდი, შესაძლოა მონასტერი და კუტილიც დაგხვდეს. მაგალითად, არის მომლოცველთა მიღების სააფები, საზღვაო და სახმელეთო ტრანსპორტის განრიგი... ქართველი საზოგადოების დიდმა ნაწილმა იცის, რომ ათონის მთაზე მანდილონების შესვლა აკრძალულია. მათვების მხოლოდ 500 მეტრის დამორჩით ზღვით შემოვლაა ხებადართული, ასევე საშუალება ეძლევათ მონასტრები დურბინდებით დაათვალიერონ. ამ წესის დამრღვვენი კანონით ისვებიან.

### — რა სახის დასჯაზეა ლაპარაკი?

— ორი წლით თავისუფლების აღკვეთას უსჯიან ქალს, რომელიც ვთქვათ, მამაკაცის სამოსში გადაცემული შევა კუნძულზე, ან კატერიო ნაპირზე გადავა და ოტორებს გადაიდებს. ჩვენთან არსებობს სტერეოტიპი, თითქოს ათასწლეულია ათონის მთაზე მანდილოსანს ფქი არ დაუდგმს, მაგრამ ყოფილა გამონაკლისიც. მაგალითად, XIX საუკუნეში ბერძნები ოსმალებს აუჯანყდნენ და მაშინ ძალიან ბევრი ლტოლვილი შეიფარეს მონასტრებმა, მათ შორის ქალები და ბავშვები. ცხადია, როცა საფრთხე ადამიანთა სიცოცხლეს ემუქრებოდა, ამ წესების დაცვის დრო არ იყო.

— მონასტერში ყოფნისას, ტაბაკონის მიზედვით დაგებოდით და ესწრებოდით ლოცვას?

— შეძლებისდაგარად. თუმცა, იმის გამო, ოუ დილის 4 ან 5 საათზე ვერ ადექტი და სრული წირვა-ლოცვა ვერ მოისმინე, მონასტერს არავინ დაგატოვებინებს. წირვის შემდეგ არის ტრაპეზი, შემდეგ წმინდა ნაწილების მოლოცვა. ათონის მთის მონასტრები წმინდა ნაწილებით უმდიდრესია. წარმოიდგინეთ, ვატოპედის მონასტერში ყოფნისას საშუალება გვქონდა ერთორულად გვეცა პატივი იოანე ღერობირისა და გრიგოლ ღვთისმეტყველის თავის ქალებისთვის. აქ არის ანდრია პირველწოდებულის, წმინდა გიორგის, სტეფანე პირველმოწამის და სხვა მრავალი წმინდანის წმინდა ნაწილები. სიმონ-პეტრეს მონასტერშია დასკვენებული მარიამ მაგდალინელის ხელის მტევნანი. თითქმის ყველა მონასტერს აქვს ცხოველმყოფელი ჯვრის წმინდა ნაწილი, რომელზეც მაცხოვარი გააკრეს.

წმინდა ნაწილების მოლოცვის შემდეგ ბერები ისვენებენ, მერე კი აღასრულებენ მორ-

# უსმირეთ „ისტორიანს“ რადიო პალიტრის ეთარზი

საქართველოსა  
და მსოფლიოს  
ისტორიის ნაცონაზ  
და უცნობი ფაქტები,  
პიროვნებები,  
მოვლენები-ახალი  
კუთხით!



თომარის  
ავტორი და წარვალი  
ჯაბა სამუშაოს

ჩვენის ჩაუძირავის თავი არ არსებობს!



უსმირეთ!  
**FM 103.9**

[www.palitratv.ge](http://www.palitratv.ge)

უყურეთ!



ყოველ სამაგათს  
**16.00** სტ-ზე  
განეორჩებით კვირას  
**17.00** სტ-ზე



„წიგნთსაცავში  
დაახლოებით  
ასამდე  
ხელნაწერია,  
მათი უმეტესობა  
X-XI  
საუკუნისაა“

ჩილების დადგენილ წესებს. მომლოცველებმა კი მათ სიმყუდროვე არ უნდა დაურღვიონ. არის ადგილები, სადაც მათი შესვლა არ შეიძლება, მაგრამ სხვა მხრივ თავისუფალი ხარ. ვინც მოლოცვას დააპირებს, ყველას ვურჩევდი, წინასწარ გაეცნოს ამ წესებს, შეატყობინოს მონასტრებს თავიანთი ვიზიტის შესახებ და ისიც, თუ რამდენი წნით უნდათ დარჩენა.

— თუ აღიარებენ ბერძნები, რომ ივირონი ქართველთა შექმნილია და იქ ქართველები მოღვაწეობდნენ?

— ოც მონასტერს შორის მყაცრად განსაზღვრულია თანამიმდევრობა. პირველი მონასტერი არის ათანასეს ლავრა. ეს ლოგოკურიცაა, ათონის მთაზე პირველი მონასტერი სწორედ ათანასე დიდმა დაარსა, დედით ლაზ-

#### ქართული ხელნაწერები



მა. თავიდან ქართველები ამ მონასტერში მოღვაწეობდნენ. X საუკუნის 80-იან წლებში თორნიკე ერისთავის სახელს უკავშირდება თვირთნის მონასტრის დაარსება. იგი მეორე იყო თანმიმდევრობით, მაგრამ, მოგვიანებით მისი ადგილი გატუპედის მონასტერმა დაიკავა. თუმცა ეს რიგითობაც პირობითად და უფრო ტრადიციის გამომხატველია. მაგალითად, წმინდა პატტელებიმონის რუსული მონასტერი ამ რიგში არის მე-17 თუ მე-19, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი სუსტი მონასტერია ბერძის რიცხვით ან მატერიალური მდგომარეობით.

— ეს მონასტერი რუსეთის საპატრიარქოს ემორჩილება?

— არა, ათონის მთაზე ყველა მონასტერი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ემორჩილება, თუმცა ისინი ავტონომიურია. მონასტრის წინამდებარს ირჩევს ადგილობრივი ბერთა სამმო და კონსტანტინოპოლის პატრიარქსაც არ შეუძლია ამ გადაწყვეტილების შეცვლა. იქ არსებობს რუსული, ბელგარული, სერბიული მონასტრები, ბერძნულები თავისთავად, მაგრამ ეს ნიშნავს საეკლესიო მსახურების ენას და იმას, საიდან არის ბერთა უმრავლესობა.

— როგორ შევხვდებ ივირონში?

— საკამაოდ თბილად მიმიღეს. შეიძლება იმიტომ, რომ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს წარმოვადგენდი, თანაც ყველა წესი დაგიცავით და წინასწარ ვითხოვეთ კოლექციის დათვალიერების ნებართვა. გვაქვს ტრადიციაც ათონის მთასთან თანამშრომლობისა და გასათვალისწინებე-



თორნიტკე ერისთავის  
აბჯარი

ლია პიროვნული კაფშირებიც. ფირონში ბერები თავად აღნიშნავდნენ, რომ მონასტრის ქტიოტორები, დამაარსებლები და აღმშენებლები ქართველები იყვნენ. თუმცა არ უთქამოთ, რომ მონასტრი ქართული იყო და ახლა ბერძნულია. როგორც ჩანს, ეს აღქმის საკითხია. მათი დამოკიდებულებით, მონასტრის დამაარსებლები იყვნენ ქართველები. გეტყვით იმასაც, რომ იქ ნაყიდი ინგლისური და რუსულენოვანი ცნობარებიდნ ზოგიერთში, ალბათ იმათში, რომელიც ბერძნულის საფუძველზე მოშავდა, წწერა, რომ ქტიოტორები იყვნენ ქართველები, ზოგან კი ისთც იყო მითითებული, რომ განსაზღვრულ პერიოდში მონასტრი ქართული იყო.

— სად არის დასვენებული ფირონის კარიბჭის ღვთამშობლის ხატი?

— მონასტრები, როგორც წესი, ოთხკუთხაა და ციხესიმაგრეს გვაგონებს, მაღალი კედლებით და რამდენიმე შესასვლელით. ამ სივრცეში ერთი ან რამდენიმე კელებია. საკმაოდ სქელი კედლების მიღმა ბერთა სენაკები, სატრაპეზოები და სხვადასხვა სათავსია. ამ მონასტრებში ცხოვრება მათი დაარსების დღიდან არასოდეს შეწყვეტილა. დღესაც შეიძლება ტაძრი აშენდეს რომელიმე მონასტრის შიგნით, შეიძლება რაღაც მიაშენონ ბერებისთვის. მაგალითად, ფირონში საბი წლის წინ გაიხსნა მუზეუმი, რომელიც საგანგებო და მოგეცეს მოლლოცების საშუალება. ფირონში ასევე დგას წიგნისაცვი, სადაც ინახება მდიდარი კოლექცია ქართული ხელნაწერებისა.

რულად იღუსტრირებული ხელნაწერები, ასევე მდიდრულად მოჭედილი ყდებით. არის ნაკარგობის ნიმუშები, მღვდელთმთავრების სამოსელი, ოლარი, ომფორი, მღვდელმსახურებისთვის საჭირო ქსოვილები, გარდამოხსნა...

ივერიის ღვთამშობლის ხატისთვის ეზოში აგებულია ცალკე ეკლესია. ხატი სწორედ ამ ტაძარშია დასვენებული. დადგენილია დრო, როცა ხატთან მიახლოება და მთხვევა შეიძლება. თუ ეკლესია დაკეტილია, საგანგებო წებართვაა საჭირო, რათა გააღონ და მოგეცეს მოლლოცების საშუალება. ფირონში ასევე დგას წიგნისაცვი, სადაც ინახება მდიდარი კოლექცია ქართული ხელნაწერებისა.


— წმინდა ნაწილებიც არის მუზეუმში?

— წმინდა ნაწილები არა მუზეუმში, არამედ მცირე ტაძარშია დასვენებული, რადგან მათი მოლლოცება სამონასტრო ცხოვრების ერთ-ერთი რიტუალია.

— ქართული თუ შემორჩენილი რამე მუზეუმში?

— ექსპონატებს შორის ქართული მასალა შედარებით მწირია (თუმცა ეს არაჩვეულებრივი ნიმუშებია) — ფირონის დაკარგვიდნ ნახვარი ათასწლეული გავიდა და ამის შემდეგ მონასტრეს, ცხადია, ბევრი რამ შეემატა. აქ ინახება უნიკალური ექსპონატი, თორნის ერთ-ერთი დამარსებლისა და ქტიოტორის, ბერად შემდგარი სარდლის აბჯარს აქ მოწინებით ინახავთ.

— ამ აბჯარის ფოტო არასოდეს გამოქვეყნილი:



ქართული  
ხელნაწერები

### ნებულა. მოგცეს უფლება, რომ ფირზე აღგე- ბეჭდა?

— იქ მაღლად რამის გადაღება შეუძლე-  
ბელია. ნებართვა ვითხოვე და ქართული ექს-  
პონატები, რაც გამოფენილი იყო, თითქმის  
ყველა გადავიდე, მათ შორის თორჩივე ერის-  
თავის აბჯარიც. სამწუხაროდ, ისე არ არის  
ექსპონირებული, რომ კარგად აღიქვათ მისი  
ფორმა. ასევე გამოფენილია ერთ-ერთი გა-  
მორჩეული ქართული ხელნაწერი — ოპიზის  
სახარება. აქვეა გიორგი მთაწმინდელის ხელ-  
ნაწერი, მონასტრის ერთ-ერთი დამაარსებ-  
ლის, ექვთიმე მთაწმინდელის ავტოგრაფიული  
ხელნაწერი. თუმცა, ბერძნებისგან განსხვავე-  
ბით, ქართველი მეცნიერები ფიქრობენ, რომ  
ის ექვთიმე მთაწმინდელის ავტოგრაფიული  
ხელნაწერი არ არის. როგორც მითხვეს, კო-  
ლექციაში აქვთ ორი ქართული ხატი. მუზე-  
უმში გამოფენილია ნაქარგობანი, მაგალითად,  
გარდამოხსნა ვრცელი ქართული წარწერით,  
ასევე ქართული განმარტებითი წარწერებით,  
წმინდანების გამოსახულებებით.

### — ქართველი სპეციალისტებისთვის ამის შესახებ ცნობილია?

— არ ვიცი, რამდენად კარგად არის შეს-  
წავლილი, მაგრამ ქართველმა სპეციალისტებ-  
მა ეს იციან. ასევე არის მდვდელომთავრის სა-  
მოსი ქართული და ქართულ-ბერძნული წარ-  
წერებით. აღსნიშნავია, რომ ჩვენი მასპინძე-  
ლი, რომელსაც ასე ვთქვათ, მონასტრის წი-  
ნამდღვრის მოადგილის პოსტი ეჭირა (ეს პი-  
რობითად, თორქე ასეთი პოსტი იფიციალუ-  
რად არ არსებობს), საგანგებოდ მიგვანიშნებ-

და იმ ექსპონატებზე, რომელიც ქართული  
იყო. ანუ წარმოდგენა, რომ ამას მალავენ და  
ჩქმალავენ, არასწორია.

### — ძველი ნაკარი წარწერებიც ზომ არ არის?

— ტაძარში დიდი ხნით ყოფნის საშუალე-  
ბა არ გვქონდა. შევედით, მოვილოცეთ და გა-  
მოვედით თუმცა მეტყვება, იქ ნაკარი წარწე-  
რების კავალი იყოს. როგორც გითხარით, ეს  
ცოცხალი მონასტრები იყო და ახლდებოდა. ბერძნულ-ათონურ არქიტექტურაში არ არის  
თლილი ქვებით მოპირკეთუბული ტაძრები. იგი  
შელესილი და შედგებილია. ტაძრებს მუდმი-  
ვად ლესავენ და ღებავენ. ტაძრის შიგნითაც  
ბერძი ახალი კავალი უტყობა. რომელიმე ტა-  
ძარი შეიძლება რამდენიმე ათეული წლის წინ  
იყოს მოკირწყლული...

### — აღნიშნეთ, რომ ვიორონში წიგნისაცა- ვის აშენებაც აქვთ განხრახული...

— დღემდე ჩვენ სრულყოფილად, თანამედ-  
როვე დონეზე არ გვექვს გამოცემული ათონის  
მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. გან-  
ზრდახული გვაქვს, გამოიცეს იგი ქართულ, ბერ-  
ძნულ, ინგლისურ ენეზე. ამ მხრივ მნიშვნე-  
ლოვანია ჩვენი თანამშრომლობა საკუთრივ ვი-  
ორონის მონასტერთან. მადლობა ღმერთს, მო-  
მეცა საშუალება ამ ხელნაწერების დაუბრკო-  
ლებლად მონახულებისა. დაახლოებით ასამ-  
დე ხელნაწერია, მთის უმეტესობა X-XI საუ-  
კუნისა და ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ  
ქართული კულტურის ისტორიისთვის. გამორ-  
ჩეული ხელნაწერია ათონის, ანუ იგვე ომკის  
ბიბლია თუ უზარმაზარ ტომად. ერთ-ერთი

ტომი გამოფენილია შიგნით წიგნთსაცავში, ვიტრინაში. მეორის გადაუერცვლისა და დათვალიერების საშუალება მომეცა. ბოლო წლებში იქ აღმოჩნდა მანამდე უცნობი ქართული ხელნაწერები, რომელთა უმეტესი ნაწილი არის XIX საუკუნისა, ორიოდე კი ადრეული პერიოდის. ასევე გმოჩნდა რცამდე ძველი, ქართულად ნაპეჭდი გამოცემა, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია, რადგან შეიძლება ახლდეს მინაწერები. შეიძლება მათ შორის ისეთებიც იყოს, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწვევია. ან, მოღწეულია ერთ ან ორ ვეზემპლარად და ისიც ნაკლულად. მდიდარია ბერძნულ ხელნაწერთა კოლექცია — 2320 ვეზემპლარია და მათზეც, ასევე არის და შესაძლოა კიდევ იყოს ქართული მინაწერები და განმარტებები.

— ქართველი ბერები თუ არიან ათონის მთაზე და სხვა მონასტრებში თუ არის ქართული სიძეველები?

— ათონის მთაზე მუდმივად 12 თუ 13 ქართველი ბერია. ამას გარდა, არიან ბერები, რომელებიც იქ სასწავლებლად ჩაიყიდნენ. ვატოპედის მონასტერში ოთხი ქართველი ბერია. ამდენივე ბერია გრიგორიუს მონასტერში. ერთი ბერი ათანასეს მონასტერშია, ერთიც — პანტელეიომონის რუსულ მონასტერში, წარმოშობით ზუგდიდელი, გვარად ჭევია, მამა ერმოლაოსი, რომელიც არქიტა და ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს. მან დაამუშავა და მოაწესრიგა უსისტემოდ არსებული კოლექცია. შეადგინა კატალოგი, გამოვლინა მანამდე უცნობი ქართული ხელნაწერები, საარქივო მასალები ქართველი ბერების შესახებ.


ხუთ ქართულ ხელნაწერს რამდენიმე წლის წინ სიმონ-პეტრეს მონასტერშიც მიაკვლიეს. საქმაოდ დიდი ფრაგმენტებია, XI-XII-XIII საუკუნეებისა. რამდენადც ვიცით, ათანასეს ლავრაშია კიდევ ერთი ქართული ხელნაწერი და არ არის გამორიცხული, სხვაგანაც იყოს. სამომავლოდ შესადგენია დიდი პროგრამა, რომლითაც მოვიძებთ ქართულ ხელნაწერებს, საარქივო მასალებს, სატებს, წმინდა ჭურჭელს, სამდვდელმთავრო შესამოსლებს სხვადასხვა მონასტერში. ქართული კვალი ფენელგან შეიძლება გამოჩნდეს. მით უმეტეს, თუ გაიხსენებთ, რომ ქართველი დიდბულები, მეფეები, მათი ოჯახის წერები ყოველთვის ცდილობდნენ, წმინდა ადგილებში შეწირულობანი გაგზავნათ.

ესაუბრა ნინო ჯაფარიძე



ივარონის მუზეუმი

მუზეუმში გამოფენილი მღვდელთმთავრების სამოსელი





## ატლანტიდა – მითი თუ რეალობა?

აულანწიდა მართლა არსებობდა თუ მხოლოდ მითებში? რა თქმა უნდა, ამ კითხვაზე პასუხი არ არსებობს და ძეგლი სათქმელია, ოდესმე აქტებია თუ არა ფარჯა ამ საიდუმლოს. ნებისმიერ შემთხვევაში, გამოთქმულია ერთმანეთზე უფრო საინტერესო მოსაზრებები, რომლებიც მხოლოდ კარაულების ღონიერება და შესაძლოა, სინამდვილესთან არანაირი კავშირი არ ჰქონდეს.

სხვადასხვა ვერსიის თანახმად, ატლანტიდა  
მდგებარეობდა თანამედროვე ატლანტის ოკე-  
ანები (ზოგი ვერსია ბერმუდის ანომალიურ  
ზონას უკავშირდება), ხმელთაშუა ზღვის, შა-  
ვი ზღვის აუზში და სხვ. გარდა ამისა, ფრანგი  
მიგზაურის კუსტოს ექსპედიციაც 1978 წელს  
შევცადა დაკარგული იმპერიის მოძიებას, მაგ-  
რამ უშედგენდ.

თვით მთია ატლანტიდაზე დაკავშირებულია პლატონის სახელითან, რომელიც ძვწ. IV საუკუნეში წერდა, რომ ჰერაკლეს სეგეტების გაღმა მა მდებარებოდა ჩაძირული კუნძული, სადაც თავის დროზე ატლანტების მეტად განვითარებული ციფილიზაცია არსებოდა. ის დაახლოებით 9,5 ათასი წლის წინ მომხდარმა გეოგრაფიულმა კატასტროფამ იმსხვერპლა, რასაც კუნძულის ჩაძირავაც მოჰყვა. პლატონის გაღმიცემით, ატლანტები ფლობდნენ უდიდეს ცოდნასა და პილიტიკურ ძალას, რის მქონეობითაც სამხედრო კამპანიებს წარმართვადნენ ურაზის ტერიტორიაზე. ერთ-ერთი კამპანიის დროს ისინი ათენელებს შეებრძოლნენ და დამარცხდნენ. შეძლომში ატლანტებს ღმერთების რისხა დაატყოდათ თავს და განადაგურდნენ.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ პერაკლეს  
სვეტებად ყოველთვის მოიხსენიებოდა გიბ-  
რალტარის სრუტე, რომლის იქთ ატლანტის  
ოკეანე იშლებოდა. სწორედ იქ განისვენებდა,  
პლატონისეული გაგებით, ჩამირული ცივილი-  
ზაცა. მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ  
პლატონის ეს ერთია რეალობას მოკლებულია  
და ამ შემთხვევაში შესაძლოა საქმე გვეონ-  
დეს მინოსურ კრეტასთან, თავის დროზე საკ-  
მაოდ განვითარებულ სახელმწიფოსთან. ისტო-  
რიკოსები არც სანტორინიზე მომხდარ დევ-  
კალიონის კატასტროფას გამორიცხვენ, რო-  
მელმაც ადგილობრივი განვითარებული ხალ-  
ხი გაანადგურა. მიუხედავდ ამისა, დღეს მიჩ-  
ნეულია, რომ ათენელებს ომი მინოსური კულ-  
ტურის ხალხებთან არასდროს ჰქონიათ. შე-  
საბამისად, მითი ატლანტიდის შესახებ შესაძ-  
ლოა იმით აიხსნებოდეს, რომ პლატონმა თო-  
მას მორის „უტობის“ მსგავსად შექმნა იდე-  
ალური საზოგადოების მოდელი და საკუთარ  
დიალოგებში გააცოცხლა. „პერაკლეს სვეტე-  
ბიც“ შესაძლოა მხოლოდ ტოპონიმის სახით  
გამოიყენა ცნობილმა ფილოსოფოსმა.

მიუხედავად ამისა, XIX საუკუნის ამერიკულ-

მა საზოგადო მოღვაწეობა და მწერალმა იგნეიშეს დონელი (Ignatius Donnelly) წამოაყენა ჰიპოთეზა ატლანტის ოკეანეში ჩამირული ციფილიზაციის შესახებ და ამით საფუძველი ჩაუყარა ატლანტოლოგიას. იგი მიიჩნევდა, რომ ატლანტიდის ციფილიზაცია ნამდვილად არსებობდა და მან შექმნა უჯარმაშარი იმპერია ევრაზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ტერიტორიაზე. შესაბამისად, დონელი ამბობდა, რომ ჩაძირული „დელფინის თხემი“ სწორედ ყოფილი კონტინენტის ნაწილი იყო, ანუ ცენტრი, საიდანაც მთელი იმპერია იმართებოდა. ამასთან, მწერალს მოჰყავს ძეველი მექანიკური და ზოგადად ინდიელთა მიერ შექმნილი ლეგენდები, რომელებიც გვამცნობენ შორეულ წარსულში მომხდარი წარდგნის შესახებ.


ერთ-ერთი მათგანი ძალიან წააგავს ნოეზე ბიბლიურ გადმოცემას. კერძოდ, აცტეკური ლეგენდა გვამცნობს, რომ ნოეს მსგავსად, ვინმე კოქსგოქსი იყო ერთადერთი პირი, ვინც მსოფლიო წარდგნას გადაურჩა. მნ თავის ცოლთან ერთად კვიაპაროსის წის მეშვეობით ააგო დასურული ხომალდი და ბუნებრივ კატაკლიზმს გადაურჩა. საბოლოო ჯამში, იგი მიაღდა კულუაკანის მთას (გვიასეხნოთ ნოეს კიდობანი და არარატის მთა) და ხმელეთზე მშვიდობიანად გადავიდა. რა თქმა უნდა, ეს არგუმენტები არ არის საკმარისი ატლანტური იმპერიის არსებობის დასადასტურებლად, მაგრამ მიუხედავად ამისა, დონელიმ დიდი ზეგავლენა მოახდინა ბევრ მკლევარზე. მათ შორის იყო რუსი თომოსოფი ელენა ბლაგატსკაიაც, რომელმაც „საიდუმლო ღოქტრინაში“ ატლანტიდის დაღუპვა აღწერა. იგი ამბობდა, რომ თითქოს კატასტროფის წინ ატლანტები სადღაც გაუჩინარდნენ, რაც მის მოსახრებებს ზღაპრულ და პოპულისტურ დატვირთვას აძლევს და არანაირი მეცნიერული ღირებულება არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, „საიდუმლო ღოქტრინაში“ მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ხალხის მასებზე. იგვე შეიძლება ითქვას ანთოროპოსოფიის ფუძემდებელ რუდოლფ შტაინერზე, რომელიც ატლანტოლოგიით იყო გატაცებული. დასასრულ, აღსანიშნავია ერთი პარადოქსი ანდების მთებთან დაკავშირებით კერძოდ, პერუს ტერიტორიაზე, დაახლოებით 3000 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს უზარმაზარი ნაგებობები, რომელთა ნაწილი საკმაოდ დაზიანებულია და მიიჩნევა, რომ ზოგიერთი მათგანი საიდანლაც მოიტა-

ნეს. ფიზიკის კანონების თანახმად, ეს ყოვლად წარმოუდგენელია, დასაშეგებია მხოლოდ წყლის ზემოქმედება. მაგრამ ამხელა სიმაღლეზე წყლის აღწევა მხოლოდ გლობალური წარლგნის შედეგი უნდა ყოფილიყო.

როგორც ვხედავთ, ატლანტიდის საიდუმლო მხოლოდ პიაბოუშებით შემოიფარგლება, რაც ნამდვილად არადამაჯერებელია და ამ შემთხვევაში პლატონის მიერ აღნიშნული მითის გამოგონება ყველაზე მისაღები უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, ნამდვილად ბევრი პარადოქსი არსებობს ატლანტიდასთან დაკავშირებით, რასაც შესაძლოა პასუხი ვერასოდეს გაეცეს.

## ინაკლი ზორავოლიანი,

ისტორიის მაგისტრი



პლატონი



თომას  
მორი  
(პანს  
პოლბეინ  
უმცროსი,  
1527 წ.)



## ასალგაზრდული ამპონი ჰოლივუდი

### მარლონ ბრადორისა და ჯეიმს დინის კინემატოგრაფიული „რევოლუცია“

თანამედროვე ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია ტელევიზიისა და კინოს გარეშე. ჰოლივუდის მსოფლიო კინემატოგრაფის ცენტრად მიიჩნევენ. ამერიკული კინო რიგითა ამერიკულის მისი ეროვნულობის ერთ-ერთი მთავარი გამომხატველია, ამიტომაც აშშ-ში ყველაზე დიდი „კურპები“ კინოფარსკვლავები არიან. კინო უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანზე, ის ერთი მხრივ ასახავს საზოგადოების ყოფას, მეორე მხრივ კი თვითონ ზემოქმედებს მასზე. ჰოლივუდი, სხვა ყველაფერთან ერთად, არის მითოსური გმირებისა და ღვევენდების სამყარო, რომელიც გმირებს ქმნის, ანადგურებს კიდევ მათ და შემძლება უკედაფოვთს...

#### აირველი ნაბიჯები

კინოს ისტორიის დასაწყისად ითვლება 1895 წლის 28 დეკემბერი, როცა მმებმა ოგიუსტ და ლუი ლუმიერებმა პარიზის „გრან კაფეში“ პირველი კინოჩენება მოაწყვეს. სეანსმა, რომელიც რამდენიმე ერთწუთიანი ფირისგან შედგებოდა, 20 წუთს გასტანა და განსაცვიფრებელი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებელზე. მმებმა გამოიგონეს და დააპატენტეს აპარატი, რომელ

საც „კინემატოგრაფი“ უწოდეს. გარდა ლუმიერებისა, კინოს წარმოშობასა და შემძგომ განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ილუზიონისტური თეატრის მფლობელმა ჟორჟ მელიასმა, რომელმაც თავის წარმოდგენებში ჩართო ხსენებული მოწყობილობა და ცნობილმა ამერიკელმა რეჟისორმა დევიდ უორკ გრიფიონმა. მან დანერგა ახალი ხერხები: ერთი და იმავე სცენის სხვადასხვა მხრიდან

გადაღება, ფართო ხედი, დაბნელება და სხვ. მისი ნოვატორული ხედგა, გამოვონებები და მიღწევები მთელი სიდათადით წარმოჩნდა 1916 წელს გადაღებულ ფილმში „შეუწყისარებლობა“, რომელიც საეტაპო ნამუშევარია მსოფლიო კინონდუსტრიის ისტორიაში. სწორედ გრიფითის მიერ ფილმის გადასაღებად შერჩეულ ადგილს, ლოს-ანჯელესის სამხრეთ შემოგარენში, უწოდეს მოვგაიანებით ჰოლივუდი.

XX საუკუნის 20-იან წლებამდე კინო მუნჯი იყო. მუნჯური კინოს არტისტებმა უდიდესი პრესულარობა და სიყვარული მოიპოვეს არა მხოლოდ ამერიკულ საზოგადოებაში. მათში გამორჩეულია ჩარლი ჩაპლინი და ბასტერ კიტონი, რომლებიც იმ პერიოდის ყველაზე კაშკაშა გარსკვლავებად მიიჩნევიან.

1927 წლებს გამოიყიდა პირველი ხმოვანი კონ „ჯაზის მოძღვრალი“, რამაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვაო. მუნჯური კინოს მიმღვრები მიიჩნევდნენ, რომ ეკრანზე მეტყველება გაანადგურებდა კინოხელოვნებას. მაგრამ უკვე 30-იანი წლების დასწყისშივე ხმოვანი კინო იქცა კინონდუსტრიის სტანდარტად და დაიწყო ახალი ერა, რომელმაც შეა ახალი გმირები. გამოჩნდა განგსტერული და ვესტერნის უანრის ფილმები და კინომ მრიცვა გაცილებით დიდი აუდიტორია. კერი გრანტი, ჯო უეინი, კლარკ გეიბლი, ჯეიმს სტიუარტი, პატრი ბოგარტი, ჰენრი ფონდა, ვიკინ ლი და სხვები შეიძლება ითქვას, ახალი ეპოქის კერპებად იქცნენ.

## პირველი დაბადება

ამ დროიდან, 1929 წლიდან დაახლოებით ათი წლის განმავლობაში, დანარჩენი მსოფლიო და განსაკუთრებით ამერიკა „დიდმა დეპრესიაში“ მოიცვა, რაც ეკონომიკური კრახით იყო გამოწვეული და რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ზოგადად მსოფლიოს ცხოვრების წესი. ერთ-ერთი უძინდრესი ქვეყანა უკიდურესი სიდატაკისა და მასობრივი შიმშილობის მსხვერპლი გახდა, რამაც მძიმე დაღი დაასვა ხალხის ფსიქიკას. ამას მოჰყვა მეორე მსოფლიო ომი. ამ მოვლენებმა კველაზე დიდი ზეგავლენა მოზარდობაზე მოახდინეს. ახალ თობის ცნობიერება მრავალი სირთულისა და ქარტებილის ფონზე ჩამოყალიბდა, თავიანთი შმობლებისგან განსხვავებით, რომელიც შშვიდად და უზრუნველად იზრდებოდნენ. მამებსა და შვილებს მორის უფსკრული გაჩნდა. ახალგაზრდები გამო-

**50-იან წლებში ამერიკულ აუდიტორიას უკვე მოძებრუბული პქონდა და ხვეწილი პერსონაჟები და რომანტიკული გმირები. ისინი ითხოვდნენ ახალ სახეს, რომელიც იმ ტკიფილსა და მძვინვარებას გამოხატავდა, რაც გარშემო სუფერდა**

ხატუდნენ პროტესტს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ჩამოყალიბებული ნორმებისადმი, ხდებოდნენ აგრესიული და დაუნდობელი. შმობლები, რომლებმაც უკვე გარკვეულწილად გადალახეს ეკონომიკური პრობლემები, ცდილობდნენ შვილების იმ მატერიალური სიკეთით უზრუნველყოფას, რაც მათ მთელი ბავშვობა აკლდათ, კარგად აცმევდნენ, ჩუქნიდნენ მანქანებს, მაგრამ ახალგაზრდები ძველებურად გაუტანდები რჩებოდნენ. მათ, უბრალოდ, არ ესმოდათ შმობლების...

მოზარდების ცნობიერების კვლევით მეცნიერები, ფსიქოლოგები დაინტერესდნენ. სპეციალისტები ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ იმ დჯიდ უორკ გრიფით





ჯონ სტაინბეკი

მიზეზებსა და გარემოებებს, რაც განაპირობებდა თინეიჯერთა არაჯანსაღ ქმედებებს. 1944 წელს დოქტორმა რობერტ ლინდერმა გამოქვეყნა ნამუშევარი თავზე ხელადებულ ახალგაზრდებზე. შემდგომში მისი ნაშრომი დაედო საფუძვლად ჰოლივუდურ ფილმს, რო-

#### ტენეს უილიამსი




მელიც დღემდე ახალგაზრდა მეამბოხების-თვის შეიძლება ითქვას, ერთგვარი საკულტო სურათია. ამ მოვლენებისადმი არც ამერიკული ლიტერატურული და თეატრალური სამყარო დარჩენილა გულგრილი. საინტერესოა ამერიკელ მწერალ ჯონ სტაინბეკის ნოველა „სამოთხილან აღმოსავლეთით“. ასევე გამოიჩინება ამერიკელ მწერლის ტენეს უილიამსის პიესები „ტრამპა“, სახლად სურვილი“ და „კატა თუნუქის ცხელ სახურავზე“. ეს ნამუშევრებიც შემდგომში ტოპფილმებად იქცნენ.

#### ბალონ ბრანდოს ამარხი

გასული საუკუნის 40-50-იან წლებში კინოსულონებამ პოპულარობის მწვერფლს მიაღწია და თინეიჯერთა პრობლემათა აღწერამ ფურცლიდან ცისფერ ქრანზე გადაინაცვლა. განსაკუთრებული როლი ამ საქმეში რეჟისორმა ელია კაზანმა შეისრულა. ფილმი, რომელმაც კინოში მემბროს ახალგაზრდის სახე და-ამგირო, იყო კაზანის „ტრამპა“, სახლად სურვილი“. მთავარი როლი მარლონ ბრანდომ შეასრულა. ბრანდოს მიერ განსახიერებულმა პოლონელი ემიგრანტის, სტენლი კოვალსკის გმირმა აღაფრთოვან კინომანები, განსაკუთრებით ახალგაზრდები. ჩაცმულობა, რომლითაც ბრანდო ამ ფილმში გვვლინება: მოკლესახლოანი მასურა და ჯინის შარვალი — პროტესტისა და თავისუფლების სიმბოლოდ იქცა. ამ ნამუშევრმა დიდი გამოხმაურება მოიპოვა მთელ მსოფლიოში, მარლონ ბრანდო მსოფლიო კინოგარსკელებად იქცა. ბრანდო ნიუ-იორკში ეუფლებოდა სამსახიობო ხელოვნებას, იგი იმაუდროვლად ბრწყინვალედ იცნობდა და ფლობდა კინსტანტინ სტანისლავსკის სისტემას და მსახიობის ოსტატობას, შეეძლო საკუთარ გმირებთან თავის სრული გაიგივება, გამოიმუშავა მეტყველების განსაკუთრებული მნერა და პოლიფენის მანამდე არნახულ კერად იქცა. მეამბოხე სული ყველაზე მკაფიოდ წარმოაჩინა ფილმში „გელური“, რომელშიც თავზე ხელადებულ მოტოციკლისტია ბანდის მეთაურს განსახიერებდა. ბრანდოს თქმით, ეს ფილმი მსახიობისვე რეალურ პიროვნებას გვიჩვენებს. „მე გავაკიფი მხოლოდ იმას, რაც მსურს და ვერავინ მიკარნახებს, როგორ უნდა ვიცხოვო“, — ბრანდოს ეს სიტყვები ახალგაზრდებისთვის ცეცხლზე ნაგოთის დასხმას ჰგავდა და მათი ცხოვრების დევიზად იქცა.

შემდგომ ფილმში „პორტთან ახლოს“ ბრანდომ ღარიბი მუშის, ტერის როლი განასახიერა, რისთვისაც „ოსკარით“ დაჯილდოვდა მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის. ფილმში აღწერილია ახალგაზრდა მუშის ცხოვრება, რომელიც ებრძების პორტში გამეფეხბულ უსამართლობას და საბოლოოდ ამარცხებს კიდეც მჩაგვრულ მმართველებს. ბრანდო არა მარტო მაყურებლის, არამედ მომავალი კინოგარსკვლავების კერპიც შეიქნა. მან დიდი გავლენა მოახდინა მსახიობთა მთელ თაობაზე, მათ შორის იყო ელვის პრესლი, როკენროლის მეფე და ახალგაზრდობის კერპი. მისთვის ბრანდო ქცეულიყო კერპად და სწორედ მისმა თამაშმა გადააწყვეტინა კინომსახიობობა. ასევე ჯეიმს დინი, ყველაზე დიდი მეამბოხე კინოს ისტორიაში. საინტერუსოა, რომ დინი ისევე ბაძავდა ბრანდოს, როგორც შემდგომში მთელი ამერიკული მეამბოხე ახალგაზრდობა თავად დინს. ჯეიმსი ბრანდოს ნაკვალევზე მიდიოდა, სწორობდა იმავე თუატრალურ სასწოვლებელში, რომელშიც მარლონი, ისიც ეუფლებოდა სტანისლავსკის სისტემას. დინი აღაფრითოვანა ბრანდოს თამაშმა, მან დაინახა თვისუფლება, ძალა და ხელოვნება; დაინახა



მარლონ ბრანდო, „ტრამპაი სახელად სურვილი“

რეჟისორი ელია კაზანი, მარლონ ბრანდო, ჯული პარისი და ჯეიმს დინი. კაზანის თხონით ბრანდო მივიდა ფილმის „სამოთხიდან აღმოსვლეთი“ გადაღბაზე, სადაც ორი ღვევენდარული მსახიობი, მარლონ ბრანდო და ჯეიმს დინი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს





მარლონ ბრანდო, „გულური“

კლასი პრესტი



ის, რისთვისაც ღირდა ცხოვრება. ეს ორი გენიალური მსახიობი ისეთივე ტანჯვა-წამებაში გაიზარდა, როგორმაც ამერიკულ ახალგაზრდათა დიდი ნაწილი. მათ მრავალი წინააღმდეგობა გადალახეს. მათი ცხოვრება აღსავს ყოველი დამცირებით, რაც კიდევ უფრო უწყობდათ ხელს ტრაგიკული გმირების განსახიერებაში.

### პეის დინის კულტი

1954 წელს ელია კაზანმა დაიწყო მუშაობა ფილმზე „სამოთხიდან აღმოსავლეთით“. ეს იყო ჯონ სტაინბეკის რომანის ეკრანიზაცია, ამბავი ორ მდაზე, რომელთაგან ერთი სანიმუშო, ხოლო მეორე უარყოფთი პერსონაჟია. მოავარი როლი პოპულარულ მსახიობ მონტეგომერი კლიფტს უნდა შესრულებინა, მაგრამ მას აუტოავარია შეემთხვა და უარი განაცხადა. კლიფტი იყო ბრანდოსა და დინის წინამობრძედი და პირველი, ვინც მეამბოხე და თავზე ხელაღებული გმირები განასახიერა. კაზანმა არჩევანი ახალგაზრდა და პერსპექტიულ ჯეიმს დინზე შეაჩერა. ეს იყო საუკეთესო გამოსახული. კაზანი ამბობდა: „უფრო შესაფერისი მსახიობის ქებნას აზრი არ ჰქონდა. ის გამოხატავდა უარყოფით დამოკიდებულებას მამისადმი. იყო შურის-მაძიებელი. თავს გრძნობდა მარტოსულად და დათრგუნვილად“. დინმა გასაოცრად შესრულა როლი. იგი ფექტობრივად არ თამაშობდა, რეალურად ცხოვრობდა, მხოლოდ კამერა აღნუსხვდა და ფირზე აღბეჭდავდა ყოველივეს.

50-იან წლებში ამერიკულ აუდიტორიას უკვე მობეჭრებული ჰქონდა კოსტიუმში გამოწყობილი, ელგანტური და დახვეწილი პერსონაჟები, რომანტიკული გმირები. ისინი ექტრენ და ითხოვდნენ ახალ სახეს, რომელიც გამოხატავდა იმ ტკიფილსა და მძინარებას, რაც გარშემო სუფევდა. სწორედ ჯეიმს დინი გახდა მოხარლების უფროს თაობასთან დაპირისინირებისა და ახალგაზრდული ამბოხის სიმბოლო. მისი მეორე ფილმი „უმიზეზოდ ამბოხებული“ ახალგაზრდობის მანიფესტად იქცა. დინის სიტყვები ფილმში, როცა მშობლებსა და უფროსებს მიმართავს: „თქვენ მე ნაწილებად მგლევჯო“, — მთელი თაობის გულის ძანილია. გენიალურმა ნიკოლას რეიმ, რომელსაც უან-ლიუკ გოდარი თვით კინოსთან აიგივებდა, რეჟისურითა და დინის ბრწყინვალე შესრულებით და კიდევ იმით, რომ ფილმის გამსკლამდე რამდენიმე დღით ადრე დინი აუ-



ნატალი ვუდი, ჯეიმს დინი და ნიკოლას რეი

ჯეიმს დინი

ტოკატასტროფაში დაიღუპა, ფილმს უდიდესი პოპულარობა მოუტანა. ჯეიმს დინის უეცარმა სიკვდილმა არნახული აჟიოტაჟი გამოიწვია ამერიკაში და მსახიობი პოლივუდის უმაღლეს კარიერლებეჭე აიყვანა. ახალგაზრდებმა მასში საკუთარი პიროვნება ამოიცნეს. ის მათ მსგავსად განიცდიდა, იბრძოდა, ამსხვრევდა სტერეოტიპებს, ლახავდა წინააღმდეგობებს, მარცხდებოდა და იმარჯვებდა... და კვლებოდა. ჯო პაიმი, დინის ერთ-ერთი საუკეთესო ბიოგრაფიის ავტორი, წერდა: „მას პქონდა ინტუიციური ნიჭი, გამოქატა კველა ახალგაზრდის იმედი და მღელვარება. თითქოს მაგიური ძალით შეძლო ფილმებში გადაწყვიტა ის პრობლემები, რომლებიც უნდა გადაწყვიტოს ნებისმიერმა ახალგაზრდამ, ნებისძიებრ თაობაში“.


ჯეიმს დინის ტრაგიკული აღსასრული საუკეთესო მასალა იყო ამერიკული საზოგადოებისთვის საკულტო გმირის შესაქმნელად. ახალგაზრდა სუპერვარსკვლავის გარდაცვლებით დაწყო ახალი ეპოქა, პოპკულტურის ერა.

დინის სიკვდილის შემდეგ განვითარებული მოვლენები ნათლად ასახავს იმდროინდელი





დინის მონუმენტი, ლოს-ანჯელესი,  
ადგილი სადაც, პოლოს ნახეს ცოცხალი  
დინი, მისი დაღუპვის დღეს



ჯეიმს დინი და „პორშე 550“ — ავტომანქანა,  
რომელმიც ის დაღუპა

საბედისწერო ავტოგარად



ამერიკელი ახალგაზრდობის მდგომარეობას. ამერიკა სულმა ისტერიამ მოიცვა. მოზარდებს არავინ აინტერესებდათ, დინის გარდა. ვერაფრით იჯერუბდნენ, რომ გმირი, რომელიც ახლადა მოიპოვეს, აღარ არსებობს. დინისადმი მიძღვნილი წერილების რიცხვმა გადააჭარბა ნებისმიერი ცოცხალი ვარსკვლავისადმი მიწერილს, გაძარცვეს კველაფრი, რასაც იგი შეხებოდა, დაიტაცეს მისი ავტომანქანის ნაწილებიც კი. „უორნერ ბრაზერსმა“ გაძლიერებული დაცვა აიყვნა, რადგან ვერ იგერიაბდა ახალგაზრდებს, რომლებიც კომპანიის შენობის დარბევით იმუქრებოდნენ, თუ დინის მონაწილეობით ერთ ეპიზოდს მაინც ამოჭრიიდნენ მისა ბოლო ფილმიდან „გიგანტი“, რომელზე მუშაობაც ჯერ კიდევ არ დასრულებულიყო. ჯეიმს დინის რამდენიმე თაყვანისამცემელმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დასრულდა მას შემდეგ, რაც მსახიობის დაღუპვის შესახებ შეიტყო...

ჯეიმს დინისა და მარლონ ბრანდოს თამაშმა გზა გაუხსნა ახალ ვარსკვლავებსა და გმირებს. აგნესცენაზე გამოჩნდნენ პოლ ნიუმანი, კლინტ ისტვერდი, სტივ მაკეუინი, ჯეკ ნიკლსონი... მათ ბრწყინვალედ გადაიბარუს ესტაფეტა და შექმნეს დაუვიწყარი კინოგმირები. შემდეგ გამოჩნდნენ ალ პაჩინო, რობერტ დე ნირო, დასტინ ჰოფმანი, ჯონი დეპი... ახლა უკვე ისინი იქცნენ კერპებად.

**გურამ ასათიანი**

# კაცი ჰიტლერის ზურბს უკან

ბორმანის უდილეს  
მზვერავებს მარტინ  
ბორმანი საბჭოთა  
აზენტი და მისი მიზანი

**ფიურერის ჩრდილი!** კაცი, რომელიც  
პიტლერის უკან იღვა, — ასე შეიძა  
ისტორიაში მარტინ ბორმანი  
(1900-1945 წწ.). მისი ბიოგრაფია  
აუნტიურულ რომანს მოგვავრნებს.  
„თეორი ლაქები“ მასში დღემდე რჩება.

მარტინ ბორმანი

მარტინ ბორმანი ფოსტის წერილი მოხე-  
ლის ოჯახში დაიბადა. მას სამი წლისას გარ-  
დაცვალა, მალე დედამისი მეორედ გათხოვ-  
და ბანების დირექტორზე. ბორმანს მამინაც-  
ვალთან ურთიერთობები ვერ აწყო.

— წამდაუწუმ მაყველრიდა, მე გაჭიმვ და  
გასმევო, — იგონებდა შემდგომში ბორმანი,  
— ერთხელ თავი ვერ შევიავე და უჟყირუ:  
თავს უშენოდაც ვირჩევ-მეოქე! სახეში გამარ-  
ტყა. მეც სახლიდან გავიქციო.

ბორმანი შინ პოლიციის დახმარებით დააბ-  
რუნეს. მამინაცვალმა მკაცრად დასაჭა და ამან  
უფსკრული კიდვე უფრო გაზარდა. მალე ბორ-  
მანმა სკოლა მიატოვა და ფერმაში დაიწყო მუ-  
შაობა. პირველი მსოფლიო ომი დასასრულს  
უახლოედ დამოდია. ბორმანი ჯარში გამარტივეს, მაგ-  
რა ამ გერმანიაში კაპიტულაცია გამოაცხადა და  
ისიც შინ დაბრუნდა. გერმანიის მარცხმა და მა-  
მინაცვალთან კონფლიქტმა მის ხასიათზე უდი-  
დესი გაფლენა მოახდინა. მტკიცედ გადაწყვიტა  
შეის ქვეშ ადგილის მოპოვება. მართალია, სიმ-  
წიფის ატესტატიც კი არ ჰქონდა, მაგრამ ამან  
მისი შემართება მხოლოდ გააძლიერა.

ოშში დამარცხებული ქვეშები არა მხო-  
ლოდ ტერიტორიებს ჰკარგავენ. მეფლება ქა-  
ოსი და სიდეხის ჰკარგავენ. გამონაკლისი არც გერ-  
მანია ყოფილა.



ბორმანი ყოველნაირად ცდილობდა საზო-  
გადოებაში ადგილის დამკვიდრებას. ჯერ ექ-  
სტერნად ჩააბარა გამოცდები და სიმწიფის  
ატესტატი აიღო. უნივერსიტეტში კი უსახს-  
რობის გამო ვერ შევიდა. შემდეგ პოლიტიკით  
დაიწყერესდა. თავდაპირელად ე.წ. გერმანი-  
ის სახალხო პარტიის წევრი გახდა, შემდგვე  
მოხალისეთა კორპუსში გადავიდა. თანაც ხში-  
რად ვაჭრობდა შევ ბაზარზე და კინიძინალურ  
ელემენტებს დაუახლოვდა. მოხალისეთა კორ-  
პუსში თავიც გამოიჩინა და რუდოლფ ჰესთან  
კარგი ნაცნობობა გააპა.

მალე ბორმანი მკვლელობის ორგანიზე-  
ბისთვის დააპატიმრეს. ციხეში თითქმის  
ცხრა თვე გაატარა. შემდგომში წერდნენ,  
რომ ბორმანი ამნისტიით გაათავისუფლეს,  
თუმცა სინამდვილეში მას დანაშაული ვერ  
დაუმტკიცდა.

გალტერ შელენბერგი წერს, რომ ბორმა-  
ნის გათვისუფლებაში ჰქონდა დიდი როლი შე-  
ასრულა და რომ ბორმანთან ერთად კრიმი-  
ნალურ საქმიანობაში ჰქონდა იყო ჩაბმული. ეს  
ფაქტებით ვერ მტკიცდება. სამაგიეროდ უდა-  
ვოა, რომ ნაციზმით ბორმანი ჰქონდა გაფლე-  
ნით დაინტერესდა. სწორედ ჰქონდა გააცნო მას  
ფიურერი. 1926 წელს ბორმანი ნაცისტური  
პარტიის წევრი გახდა.



რუდოლფ ჰესი



ფიურური მარტინ ბორმანს რუდოლფ ჰესმა გაცნო

## 30 ურმილის პარზე

ჰიტლერს ენერგიული და პატივმოყვარე ბორმანი ძალიან მოწინა:

— პატივმოყვარე, მაგრამ ჭკვიანი არ არის, — განუცხადა ჰიტლერმა ჰესს, — ამასთან, კეთილსინდისიერი, დისციპლინებული და პედანტურია. პარტფუნქციონერიც ასეთი უნდა იყოს!

ბორმანი ჰესის შტაბის უფროსი გახდა და ენერგია არ დაუშურებია ნაცისტური პარტიის ხელისუფლებაში მოსაყვანად. შიდაპარტიულ ბრძოლებში ბორმანი აქტიურად უჭრს შხარს ჰიტლერს. ფიურურმა ეს დაუფასა და ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ბორმანს რაიხსკანცელარია ჩააპარა. ბორმანმა საკუთარი მოყალეობები ასე განსაზღვრა: 1. ჰიტლერის პირადი საქმეების მოგვარება; 2. ფიურურისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება; 3. ჰიტლერის ყველა საერთაშორისო მოლაპარა კებაში აქტიური მონაწილეობა და ფიურურისთვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენა.

ბორმანი ფიურურის ხასიათაც უმაღლ ჩასწევდა. ჰიტლერი ფანატიკოსი გახლდათ და ვერანაირ შეკამათებას ვერ იტანდა. ბორმანიც არასოდეს ეკამათებოდა. პირიქით, მუდამ იმას ეუბნებოდა, რისი მოსმენაც ფიურურს მისგან სურდა, თანაც ამას მოხერხებულად ასაღებდა საკუთარ შეხედულებად. ფიურურს ხელქვეითებს ქება არ სწორდა, არც ბორმანს აქებდა, მაგრამ როცა რაიხსკლაიტერი (ანუ იმპერიის ხელმძღვანელი, უმაღლესი პარტიული ფუნქციონერი) საუბარს დაამთავრებდა, კავკილი გაიბადრებოდა ხოლმე.

ფიურურმა ზუსტად განსაზღვრა, რომ ბორმანი მისი კონკურენტი ვერასოდეს გახდებოდა და ძალიან დიდი უფლებები მისცა. სამაგიეროდ, ბორმანის დახმარებით შეეძლო იმათი განეიტრალება, ვისიც ეშინოდა. ეს ქებოდა ნაცისტ ფუნქციონერებსაც და სამხედროებსაც.

ბორმანის გავლენა სულ უფრო იზრდებოდა. რაიხსკლაიტერს თავისი ხალხი ყველგან ჰყავდა. მასზე მუშაობდა გესტაპოს შეფა პაინრის შიულერი, რომელიც ფასდაუდებელი ინფორმაციით ამარავებდა. მიულერი თავის დროზე ბორმანმა გადაარჩინა, და გესტაპოს შეფის პოსტზეც მისი წყალობით დაინიშნა.

ვაიმარის რესპუბლიკის დროს პოლიციელი მიულერი ნაცისტური პარტიის წინააღმდეგ იპერაციებს აწყობდა. ბევრ ჰიტლერელს ჰქონდა მასზე ბოლმა და ხელისუფლებაში

მოსვლის შემდეგ, მიუღერის დაპატიმრება და გასამართლებაც მოინდომეს. ბორმანი ამას გადაჭრით აღუდგა წინ. — მიუღერი პროფესიონალია! ასეთი ხალხი გვჭირდება! — განაცხადა მან. ბორმანს ბევრი შექმნააღმდეგა. მაშინ რაიხსკლაიტერმა პიტლერს მიმართა და პიტლერს ინფორმაცია იმგვარად მიაწოდა, რომ ფიურერმა განაცხადა: — რა თქმა უნდა, პროფესიონალები გვჭირდება!

მიუღერმა ნაციისტებისთვის დაიწყო მუშაობა და სრულყოფილი საიდუმლო პოლიცია (გესტაპო) შექმნა. ვაიმარის რესპუბლიკის ყოფილ თვეგაცებს ისევე სასტიკად უსწორდებოდა, როგორც ერთ დროს ნაციისტებს ებრძოდა. 1938 წელს მიუღერი ნაციისტური პარტიის წევრი გახდა. „— ჩვენს მტრებს გესტაპოს ხესხებაზე აკანგალებთ! მიუღერი რომ არა, ასეთ სრულყოფილ პოლიციურ აპარატს ვერ შევქმნიდთ!“ — როცა პიტლერმა ეს სამთავრობო თათბირზე გამოაცხადა, მრავალმნიშვნელოვნი შექრა ბორმანს ესროლა.

ბორმანის გავლენა განსაკუთრებით ომის ბოლო წლებში გაიზარდა. გერმანიის მარცხი ცხადზე უცხადეს იყო. ბევრიმა გერმანელმა დიდმოხელემ ორმაგი თამაში დაიწყო. ბორმანი კი კვლავინდებურად კეთილსინდისერი და

პედანტური რჩებოდა. პიტლერსაც იმას ეუბნებოდა, რისი მოსმენაც ფიურერს სურდა. 1945 წლისთვის ბორმანი ერთგვარ რუს კარდინალად გადაიქცა, რომელიც ჩრდილში იდგა, თუმცა რეალურ ბერკეტებს ფლობდა. მისი გვლენის განეიტრალება თვით რაიხსფოურერმა პაინრის პიმლერმაც ვერ შეძლო. 1945 წლისთვის კველა მნიშვნელოვანი ცნობა, რომელიც პიტლერისთვის უნდა მიეწოდებინათ, ჯერ ბორმანის ხელში გადიოდა. ის წყვეტდა, რა უნდა მიეწოდებინათ ფიურერისთვის და რა — არა.

## კავშირი საბჭოთა დაზვრუვასთან?!

გავლენიან კარისკაცს მუდამ უამრავი მტერი ჰყავს. ბორმანსაც სხვადასხვა დანაშაულში სდებდნენ ბრალს. ერთ-ერთი იყო კავშირი საბჭოთა დაზვერვასთან. პირველად ეს 1941 წელს ფელდმარშალმა კლიუგერმ თქვა, შემდგომ მას მხარი აუბეს ადმირალი კანარისმა, რაინსარდ გელტერმა, ვალტერ შელენბერგმა... ბორმანთან დაკავშირებულ მასალებს დღემდე გრიფი „საიდუმლო“ ადევს. შეგვიძლია მხოლოდ რაიხსკლაიტერის საქციელი გავაალიშოთ, რომელიც ძალიან უცნაურია.

რუსეთთან ომი გერმანიისთვის თავდაპირ-

დალტიასპარეთისა თუ უკრაინის მოსახლეობა გერმანელებს კარგად შეხვდა, თუმცა მათთვის დამოუკიდებლობის მინიჭებას ბორმანმა, პიმლერთან ერთად, ყოველმხრივ შეუშალა ხელი





**გალტერ ჰეიდენბერგის, რომელიც XX სუკუნის ერთ-ერთ უდიდეს შევერაფად არის აღიარებული, მაღალი რანგის კოლეგებთან ერთად მარჩნდა, რომ ბორმანი რუსებისთვის მუშაობდა**

ველად წარმატებულად მიმდინარეობდა, ბალტიისპირეთისა თუ უკრაინის მოსახლეობა გერმანელებს ტრადიციული პურითა და მარილით ხვდებოდა. კაუნასში ლიტველმა პატრიოტებმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და მთავრობა შექმნეს, ლოკოში 30 ივნისს დამოუკიდებელი უკრაინის დროებით მთავრობა ჩამოყალიბდა. ჰიმლერმა ასეთი აქციები სასტიკად დაგრო. ბორმანმა მას მხარი დაუჭირა. „იდიოტურიზმია დავდგაროთ თუნდაც ერთი წვეთი გერმანული სისხლი იმისთვის, რომ ვიღაც გაგათავს სუფლოთ!“ — განაცხადა მან. გერმანელებმა ლიტვისა და უკრაინის მთავრობები დაშალეს, მათი წვერები კი საკონცენტრაციო ბანაებში გამოაშევდის. ბორმანმა ამას მხურვალედ დაუჭირა მხარი. ის ყოველმხრივ ხელს უშლიდა ალფრედ როზენბერგს, რომელიც უკრაინელების, ბელორუსებისა თუ ბალტიისპირელებისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებას მოითხოვდა.

ბორმანი როზენბერგის წინააღმდეგ პირდაპირ არ გამოდიოდა, მის მაკომპრომეტიონის

ბელ მასალებს კრეფდა და ფიურერს აწვდიდა. შედგად, როზენბერგის წამოწებაც ჩაიშალა. ასევე ჩაიშალა უკრაინელებსა და ბალტიისპირელებთან საერთო ენის გამონახვის მცდელობები. ამაში ბორმანის წვლილი უზარმაზარია. ის აქტიურად შეწინააღმდეგა რუსეთის განმათავსუფლებელი არმიის შექმნასაც.

1941-1942 წლებში ტყვედ ჩავარდნილი უამრავი საბჭოთა ჯარისკაცი სტალინმა მოღალატედ შერაცხა. ტყვები ორმაგი წნევის ქვეშ აღმოჩნდნენ. გერმანელებისთვის ისინი „უნტერმენშები“ (არასრულფასოვნი რასა) იყვნენ და სასტიკად ეპყრობოდნენ, საბჭოთა ჩეკისტებმა კი მათზე ნამდვილი ნადირობა გააჩადეს. გერმანულმა სპეცსამსახურებმა ამის გამოყენება სცადეს. რაინხარდ გელენმა რუსეთის შიგნიდან აფეთქების მთელი თურია ჩამოაყალიბა. სწორედ მან გადაიძირა ყოფილი საბჭოთა გენერალი ვლასოვი, მასვე ეკუთვნის რუსეთის განმათავსუფლებელი არმიის შექმნის იდეა, გელენს მხარი დაუჭირა კანარისმა. პასუხად ბორმანმა აბვერის შეფის წინააღმდეგ ინტრიგები გააჩადა.

— რაინხსლაიტერმა ყველაფერი გულდასმით გათვალის კანარისის გავლენის ზრდა მეტად აშენოთებდა ჰიმლერს. მართალია, რაინხსფიურერი და ბორმანი მტრები იყვნენ, მაგრამ ამჯერად საერთო მოწინააღმდეგე ჰყვდათ და სანმოკლე ალიანსიც შედგა. ფიურერს ინფორმაცია აახლეს კანარისის ორმაგი თამაშის შესახებ. ინფორმაცია ჰიმლერმა შეკრიბა, ბორმანმა კი მოახსენა. ჰიტლერის გააფთოება გაიზარდა, როცა განსაკუთრებულ ჯარებში შეიტმულების არსებობა დადასტურდა.

განსაკუთრებული ჯარები 1942 წელს შეიქმნა. მათი ფუნქცია საბჭოთა კავშირის ოკუპირებულ ტერიტორიაზე პარტიზანთა წინააღმდეგ ბრძოლა იყო. აქ იყვნენ ვლასოველები, კაზაკები, კავკასიელი, შუა აზიელი ლეგიონერები, სარდალი გენერალი მაქს ილგენი გახლდათ. 1943 წლის შემოღომაზე ის გაქრა. გამოძიებით დადასტურდა, რომ ილგენი საბჭოთა ჩეკისტებმა მოიტაცეს და მოკლეს. დადგინდა, რომ განსაკუთრებულ ჯარებში რუსების კარგად აწყობილი ქსელი მოქმედებდა. რუსებზე მუშაობდნენ ილგენის ეკონომი ქალი (მისივე საყვარელი) ლიდია ლისოვსკაია, გენერლის ადიუტანტი მეშჩერიაკოვი, ასევე პი-

რები, რომელთაც განმათვისუფლებელ არ-მიაში ან კაზაკურ ნაწილებში მაღალი პოსტები ეკავათ. ბორმანებაც ეს ყველაფერი ფიურერს დაწვრილებითი მოახსენა. რაიხსლაიტერმა კარგად იცოდა, რომ ჰიტლერს სლავები სასტიკად სტულდა და თავისი მოხსენებაც ისე ააგო, რომ ფიურერმა წამოიძახა: — სლავების ნდობა არ შეიძლება!

განსაკუთრებული ნაწილები დაშალეს. ფიურერს განმათვისუფლებელი არმიისა და კაზაკური შენაერთების დაშლაც სურდა, მაგრამ ამას ფრონტზე შექმნილმა მძიმე ვითარებამ შეუშალა ხელი, 1943 წლის შემოდგომაზე რუსებმა კიევი აიღეს და დასავლეთისკენ მიიწვევდნენ. რუსეთის განმათვისუფლებელი არმია, კაზაკები და ლეგიონერები დრმაზურგში გადაიყვანეს. მათ პოლონეთის, იუგოსლავისა და საფრანგეთის ტერიტორიაზე პოლიციური ფუნქციები დაეკისრათ.

სხვა ეპიზოდი უკავშირდება 1942 წელს გერმანელების მიერ დასავლეთ ევროპაში მოქმედი რუსული აგენტურული ქსელის გამოვლენას. გერმანელთა ხელში აღმოჩნდა რუსი რეზიდენტი ლეო ტრეპერი, აგრეთვე არაერთი მსხვილი ჯაშუში გერმანიის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში (შელცე-ბოი-

ზენი, პარნაკი და სხვ.). ტრეპერი გერმანელებისთვის მუშაობას დათანხმდა, ერთხანს რუსებს გერმანელთა მომზადებულ დეზინფორმაციასაც გადასცემდა. შელენბერგის უწყების თანამშრომლები ამტკიცებდნენ, რომ ტრეპერმა პირობითი ნიშანი გააპარა და მოსკოვში უკვე იცოდნენ, რომ ის გერმანელთა კონტროლით მოქმედდებდა. შელენბერგმა ტრეპერის პატიმრობაში დაბრუნება და გულდასმით დაკითხვა მოითხოვა, მაგრამ ამას წინ მიულერი აღუდგა. ტრეპერი არ დაუპატიმრებიათ, მალე კი გაპარება მოახერხა და გერმანელებმა ის ვეღარასოდეს შეიკრეს.

ვალტერ შელენბერგის მტკიცებით, მიულერი უკვე მაშინ რუსებისთვის მუშაობდა, ხოლო ბორმანი მას მფარველობდა, რაღაც ისიც რუსებთან იყო შეკრული! ამას იმეორებს მემუარებში რაინხარდ გელენიც. ბრალდებას ეთანხმებიან თეოდორ ობერლენდერი და გენერალი კარლ ვოლფი.

შელენბერგი (ისევე როგორც გელენი და კანარიის) XX საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს შეცვერაგად არის აღიარებული. ობერლენდერიცა და ვოლფიც მნიშვნელოვან ფიგურებს წარმოადგინდნენ. მათი მოსაზრება ყურადსალებია, თუმცა დამატებიცებელი ფაქტები არ გააჩნდათ.

**რუსეთის განმათვისუფლებელი არმია (POA – русская освободительная армия) ჯარისკაცები**





ბორმანი,  
ფონ ემ და  
ჰიმლერი,  
1939 წ.

### სადაზვერვო თამაშები ბერძი

საბჭოთა ტელესერიალ „გამაფუნქციის ჩვიდ-მეტი გაელვების“ სიუჟეტის ერთ-ერთი ძირი-თაღი თემაა მოლაპარაკები ბერნში, სადაც ომის მიწურულს ჰიტლერის ემისარი გენერალი ვოლფი შეეიცარიაში ჩადის ამერიკელებთან სეპარატული ზავის დასადგბად და აქ აშშ-ის დაზვერვის რეზიდენტს აღენ დალებსაც ხვდება. ფილმის ატორები გვარწუნებენ, რომ ჰიმლერ-დალებსის მოლაპარაკება მხოლოდ ისავ-შტირლიცის წყალობით ჩაიშალა. აშშ-ში კი კატუკორიულად უარყოფნ ამგვარი მოლაპარაკების ფქტს. რა მოხდა სინამდვილებში?

მემუარებში აღენ დალები აღწერს ოპერაცია „სანრაიზს“ (ზოგჯერ მას „კროსვორდსაც“ უწოდებდნენ), რომლის მიზანი იტალიაში გერმანული არმიის კაპიტულაციის მიღწევა იყო. ამერიკელებს ორი რამ აშვითებდათ: იტალიის ხელისუფლებაში კომუნისტების მოსვლა და იტალიური ხელოვნების ნიმუშების განადგურებისგან გადარჩენა. ცნობილი იყო, რომ ჰიტლერმა ვენეციის ჩაირვის, აგრეთვე რაფელის, ტიციანის, ლეონარდო და ვინჩისა თუ სხვათა ნამუშევრების მოსპობის ბრძანება გასცა. ეს რომ არ დაეშვაო, ამერიკელებმა „სანრაიზ-კროსვორდი“ შეიმუშავეს. მალე ბერნში გენერალი ვოლფი ჩავიდა. მოლაპარაკები დაიწყო იტალიაში დისლოცირებული გერმანული კონტინგენტის კაპიტულაციის თაობაზე. იდგა 1945 წელი.

— ჰიმლერმა სცადა, ეს ფაქტი გამოვყენებინა და ამერიკელებთან ზაფი დაედო, — წერს ამერიკელი უურნალისტი და ისტორიკოსი უილიამ შირერი, — ვოლფმა დალებს განუცხადა: ნუთუ არ გესმთ, რომ რუსეთის გაძლიერება ამერიკისთვის დამლუპველია? შესაძლოა გერმანია დამარცხდეს, მაგრამ ხვალ რუსეთი ამერიკისთვის არანაკლები პრობლემა გახდება. დალებსმა ამაზე მიუგო: „შესაძლოა მე ეს მესმოდეს, მაგრამ თქვენ, გერმანელებმა, ოქვენი უგუნური საქციილით მოული მსოფლიო აიძხედრუთ! ანტიგრამანული ფსიქოზი იძღვნად ძლიერია, რომ პრეზიდენტი გერმანიასთან ზაზუმე წავიდეს, მას უბრალოდ ჩაქოლავენ!“

ამდენად, ჰიმლერის მცდელობა რუსების მხრიდან ჩარევის გარეშეც ჩაიშალა. ოქმა მან ამბის სხვაგვარად გამოყენება სცადა და მისი ბრძანებით, ინფორმაცია ბერნში მიმდინარე მოლაპარაკებზე შელენბერგმა რუსებს მიუგდო. ეს ადვილად გაეთდა. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში მუშაობდა ვინმე ჰაინც ფოილერი, ვისზეც იცოდნენ, რომ რუსეთისა და აშშ-ის აგენტი იყო. შელენბერგიც ისე მოიქცა, რომ ფიოლერს ვოლფ-დალებსის შეხვედრის ამბავი შეეტყო. ფიოლერმა ეს ცნობა რუსებსაც მიაწოდა და ამერიკელებსაც. იგივე ამბავი ჩაუგდო ხელთ შელენბერგმა შვეიცარიაში მოქმედ რუს ჯაშუშებსაც. შედგებად, სტალინს მოახსენეს, რომ აშშ მოსკოვის ზურგს უკან გერმანელებთან მოლაპარა-

კებებს აწარმოებდა. „როგორც მოსალოდნელი იყო, სტალინი ძალიან გაჯავრდა და ამერიკელებს ნოტა გაუგზავნა, — წერს უილიამ შირერი, — თუმცა ამას ანტიპიტლერული კოალიციის დაშლა, პუნქტოვია, არ შეეძლო, რასი იმედიც ჰიმლერს ჰქონდა“.

მარტინ ბორმანმა ბერნში მოლაპარაკებების შესახებ მიულერისგან შეიტყო. რაიხსლაიტერი უცნაურად მოიქცა. მან ჰიტლერს მოახსენა: თქვენს წინააღმდეგ შეთქმულება იგვებდოლა, მისი ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გენერალი ვოლფიაო და მისი დაპატიმრება მოითხოვა. შელენბერგმა ვოლფის გადარჩენა რის ვაი-ვაგლახით მოახორხა. „ეს ნათლად მეტყველებს, რომ ბორმანი რუსებს შეეკრა, — ამტკიცებდა ომის შემდეგ შელენბერგი, — ამაზე ელემენტარული ლოგიკა მიუთითებს!“ თუმცა დამატებიცებელი ფაქტები შელენბერგს არასოდეს ჰქონია.

### უკაღლოდ გამქრალი

დღეს დანამდვილებით დადგენილია მხოლოდ ის, რომ ბორმანი უკანასკნელ წუთბამდე ჰიტლერის ბუნკრში იმყოფებოდა. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ თვითმკვლელობისას ფიურერს ნერვებმა უმტყუნა და იარაღი ხელიდან გაუგარდა, ხოლო ბორმანმა მას ტყვია თავად დაახალა. თუმცა ესეც ცალკეულ პირთა მოსაზრებაა. სხვები ამას არ ადასტურებენ და კატეგორიულად ამტკიცებენ, რომ ჰიტლერმა თავი მოიკლა, გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ ბევრი ნაცისტი დიდმოხელე, როგორც სამხედრო დამნაშავე, საერთაშორისო ტრიბუნალის წინაშე წარდგა. ბორმანი კი უკვლილოდ გაქრა. საბჭოთა (დღეისთვის კი რუსი) ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ბორმანი ბერლინისთვის ბრძოლებში დაიღუპა. ზოგიც ამბობს, რომ ის სტალინის ბრძანებით გადაარჩინეს, სიცოცხლე კი რუსეთში დაასრულა. 1991 წელს გაზეთ „ნედელიაში“ რუსი შზვერავი ჩისტიაკოვი წერდა, რომ ბორმანი ალმოდებული კანცელარიიდან სწორედ მან გამოიყვნა. „ბორმანი გადაეცარჩინეთ, რაღაც ის ჩვენთვის მუშაობდა და ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია“, — ამტკიცებდა ყოფილი ჩეკისტი. „ეს მტკნარი სიცრუეა!“ — ასეთი იყო და დღემდე არის ოფიციალური მოსკოვის პოზიცია. თუმცა მას ბევრი არ ეთანხმება.

ციპა თევზაც



ნაცისტურ გერმანიაში პომპეზურობა ისევვე უყვარდათ, როგორც საბჭოთა კავშირში

ჰიტლერი და ბორმანი, 1940 წ.



ଓଡ଼ିଆ  
ସାହିତ୍ୟକର୍ମ 125

ქართველ და აფხაზ  
მეცნიერთა ურთიერთობა  
უდია განახლდეს...

ს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის ინიციატივით მოქმედობამოჩენილი ქართველი ფილოლოგისა და საზოგადო მოღვაწის, ფილოლოგის ქართული სკოლის ფუძემდებლის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლის, საქართველოში მსოფლიო ისტორიის პირველი ქართული სახელმძღვანელოს აჭორის, დიმიტრი უზნაძის დაბადებიდან 125 წლისთვისადმი მიძღვნილი ინტერდისციპლინარული რეკონსალური სამეცნიერო კონფერენცია. აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული სახელმძღვანელო ამ ცოტა ხნის წინ „რარიტეტის“ სახით სამ წიგნად გამოსცა გამოძეგლობა „პალიტრა ლ-მა“ და ამ გამოცემამ ფართო საზოგადოების მოწოდებაც დაიმსახურა. დაინტერესებულ პირთ შესაძლებლობა მიეცათ, სამაგიდო წიგნად ექციათ ეს უთუოდ საქართველოს ნაშრომთა კრებული.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ მცნიერები სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ქვეყნის სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან. მონაწილეებმა ისაუბრეს დიმიტრი უზნაძის, როგორც ქართული ფილოგონიური სკოლისა და კავკასიაში პირველი უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის დაწყლზე. დიმიტრი უზნაძეს ასევე დიდი როლი მიუძღვის ქართველ და აფხაზ მცნიერთა აღზრდისა და დაოსტატების საქმეში. განათლების მცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ნათელა გასაძეგ ისაუბრა ურთიერთობებზე აფხაზ მცნიერებსა და პედაგოგთან.

ნათელა ვასაძე: „უცრებმლოდ ვერ ვიხსე-  
ნებ იმ სიკარულითა და პატივისცემით აღ-  
სასე ურთიერთობას, რაც ათწლეულების გან-  
მავლიანი აკვშირებდა ქართველ და აფხაზ  
მეცნიერებს და ორმლის მომსწრეც თავად გახ-  
ლავართ. მინდა იმედი გამოვთქვა, რომ ეს ურ-  
თიერთობა უახლოეს მომავალში აუცილებ-  
ლიად განახლდება“.



დიმიტრი უზნაძე

დამიტრი უზნაძე მრავალმხრივი მოღვაწე იყო. მისი სამეცნიერო ინტერესების სფერო მოიცავდა ფსიქოლოგიას, ფილოსოფიას, ისტორიასა და პედაგოგიკას. ამან განაპირობა ამ დიდი მოღვაწისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციას ინტერდისციპლინარული ხასიათი. კონფერენციაზე მუშაობდა განათლებისა და ფსიქოლოგიის, უცხო ენების სწავლების მეთოდიების, ფილოლოგიის, სწავლების მეთოდიების, ისტორიისა და ეთნოლოგიის სექციები. სოსუმის უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქართულ-იტალიური სკოლის მასწავლებლები. ყველა სექციის მუშაობაში ჩართული იყვნენ სტუდენტები. კონფერენციის მუშაობაში აგრძელებული ცნობილი ქართველი ბიზნესმენი და მეცნიატი ოურქეთიდან გიორგი (შემსეთინ) ირჩმადა.

ମେଲାର୍କ ଶର୍ମିଳାକାନ୍ତିଲ୍

## ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სპორტული გაზიერების  
სამოცველებელი

600 ღია  
1934





# მალბორკი

ტემატიური როდენის დიდების ნიშანი კოლონიაზე

თანამედროვეთათვის შეუა საუკუნეების ეპოქა აღმა ყველაზე მეტად მაინც რაინდებსა და ციხესიმაგრებთან ასოცირდება. XVIII-XIX საუკუნეებში კვროპაში ახალწარმოქმნილი რომანტიზმის წარმომადგენლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაძირეს ამ ეპოქასა და კერძოდ, ციხესიმაგრებს. რომანტიზმის ტალღამ ერთგვარად ახალი სიცოცხლე შესძინა კვრობაში მიმოფანტულ მივიწყებულ ძეგლებს. რომანტიზმით ნასაზრდოები მისტიკიზმის გაყლენით, ახალი თეგლით შესცემროდნენ ძველ ციხესიმაგრებს და მათ სულების, მოჩვენებებისა თუ სხვადასხვა იღუმალი არსების სამყოფლად მიიჩნევდნენ. რომანტიკოს მწერალთა ისტორიულ რომანებში ასახული მთავარი მოვლენებიც ძველ ციხესიმაგრებშია გადატანილი. შეუა საუკუნეები თანადროული ეპოქის არქიტექტურაშიც გამოვლინდა.

XIX საუკუნის დასაწყისისთვის გაჩნდა სხვადასხვა ტიპის არქიტექტურული სტილი, რომელთა მიზანი იყო თანამედროვე შენობებისთვის შეუა საუკუნეების ციხესიმაგრეთათვის დამახასიათებელი ექსტერიერის შექმნა. დაიწყო ახალ ციხესიმაგრეთა შექნებლობაც, რომლებიც მთლიანად იმეორებდნენ შეუა საუკუნეების არქიტექტურულ ფორმებს: იგივე შპილები, კოშკები, ქონიგურიანი მასიური კედლები... თუმცა მათ უკვე არა პრაქტიკული დანიშნულება, არამედ დეკორაციული დატვირთვა ჰქონდა, სიძველის განცდის გასაძლიერებლად...



კვრობის თითოეულ ძეგლ ციხესიმაგრეს აქვს საკუთარი ისტორია და გარეგნული ხიბლი. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია მალბორკის ციხესიმაგრე, რომელიც დღევანდელ პოლონეთში მდებარეობს. გვიანი შეუა საუკუნეების თავდაცვითი არქიტექტურის ეს შედევრი არათუ კვროპას, არამედ მსოფლიოს უდიდესი გოტიკური ციხესიმაგრის კომპლექ-



**მალბორგი მსოფლიოს უდიდესი გოტიკური ციხესიმაგრეა, აგრეთვე, ადამიანის ხელით აგებული კველაზე დიდი აგურის კომპლექსი**

სია. იმავდროულად, ის დღემდე ადამიანის ხელით აგებული კველაზე დიდი აგურის შენობაა. კომპლექსის ფართობი 21 ათასი ჰექტარია.

მალბორგი ეტაპობრივად შენდებოდა. ყოველი ახალაშენებული ნაწილი თანადროული ეპოქის გამოძახილი იყო. კველაზე მეტად კი მალბორგი რაინდული ეპოქის სულისკვეთებასა და ტრადიციებს გამოხატავს.

ციხესიმაგრეს მდიდარი ისტორია აქვს. იგი თავიდანვე პოლიტიკური და სამხედრო მოვლენების ცენტრში მოუქცა. შენებლობას საფუძველი XIII საუკუნის 70-იან წლებში ჩაეყარა. XIV საუკუნის დასასრულისთვის საბოლოო იერსახე გამოიკვეთა. ეს იყო სამი დამოუკიდებელი ციხესიმაგრის კომპლექსი, რომელთაც მასიური საფორტიფიკაციო ისტეგმა აერთიანებდათ.

XIII საუკუნის 70-იან წლებში ამ მიწებზე, საკუთარი პოზიციების გასაძლიერებლად, ტკილონთა ორდენის ძლევამოსილმა რაინდებ-

მა საფორტიფიკაციო ნაგებობის შენებლობა დაიწყეს. ციხესიმაგრის შენებლობა გადაწყვეტილი მდინარე ნოგატის სანაპიროზე (თანამედროვე გდანსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით 60 კილომეტრზე). საფუძველი მალბორგს დაახლოებით 1274 წელს ჩაეყარა, 1280 წლისთვის კი უკვე ტკილონთა კონვენტის რეზიდენციას წარმოადგენდა. ოთხ დამოუკიდებელ კორპუსს კუთხებში მდებარე კოშკები ამაგრუბდა, კონვენტის რეზიდენცია 4-სართულიანი მთავარ შენობაში იყო. რაინდებმა განსაკურებული ყურადღება მიაპყრეს ჩრდილოეთი მხარის გამაგრებას. შენობის ქვედა სართულზე სამეურნეო დანიშნულების სათვასები მოწყობი, მის თავზე კი, ჩრდილოეთ ფრთაში — დარბაზი. წმინდა მარიამის კაპელა ერთდროულად ორ სართულს იკავებდა. ჩრდილოეთ ფრთაში მდებარეობდა რაინდთა საძინებელი, ხოლო აღმოსავლეთ ფრთაში — საწყობი და სატრაპეზო.

1309 წელს მალბორგის ისტორიის ახალი ეტაპი იწყება. ციხესიმაგრის ადმინისტრაცი-



**კომპლექსი დიდხანს შენდებოდა, თუმცა კველაზე უკეთ მალბორგი რაინდული ეპოქის სულისკვეთებას გამოხატავს**



მალბორგში ჩიტიც ვერ უნდა შეფრენილიყო  
ტკმტონთა ორდენის დიდი მაგისტრუბის უნებართვიდა



ულ-პოლიტიკური მნიშვნელობა გაიზარდა. ტექტონთა ორდენის მაგისტრმა ზიგფრიდ ფონ ფოიხტგაგენმა 14 სექტემბერს რეზიდენცია ვენეციიდან მალბორკში გადმოიტანა და იგი ტკმტონთა ორდენის დედაქალაქად გამოაცხადა. მალბორკი გახდა სამხრეთ-აღმოსავალეთი ბალტიისპირეთის უძლიერესი სახელმწიფოს ცენტრი. ცვლილება ციხესიმაგრის არქიტექტურაზეც აისახა. სწრაფად ვითარდებოდა მის კედლებთან დაფუქნებული ქალაქიც, რომელიც საგაფრო გზების გადაკვეთაზე მდებარეობდა.

ასკარა გახდა, რომ მალბორკი არ იყო ახალი სტატუსის შესაფერისად გამაგრებული. გადაკეთება-გაფართოებას დაახლოებით 40 წელიწადი დაჭირდა. შედარებით მოკრძალებული მალბორკი კარგად გამაგრებულ ე.წ. ზედა ციხესიმაგრებ გადაქცა.

ზედა ციხესიმაგრის ჩამოყალიბება უკვე არსებული შენობის გაფართოებითა და გადაკეთებით დაიწყო. მთელ პერიოდზე ღრმა თხრილები გაეთდა, ხოლო კედლების რამდენიმე რიგი ციხესიმაგრეს მიუდგომელს ხდიდა. წმინდა მარიამის კაპელა 1331-1344 წლებში დიდ ეკლესიად გადაკეთდა. მის ქვემოთ კი შემდგომში წმინდა ანასაღმი მიძღვნილი დიდი მაგისტრების განსასვენებელი მოქანეობა.

ზედა ციხესიმაგრის ჩამოყალიბებამ აგტომატურად მოითხოვა კომპლექსის განვითარება. მონასტრის ყოფილი ეზო 1330 წლისთვის მრავალფუნქციურ, გაცილებით კომფორტულ და კეთილმრწყებობილ საშუალო ციხესიმაგრედ გადაკეთდა. ზედა ციხესიმაგრესთან შედარებით, იგი უკეთ დაცულიც კი იყო. პირველი ციხესიმაგრისგან მას გამოყოფდა წელით საუსე თხრილი. ასევე ზიდი, ხოლო ცვინგერი (სივრცე გარე და შიდა კედლებს შორის) და საგუშავო კოშკი მაგისტრის დამატებით უსაფრთხოებას ემსახურებოდა. საშუალო ციხესიმაგრის გრანდიოზული, 30 მეტრი სიგრძისა და 15 მეტრი სიგანის სატრაპეზო დარბაზი სამი სვეტითა და ვარსკვლავისებრი თაღით — იძროინდელ ვეროპაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სადღესასწაულო დარბაზი იყო. ტურნირებსა და სხვადასხვა ღონისძიებებზე მალბორკში მთელი დასავლეთ ვეროპიდან ჩამოსული რაინდები საშუალო ციხესიმაგრეში ჩერდებოდნენ.

XIV საუკუნის მიწურულსა და XV საუ-


კუნის დასაწყისში არქიტექტურულ ანსამბლს საბოლოო სახე მიეცა. კომპლექსის ზედა ციხესიმაგრის ჩრდილოეთით ახალაშენებული მესამე, ეწ. ქვედა ციხესიმაგრე შეუერთდა. მას განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა საზაფხულო და საზამთრო სატრაპეზოები. სამხედრო თვალსაზრისითაც ქვედა ციხესიმაგრეს განსაკუთრებული ფუნქცია ჰქონდა. საგანგებოდ აშენებულ საწყობში ციხესიმაგრის მთვლი საბრძოლო არსენალი ინახებოდა: ყველა სახის საჭიროებლი, იარაღი, ტყვია-წამლი, არტილერია. იქვე იყო თავლა, ლუდსახარში, სურსათის შესანახი შენობა. ქვედა სასახლის სივრცეში განსაკუთრებული ადგილი ეგავა წმინდა ლორრანის ეკლესიასა და ბასტიონებს.

შეთბეჭდავი იყო მალბორკის თავდაცვითი სისტემა. თვალში საცემი გახლდათ მასიური კედლების რამდნიმე რიგი და მრავალი კოშკი, რომლებიც მთელ პერიოდზე აკონტროლებდნენ. საფორტიფიკაციო-პოლიტიკური მნიშვნელობის გარდა, მალბორკში ჩმირად მასპინძლობდნენ რაინდულ ტურისტებს, დღესასწაულებსა და საზეიმო შეხვედრებს. ტურისტების დროს აქ პრაქტიკულად მთვლი ვროპის რაინდობა იყრიდა თვეს.

ტევტონთა, და ზოგადად რაინდულ-სასულიერო ორდენთა, ცხოვრების წესიდან გამომდინარე, მალბორკს არც მონასტრული სიმუდროვე აკლდა. აქ რაინდები საკმაოდ ასე-ტურად ცხოვრობდნენ. ახალგაზრდა ქალებს ციხესიმაგრის ტერიტორიაზე შესვლა სასტიკად ეკრძალებოდათ. ცნობილია შემთხვევა, როცა მალბორკში მხარეული ქალის მისაღებად რაინდებმა ნებართვისთვის რომის პაპს მიმართეს. პაპმაც ტევტონებს ნება დართო, ოდონდ იმ პირობით, რომ შეარეული ქალი 60 წელს გადაცილებული იქნებოდა.

დიდი ხნის განმავლობაში ტევტონთა ორდენის დედაქალაქი რეგიონის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამეცნიერო და რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. მალბორკი იმავდროულად იყო ტევტონთა ბალტიისპირეთში ექსპანსიის ერთ-ერთი მთავარი ბაზაც.

ევროპაში ტევტონთა დომინანტური პოზიციები „დიადი ომის“ (1409-1411) დროს შეირყა. 1410 წელს გრიუნგალდთან ისტორიულ ბრძოლაში პოლონელთა და ლიტველთა კოალიციურმა ლაშქარმა დაამარცხა ტევტონი რაინდები, რომელთაც დიდი მაგისტრი ულ-



კომპლექსის შემჯულობა ტოლს არ უდებს ცნობილ არქიტექტურულ შედევრებს





შიდა ციხესიმაგრე, რომელსაც გარშემო ასევე გამაგრებული ქალაქი აკრავს



დატენილი ზარბაზნები ქვლავ სადარაჯოზე დგანან

შიდა ეზოს ერთ-ერთი კუთხი



რის ფონ იუნგინგენი მეთაურობდა. ეს იყო ერთ-ერთი გადამწყვეტი მოვლენა ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპის ისტორიაში. გრიუნვალდთან განცდილი მარცხი ტევტონებისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. იმავე წელს მალბორკის კედლებს გამარჯვებულ მოკავშირეთა ლამქარი შემოწყო. ციხესიმაგრე პირველი სერიოზული გამოცდის წინაშე აღმოჩნდა. პოლონელ-ლიტველთა მხედართმთავარი, მეფე ვლადისლავ II უკან დახვევას არ აპირებდა. თუმცა მალბორკი არ დაცემულა, პოლონელებმა კი უკან დაიხიეს. ტორუნის საზაონელშეკრულების შემდეგ (1411) ახალმა მაგისტრმა პაინირის ფონ პლაუენმა ძალების მოკრება გადაწყვიტა. შესაძლო ახალი შემოტევის მოლიოდინში მან გაამაგრა ციხესიმაგრეცა და ქალაქის საფორტიფიკაციო სისტემაც.

თუმცა გრიუნვალდთან მარცხის შემდეგ ტევტონთა ორდენმა პოლიტიკურ-ეკონომიკურ კრიზისს თავი ვეღარ დააღწია. რამდენიმე პროვინცია პოლონეთის სამეფოში მოქაცა, ორდენმა კი 1525 წლამდე იარსება, როცა დიდი მაგისტრი ალბრეხტ პოპენცოლერნი-ბრანდენბურგელი პროტესტანტიშტში გადავიდა (მარტინ ლუთერის გეგმის შესაბამისად) და პრუსიის საპერიოგოს შექმნა გამოაცხადა — პირველი პროტესტანტული სახელმწიფოს ვეროპაში...

1457 წელს კი მეფე კაზიმირმა მალბორკის ციხესიმაგრე ბოპემიელი დაქირავებულებისგან შეიძინა, რომელთაც ერთი წლით ადრე დიდი მაგისტრმა ციხესიმაგრე ვალში გადასცათ. დაიწყო მალბორკის ისტორიის პოლონური პერიოდი. 300 წლიწადზე მეტხანს ის პოლონეთის მეუთა დროებით რეზიდენციას წარმოადგენდა.

პოლონურ პერიოდში მალბორკის კომპლექსმა დეკადანის განიცადა. უზარმაზარი საფორტიფიკაციო ნაგებობის შენახვა დიდ ხარჯებს მოითხოვდა. სათანადო ეურადღებას მოკლებულ ციხესიმაგრის კონსტრუქციას დეველეტები გაუწინდა. დიდი სატრაპეზოს ჩრდილოეთ კედელში გაჩენილმა ბზარმა სხვადასხვა ტიპის პრობლემა შეუქმნა კონსტრუქციას (ამ პრობლემათა გადაჭრა მხოლოდ თანამედროვე ეტაპზე მოხერხდა).

პოლონეთ-შვედეთის ოშმი ციხესიმაგრე არ დაზიანებულა, რაღაც სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტს არ წარმოადგენდა. 1626-



მალბორკის დარბაზები გოტიკურ ისრისებურ თაღებს უფრდნობა, რომლებიც ოსტატურად არის შემუშლი

1629 წელს მალბორკი შეედებს ეპირათ. მათ კომპლექსს მიწაყრილის 11 ბასტიონი დაუმატეს. 1655 წელს მალბორკი კვლავ გახდა შვედების მარბიელი თავდასხმის სამიზნე.

XVII საუკუნეში ცელილებები მოხდა. დიდი მაგისტრუბის დარბაზებში სამეფო პალატები მოწყო. 1644 წელს ზედა ციხესიმაგრის სახურავი შემოხვევით გაჩენილმა ხანძარმა იმსხვერპლა. დაწიგვა შეუსაუკუნების პერიოდის გალერებიც. დაზიანებული ნაწილი უმაღლე აღადგინეს, თუმცა გოტიკურ კომპლექში ბაროკოს ეპოქის სული შეიჭრა. 1647 წლიდან შეიცვალა წმინდა მარიამის კაპელასა და სხვა ნაგებობების გადახურვა. რეკონსტრუქციისას, 1675 წელს, სამხრეთ ფრთაში სახურავი ჩამოინგრა.

მალბორკის ისტორიაში მორიგი ეტაპი



სადუმლო სერობის ფრესკის ფრაგმენტი წმინდა მარიამის კაპელაში





მრავალი ფრუსკა კარგად არის შემონახული



შიდა ეზოში მაგისტრების ძელებია. მარხნიდან მეორე ზოგიერთ ფონ ფორჩტვეგნა, ვინც მალბორკი ტევტონთა ორდენის დედაქალაქად გამოაცხადა

ორდენის მაგისტრის ტახტი



96 საქონის მუზეუმი - ივნისი 2013

1772 წელს დაიწყო, როცა პოლონეთის მიწების პირველი გადანაწილების შედეგად ციხე-სიმაგრე პრუსიის სამეფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა. გასამსუბუროებულმა პრუსიამ თავისი დაღი დაასვა არქიტექტურას. მყუდრო შუასაუკუნეობრივ დარბაზებში ყაზარები მოწყო, სხვა დარბაზების დიდი ნაწილი სამხედრო საწყობად იქცა. ამ პერიოდში მალბორკი ძლიერ დაზიანდა, გადარიბდა და შეიძლა.

ნაპოლეონის ომების დროს მალბორკი სასაწყობე და საყზარმე დანიშნულებით გამოიყენებოდა. XIX საუკუნეში უნიკალურ კომპლექსს ყურადღება ხელოვანებმა და საზოგადო მოღვაწეებმა მაიკცის. მათი ერთობლივი ძალის ხმელეთი, 1804 წელს ციხესიმაგრე ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლად გამოცხადდა. პრუსიელმა არქიტექტორმა დავიდ გილიმ შვილთან ერთად ციხესიმაგრის ჩანახატები გამოაქვევნა, რითაც გაამძაფრა საზოგადოების ყურადღება მალბორკისადმი. გოტიკის მოყვარულმა ბერლინის მოქალაქეებმა სარესტავრაციი ფონდიც კი შექმნეს. შეგროვებული თანხებით რესტავრაცია 1816 წელს დაიწყო და 1939 წლამდე გაგრძელდა. ისტორიული გოტიკური ფორმები კომპლექსს მხოლოდ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში დაუბრუნდა. ეს დიდწილად გამოჩნდილი არქიტექტორ-რესტავრატორის, კონრად შტაინბრუნტის დამსახურება იყო.

მეორე მსოფლიო ომმა მალბორკს გამოუწიორებელი ზიანი მიაყენა. 30-იან წლებში გერმანიაში მიმდინარე მოვლენები ციხესიმაგრეზეც აისახებოდა. 1933 წლის 1-ელ მაისს მთავარ კოშტზე მესამე რაიხის დროშა აფრიალდა. დარბაზებში ხშირად წევობოდა გერმანელ ნაცისტ დიდმოხელეთა მიღებები. 1934 წელს გაჩნდა კომპლექსის აღმოსავლეთი ნაწილში დიდი ამფითეატრის აშენების პროექტი, რომელიც მთლიანად დაარღვევდა ანსამბლს, მიზეზთა გამო ის ვერ განხორციელდა. ომის დროს მალბორკში ფიცს დებდნენ აღმოსავლეთის ფრონტზე მიმავალი ჰიტლერიუგენდის ახალგაზრდები.

1945 წელს, მალბორკი საბრძოლო ოპერაციათა ეპიცენტრში მოექცა. ძელი ქალაქის 80% განადგურდა, დაინგრა ციხესიმაგრის მნიშვნელოვანი ნაწილიც. გერმანიის დამარცხების შედეგად მალბორკი პოლონელებს დაუბრუნდათ.

დროთა განმავლობაში ციხესიმაგრე აღად-

გინეს, 1961 წლის 1-ელ იანვარს კი აქ დიდი მუზეუმი შეიქმნა, რომელიც ხელოვნების, ისტორიისა თუ არქიტექტურის 23 მუზეუმს აერთიანებს. მაღლბორგში არაერთი უნიკალური ნივთა, მათ შორის არის შეკა საუკუნეების დროინდელი ცენტრალური გათბობის სისტემის ფრაგმენტი. ამ ტიპის გათბობა ურთოპაში პირველად სწორედ მაღლბორგში გამოიყენეს. ერთ-ერთი დარბაზის კედელში ზარბაზნის ჭურვია ჩარჩნილი. გადმოცემის მიხედვით, 1410 წლის აღყის დროს ეს ჭურვი პოლონელლიატველთა ზარბაზნიდან გაისროლეს და ის იმ დარბაზის კედელს მოხვდა, სადაც ტვეტონთა სამხედრო საბჭო იყო შეკრებილი.

მდიდარი წარსული აქვს კომპლექსის კედლებთან არსებულ ქალაქ მაღლბორგსაც. ქალაქსა და ციხესიმაგრეს ყოველწლიურად 700 ათასამედე ტურისტი ათვალიერებს. მნახველთა კველაზე დიდ ინტერესს იწვევს ყოველწლიური თეატრალიზებული წარმოდგენა „მაღლბორგის აღყა“. სანახობის მონაწილეები რაც შეიძლება რეალისტურად წარმოადგენენ 1410 წლის აღყის დღეებს და ისეთი ატმოსფერო იქნება, თითქოს შეკა საუკუნეების ეპოქა მართლაც ცოცხლდება. 1997 წელს მაღლბორკი იუნესკოს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის სიაში შეიტანეს.

### მისამართი გარემონტი

თუ-ს ასისტენტ-პროფესორი, ისტორიის დოქტორი



კომპლექსის სიდიადე გულარიდას არაგის ტოვებს

ცენტრალური გათბობის სისტემის ფრაგმენტი. შეკა საუკუნეებში ამ ტიპის გათბობა ურთოპაში პირველად სწორედ მაღლბორგში გამოიყენეს





# თბილის მახვილის მოთვიცენიერება

ფარიკაობა სპორტიცაა, ხელოუნებაც, სამხედრო მეცნიერებაცა და აღზრდის სისტემაც. ის გამორჩეულია თავისი ესუუტიკით, რომანტიკულობითა და ისტორიით, რომლის ფესტები ათასწლეულებში იკარგება.

ჯერ კიდევ ძველი ინდოეთის ხალხებში არსებობდა „წმინდა წიგნი“, სადაც ბასრი იარაღით გარჯოშის წესები იყო აღწერილი. იაპონიასა და ჩინეთში კი, უხსოვარი დროიდან, მახ-

ფარიკაობის სცენა მედინა ამჟა ტაძრის ბარელიეფზე, სადაც ჯონებით მებრძოლებს ნიდებით უკეთიათ (უკიატე. ძვ.წ. 1190 წელი)

ვილით ბრძოლის ხელოუნების დახვეწას ბამბუკის ჯონებით ცდილობდნენ.

მებრძოლთა გაწერთნა-მომზადებისთვის ფარიკაობა ფრიად გავრცელებული იყო ძვ.წ. III ათასწლეულის ძველ კვაპტეში. მახვილის როლს იქაც ჯოზი ასრულებდა, შეუიარაღებელ ხელზე კი მოგარიკავები თხელ დაფუს იმაგრებდნენ თასმებით, რაც ფარის მაგივრობას სწევდა.

მედინე აბუს ტაძრის ბარელიეფით თუ ვიმსჯელები, რომელიც რამზეს III-მ ჩვენს ერამდე 1190 წელს ააგო საკუთარ სამარხად, შეგვიძლია ვთვარაუდოთ, რომ ეგვიპტელებმა ფარიკაობაში გრანდიოზული შეჯიბრება პირველ ანტიკურ ოლიმპიურ თაბაშებამდე დაახლოებით ოთხი საუკუნით ადრე გამართუს. მაშინ ასპარეზობა ფარაონს ლიბიელებთან გამარჯვების აღსანიშნავად მოუწევია. აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენის ამსახველ ბარელიეფზე ერთერთ მებრძოლს სახე ნიღბითაც აქვს დაცული.

სამხედრო მომზადებისა და სხეულის



წრთობის ერთ-ერთი მთავარი საშუალება იყო ფარიკაობა ანტიკურ საბერძნეთსა და ძველ რომშიც. ძველი სამყაროს ისტორიული წეარობი გვამცნობენ იმდროინდელ მებრძოლასა აღჭურვილობაზე, ოსტატობასა და ასპარეზობებზე. ფარიკაობაში გამართული შეჯიბრი აღწერილია პომეროსის „ილიადაში“.

ამასთან, ძველ საბერძნეთსა და რომში ფარიკაობამ პოპულარობა მოიპოვა, როგორც სანახაობამაც. ძვ.წ. 264 წლიდან რომში შედმივად ეწყობოდა გლადიატორთა ბრძოლები ბასრი იარაღით. ცივი იარაღის ფლობის შესასწავლად სკოლები ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა დაარსეს, რომის იმპერიაში კი იყვნენ თეტატებიც, ე.წ. იარაღის დოქტორები, რომლებიც არმიაში ჯარისკაცებს შემუშავებული მეთოდით წვრთნიდნენ და მათ მახვილის გამოყენების ხელოვნებას აზიარებდნენ.

ცნობილია, რომ იულიუს კეისარმა, რომელიც ორთაბრძოლათა დიდი მოტრფიალე კონილ, მებრძოლებისთვის ფარიკაობის სპეციალური წესებიც შემოიღო.

**1409 წელს აუგ სბურგში გამართული სასამართლო ორთაბრძოლა 1540 წელს გამოსახა გერმანებმა ქრონისტმა და საფარიკაო ტრაქტატის აუტორმა, პაულუს პექტორ მაირმა**

## სასამართლო ორთაბრძოლა

არსებობს მოსაზრება, რომ რომის იმპერიის დამპყრობი გერმანული ტომები პირველი იყვნენ, რომლებმაც მახვილით ორთაბრძოლა მართლმსაჯულებას საშუალებად აქციეს. მათი წამხედურობით კი დუელი მთელ გვრობაში გავრცელდა.


მაგალითითოვანის წარმოვიდგინოთ ასეთი სცენა: ერთ-ერთი კეთილშობილური წარმოშობის ქვეშვერდომი მიდის მეფესთან და აუწყებს, რომ მეორე ასეთივე წარმოშობის ქვეშვერდომი ქვეყანებისა და მოღალატე. ეს საშინელი ბრალდებაა. ეწყობა ორთაბრძოლა ბრალმდებელსა და ბრალდებულს შორის და ვინც გაიმარჯვებს, მართალიც ის ყოფილა. მიმინეოდა, რომ უფალი სიმართლის მხარეს დაიჭირდა და მტყუან მხარეს არ გაამარჯვებინებდა...

უკვე კარლოს დიდის (742-814 წწ.) მეფობის ხანაში დამკვიდრდა ე.წ. დვორის სამართალი, რომლის დროსაც ორთაბრძოლაში გამარჯვება მოღაეთაგან ერთ-ერთი მხარის სიმარ-





რაპირას წინამორბედი ესპანური ხანჯალი მარცხნა ხელისთვის ე.წ. „დაგა“ (ტოლედო. 1610 წელი)



ფარიგაობის განთქმული ოსტატი გერმანიაში პანს ტალოფერი შევიძლთან მეცადინეობისას (1467 წელი)

ფარიგაობის დიდოსტატებთან მიღებული გაკვეთილების გარეშე დუქლებში ხმალდა ხმალ გასვლა თვითმეცნილების ტოლფას იყო

თლეს ადასტურებდა. მსგავსი სამართალი შეუსაკუნებებში რაინდული ეპოქის განუყოფელი ნაწილი იყო.

იმდროინდელი ევროპა მართლაც ლამის მოფარიგავე რაინდთა ასპარეზად იყო ქცეული. განვითარდა საგანგებო სკოლები, სადაც მახვილით ბრძოლის ხელოვნებას ასწავლიდნენ. მუდმივად ეწყობოდა ტურნირები, სადაც რაინდები თავიანთი ოსტატობის წარმოჩენას ემურუბოდნენ.

რა გასაკვირია, რაინდისა თუ მეფის ამალის ჯარისკაცის აღზრდაში, საერთოდაც, ჭაბუკის ვაჟკაცად ჩამოყალიბებაში, სწორედ იარაღის ფლობის შესწავლას ენიჭუბოდა უდიდესი მნიშვნელობა. თუმცა მას აშკარად გამოხატული კლასობრივი ხასიათიც ჰქონდა — ფარიგაობის ხელოვნება ხელმისაწვდომი მხოლოდ წარჩინებულთათვის იყო, მდაბიონი კი ორთაბრძოლებს მხოლოდ ლითონის ბუნიკიანი ჯოხებითა და ალებარდებით (გრძელტარანი შეტები, ზედ მიმაგრებული ცულის პირით) მართავდნენ.

1480 წელს ესპანეთში კანონით პირველად აკრძალეს დუქლელი (ქალაქ ტოლედოს კანონი). საგულისხმოა, რომ ფარიგაობის უძველესი სახელმძღვანელოს, დიეგო დე ვალერას „ტრაქტატი იარაღის შესახებ“ შექმნა (1458-1471) წინ უსწრებდა ამ კანონის მიღებას. შევიძლია დაგვსკვნათ, რომ სწორედ იმ დროის ესპანეთში შეიძინა ფარიგაობამ მეცნიერების სტატუსიც.

დროთა განმავლობაში მოფარიგავეთა შორის მოწონება იმ სახის იარაღმა მოიპოვა,



რომლითაც უფრო იოლი იყო აბჯარას ხმული მოწინააღმდეგისთვის ჭრილობის მიენება. აბჯრის ნაკვეთურებში, სადაც ვეტერულა ხმალი ვერ ატანდა, გზას წვრილი და ბასრი მახვილი გაცილებით უკეთ იკვლევდა. ასე წარმოშეა დაშნა, რომელმაც დროთა განმავლობაში ხმალი მოფარიკავეთა საბრძოლო არსენალიდან განდვნა.

### დიდოსტატთა სპოლები

მახვილის დახვეწამ, თავის მხრივ, მოფარიკავეთა ოსტატობის ამაღლებაც განაპირობა — ორთაბრძოლაში მთაგარი უკეთ არა მკლავის მაღა, არამედ სიზუსტე, სისწრაუე და მოქნილობა გახდა.

მოგვიანებით, როცა ესპანეთი ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე გაფლენიან სახელმწიფოდ იქცა, ამ ქვეწის არმიამ ფარიკაობის ხელოვნება სხვა ქვეყნებშიც განავრცო. განსაკუთრებით ის იტალიის სამხრეთში აიტაცეს.

თუკი ფარიკაობის სამშობლოდ მანც ესპანეთი მიიჩნევა, იტალიაში ის ახალ სიმაღლეზე ავიდა — აპენინებზე დარასდა ფარიკაობის უდიდესი სკოლები, რომელთაგან თითოეული საკუთარი ტრადიციებითა და სტილით იწონებდა თავს. ბოლონიისა და ვენეციის უნივერსიტეტებში ფარიკაობა იურისპრუდენციასთან ერთად ისწავლებოდა. იქ კი მთელი ევროპიდან იყრიდნენ სტუდენტები თავს.

XVI საუკუნეში იტალიაში განსაზღვრუს ფარიკაობის პრინციპები, თეორიულად ჩამოაყალიბეს მისი სასწავლო კურსი და მოახდინეს იღეთებისა და მოქმედებათა კლასიფიკაცია. აღსანიშნავია, რომ იმ დროისთვის დაშნის ფლობის შემსწავლელი ეროვნული სკოლები არა მხოლოდ ესპანეთსა და იტალიაში, არამედ საფრანგეთში, გერმანიასა და ინგლისშიც არსებოდა.

XVII საუკუნეში ფარიკაობის მსოფლიო ცენტრად უკვე საფრანგეთი მოგვევლინა, სადაც წინა პლანზე მჩხვლეტი დაშნით მოქმედების სისტემა გამოიდა, მაშინ, როცა ფარიკაობის იტალიური სკოლისთვის დამახასიათებელი მჭრელი მახვილი იყო.

ფრანგმა ოსტატებმა კიდევ უფრო დახვეწეს ტექნიკა და წვრთნის მეთოდიკა. ორთაბრძოლაში შეიტანეს მთელი რიგი პრინციპული სიახლეები (მათ შორის, მთაგარი — მავ-




ფრანგმა ოსტატებმა ფარიკაობაში მჯოფლისბადიანი ნიღაბი შეიტანეს



ხმალი, რაპირა და დაშნა

ფარიკაობის სკოლა ლეიდენის უნივერსიტეტში (1610 წელი, ნიდერლანდი)






ფრანგული  
რაპირა



იტალიური  
რაპირა



რაპირა —  
იტალიური სკოლა,  
ადრეული ნიმუში



ესპანური რაპირები



XIX ს. ესპანური ხმალი

თულისბადიანი ნიღაბი), რაც მოგვიანებით სპორტულ ფარიკაობას დაედო საფუძვლად. ძირითად მოძრაობათა აღმნიშვნელი სისტემის შექმნამ კი, რომლის მრავალი ტერმინი დღემდე გამოიყენება, ფარიკაობის ოფიციალურ ენად ფრანგული აქცია.

მართალია, XVIII საუკუნის დასაწყისისთვის ფარიკაობის თავ-თავიანთი სკოლები ევროპის ბევრ ქვეყანაში ჰქონდათ, მაგრამ მათ შორის უმთავრესი — იტალიური და ფრანგული, მთავარ პოზიციებზე დარჩა.

### სპორტული ფარიკაობა

სპორტის სახეობად ფარიკაობა XIX საუკუნეში იქცა, განსაკუთრებით კი ის საფრანგეთში, აგსტრია-უნგრეთსა და გერმანიაში განვითარდა. XIX საუკუნის ბოლოსთვის პირველად მოწყო თანამედროვე სპორტულ ფარიკაობაში შეჯიბრება.

1913 წლის 9 ნოემბერს პარიზში ბელგიის, დიდა ბრიტანეთის, უნგრეთის, გერმანიის, იტალიის, ნიდერლანდის, ნორვეგიის, საფრანგეთისა და შვეიცარიის ეროვნული ფედერაციების წარმომადგენლობმა ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაცია შექმნეს. ერთი წლის თავზე ფედერაციამ სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო წესები შეიძუმავა.

აღსანიშვნაია, რომ ფარიკაობა ერთ-ერთია სპორტის იმ ოთხი სახეობიდან, რომელიც ყველა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შედიოდა. პირველ ოლიმპიურ თამაშებში (1896 წელს) ორთაბრძოლები მხოლოდ მამაკაცთა შორის, რაპირასა და ხმალში იმართებოდა, 1924 წლის ოლიმპიურ თამაშებში კი უკვე მოყარიყვნებიც ჩატარდება.

ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაცია დღეს ასზე მეტ ეროვნულ ფედერაციას აერთონანებს. ბოლო წლებში სულ უფრო იმატებს წევრ-სახელმწიფოთა რიცხვი მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებზე, ისვერწება იარაღი და აღჭურვილობა, ჩევლეტის ელექტროფიქსატორების კონსტრუქციები და იზრდება სპორტსმენთა ოსტატობაც. ამჟამად ფარიკაობაში შეჯიბრი სამ დისციპლინაში: რაპირათი, ხმლითა და დაშნით იმართება.

ფარიკაობაში ორთაბრძოლა 14 მეტრი სიგრძისა და 1,5-2 მეტრი სიგანის ბილიკზე წევობა. სამივე სახეობის იარაღი მტკიცე ფორმადისგან შხადდება და აქვს მოქნილი პირი.



არტისტ მოფარიკავეს გამოცდილ სპორტსმენთან დაპირისპირებაში ოუნდაც ერთი წარმატებული ჩხვდეტის შესრულების შანსიც კი არა აქვთ

რაპირა და დაშნა ბუნიეთ ბოლოვდება.

რაპირა 500 გრამს იწონის, ღეროს სიგრძე — არაუმეტეს 90 სანტიმეტრია, საერთო სიგრძე კი 110 სანტიმეტრი. ხელის მტევნის დამცავი ზარის (ჩაჩი) დიამეტრია 12 სანტიმეტრი. საჩხვდეტი ზონა განსაზღვრულია ელექტროჭუროსებით.

რაპირას მსგავსია დაშნაც, ოლონდ მისი წონა — არანაკლებ 770 გრამია, სიგრძე — 110, ზარის დიამეტრი კი არაუმეტეს 13,5 სანტიმეტრი. ღეროს კვეთი სამკუთხოვანია, ჩხვდეტა ნებადაროსულია სხეულის ნებისმიერ ხარისხში.

ხმლის წონა 500 გრამამდეა განსაზღვრული, პირის სიგრძე — 88, მთლიანი სიგრძე კი — 105 სანტიმეტრი. ამ დისკიპლინაში ნებადაროსულია ჩხვდეტა და დარტყმა თავზე, ხელებსა და ტანზე, წელზემოთ.

ფარიკაობაში შედეგები სპეციალური ელექტრონული მოწყობილობით აღინუსხება.

### ფარიკაობის სხვა სახეობები

მიუხედავდ იმისა, რომ ფარიკაობის ძირითადი მიმართულება დღეს სპორტულია, მიზნობრიობის მიხედვით ასევე გამოყოფენ ფარიკაობის საბრძოლო, სცენურ (თეატრალურ), ეროვნულ-ისტორიულ სახეობებს. ეს

უკანასკნელი განსაკუთრებით პოპულარულია — ამ მიმდინარეობის მოყვარულები ორთაბრძოლებს სხვადასხვა ეპოქის — ანტიკური, შუა საუკუნეების საბრძოლო იარაღებისა და კოსტიუმების ზუსტი ასლებით მართავენ.

ცნობილი მსახიობების ბიოგრაფიათა კითხვისას არცოუ იშვიათად შეხვდებით ცნობას, რომ ამა თუ იმ ფილმში როლის განსახურებისთვის მსახიობს ფარიკობის სპეციალური კურსის გავლა დასჭირდა. ბევრს ეს ფრაზა, ალბათ, დააბნევს — როგორ შეიძლება რამდენიმე თვეში ფარიკაობის დაუფლება, მაშინ როცა სპორტსმენები დასაოსტატებლად წლობით ვარჯიშობენ. სინამდვილეში აქ ლაპარაკია ე.წ. თეატრალურ ფარიკაობაზე, რომელიც საგმაოდ განსხვავდება როგორც რეალური ბრძოლისგან, ისე სპორტული ფარიკაობისგან. სამაგიეროდ, ის გაცილებით თვალსასეიროდ და დრამატულად წარმოგვიდგენს მახვილებით ორთაბრძოლას.

სხვათა შორის, თვალის შევლების გარეშეც, მხოლოდ სმენითაც შეიძლება ამოცნობა, რომ ასპარეზზე არაპროფესიონალები არიან. ამაზე მძლავრად მოქნეული მახვილების ურისწამდები ჩახაჩუხი მიუთითებს — თუკი ფოლადის კვნესა მხატვრულ ფილმში მუშ-

კეტერთა დუელის სცენას ხიბლს მატებს, კვალიფიციურ სპორტსმენთა ორთაბრძოლისთვის იგი უჩვეულოა.

სინამდვილეში კი მსახიობ მოფარიკავეს გამოცდილ სპორტსმენთან დაპირისპირებისას თუნდაც ერთი წარმატებული ჩხვლეტის შესრულების შანსიც არ აქვს.

### **ვარიკაობა საქართველოში**

საქართველოში ხმლით ბრძოლის ხელოვნებას უხსოვარი დროიდან ფლობდნენ. ხევსურეთში დღემდეა შემორჩენილი ფარიკაობის ორიგინალური სტილი, რომელიც პირდაპირი საბრძოლო დგომით, ფარითა და ხმლით მოქმედების სინქრონულობით, შეტყვითა და თავდაცვითი ილეთების მრავალფეროვნებით გამოირჩევა.

რაც შეეხება ფარიკაობის კლასიკურ სტილს, ცნობილია, რომ საქართველოში პირველი სასწავლო ჯგუფი XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩამოაყალიბა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ავტორიელმა პედაგოგმა რუდოლფ გაისმა. 1894 წელს კი გადამდგარმა ოფიცერმა პიოტრ სალტიკოვმა თბილისში დაარსა

ფარიკაობის მოყვარულთა პირველი წერე. მასვე კომერციული მიზნით, 1900 წელს, ჩვენს დედაქალაქში საფარიკაო დარბაზი გაუხსნა.

XX საუკუნეში მნიშვნელოვანი წარმატებები ჰქონდათ ქართველ მოფარიკავებს. გასული საუკუნის 50-60-იან წლებში დაშინით მოფარიკავე გურამ კისტავამ მსოფლიოს ჩემპიონატებზე ვერცხლისა და ოქროს, რომის ოლიმპიადაზე კი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ოლიმპიური ჩემპიონობა იზეიმა ნუგზარ ასათიანმა (ხმალი, გუნდური) 1964 წელს ტოკიოში.

ფარიკაობაში მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოახვევს იური რისაბომა, რვაზ ცირუკიძემ, მორის სახვაძემ, გურამ ლორთქიფანიძემ, ძმებმა გიორგი, კოტე და არჩილ გოგელიებმა.

მოგვაიანებით უმაღლესი სპორტული ტიტულები დაიმსახურა რაპირათი მოფარიკავე ვლადიმერ აფციაურმა, რომელმაც სსრკ ნაკრებთან ერთად ჯერ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო (1982), შემდეგ კი სეულის 1988 წლის ოლიმპიურ თამაშებში გაიმარჯვა.

### **გელა უბარიძე**

სპორტული ფარიკაობის ილეთების მკაფიოდ დანახუა ხშირად ძნელდება, მაღალი სისწრაულების გამო





## თანდიზ არჩვაძე:

თუ თავისუფალი ცრ 35-ი,  
დაუმორჩილებელი 36-იში...

ორი წლის წინ მარჯანიშვილის თეატრის წინ თქნგიზ არჩვაძის ვარსკვლავი გაიხსნა. ცხრა წელიწადი დასჭირდათ, მსახიობი რომ დაეთანხმებინათ და ის აღსრულებულიყო, რაც ისედაც ნათელია — ვარსკვლავად გამოეცხადებინათ. თავს არიდებდა „დიდებულ ღონისძიებას“, არც განსაკუთრებულობის შეგრძენება ჰქონდა და, შესაბამისად, არც განსაკუთრებულ პატივს ითხოვდა...

სცენაზე ისევ დიდი მღელგარებით გავიდა. შუბლშექმენილი, ოდნავ წინ გადახრილი იდგა და უსმენდა იმათ, რომელთაც გულწრფელად უკვერცხართ.

მსახიობის გამოჩენამ დარბაზში დიდი ოვაცია გამოიწვია, ცხადი გახდა: თქნგიზ არჩვაძის სცენაზე არყოფნის წლები დიდი დანაკლისია ერის კულტურულ ცხოვრებაში.

„არსაკიძის მოჭრილი მკლავის ფასად არის ნათამაშები მისი ბეჭრი როლი“, — დაწერა თქნგიზ არჩვაძეზე მისივე კოლეგამ, ჯემალ მონიავამ.


ამ სიტყვებზე შუბლს კიდევ უფრო შეიტყმუნის, თავს ალათ ოდნავ გადაქწევს და ისე ჩაგხედავს თვალებში, რომ უხერხულობისგან ტუჩზე იკბენ — რამ გამახსენებინა ეს ფრაზაო... სამაგიეროდ, უძოშე გიამბობთ, იქაურ განთიად დაგნახვებთ.

მსახიობის პროფესიონალიზმი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ თქნგიზ არჩვაძეში ხალხმა ჯერ კაცი შეიყვარა — იშვიათობად ქცეული რაინდული თვისებებით აღსავსე და ერთგული და მერქ, უნიჭიერესი მსახიობი.

სიყვარული, ერმა რომ გამოუცხადა, მისივე განვლილი ცხოვრებით აიხსნება. ბეჭრი



მსახიობის პროფესიონალიზმი ძალიან  
მნიშვნელოვნია, მაგრამ ოუნგიზ არჩაძეში ხალხმა  
ჯერ კაცი შეიყვარა



რამ გადაიტანა, თუ უცა განცდილზე არაფერს იტევის ზედმეტს. დუმილის კაცი უფროა, ვიდრე თქმისა. მხოლოდ ძუნწად თუ გამოსტაცებ ფქრს, მისი ცხოვრების შესახებ კი ამბები დიდხანს, მისხალ-მისხალ უნდა აგროვო, რომ ბოლოს ერთად შეკრა და მისი მშვენიერი სამყაროს თანაზიარი გახდე...

— განცდა ასუფთავებს შინაგან სამყაროს, ან დადებითად მოქმედებს, ან — უარყოფითად... მნიშვნელობა აქვს, როგორ ხვდება ადამიანი ცხოვრებას, როგორ არის მოშეადებული, საგზლად რა ჩაუდეს, ხმიადი გამოატანეს თუ მოხარშული დედალი ან შემწევარი გოჭი... შემწევარ-მოხრაკული ცუდად მოქმედებს, ჯობია ხმიადი გქონდეს საგზლად. ხმიადი ხმელი პურია... გინახავთ? მთაში აცხობენ ხოლმე...

მე საგზლად წისქვილის სითბო და სიყვარული მომქონდა. რატომ წისქვილის? ყველაფრის ახსნა რა საჭიროა. მთელი სამყარო უნდა ამოვატრიალო, ამისი ახსნა რომ დავიწყო. ჩემთვის წისქვილი პატარა სამყაროა თავისი სარეკლამით... „და სარეკლამას მაღლიან ენით წისქვილი ყვება მოსავლის ამბავს“, — გახსოვთ ლადო ასათიანის ეს სიტყვები? წისქვილი ათას რამეს ყვება. ფქვავს... სარეკლამა აკაკუნებს.

პირველად რაჭაში ჩამიყენეს, 8 თუ 9 წლის რომ ვიყავი, მაშინ. ბებია-ბაბუა მყავდა იქ, დედულეთში. იქ მომისწრო ომის გამოცხადებამ... ბებიას დავყავდი დამით, საფეხუას რომ წაიღებდა, პატარა წისქვილი პქონდა. მეორე ბებიასაც პქონდა წისქვილი. წისქვილათან, როგორც სულიერთან, ისე მივდიოდი ხოლმე.

ჩემი პირველი მოგონებებიც წისქვილიდან იწყება. მართალია, თბილისში ყოფნის დროიდანაც მახსოვს რაღაცები, მაგალითად, მამას რომ დავყავდი კოჯორში, წაღვერში, მაგრამ ასეთი მძაფრი მოგონებები არ დამრჩენია.

მამა რევოლუციამდე ლიტერატორობდა, ჭიათურაში გაზეთშიც თანამშრომლობდა. ქვრივიშვილის (ბებიაჩემი ადრე დაქვრთვებულა) ფსევდონიმით იბეჭდებოდა. მაშინ მოდაში იყო ასეთი ტიპის ფსევდონიმები — მაშაშვილი, მუშიშვილი... მერე ბოლშვიკებმა დააშინეს და მიანება კველაფერს თავი.

მამა მკაცრი თუ იყო? არა... არც არაფერს

ვაშავებდი და მკაცრი რატომ უნდა ყოფილი იო? „ამირანდარეჯანიანს“, „როსტომიანს“ მიკითხავდა... უშეტესობა ზეპირად ვიცოდი.

დედა დიასახლისი იყო, ბაქოში, ქართველების კოლონია რომ იყო, იქ ცხოვრობდა ბავშვობაში, სკოლა იქ დამთვარა. ჩემზე 20 წლით უფროსი იყო, მამა კი 19 წლით უფროსი დედაზე... მამა საშუალო ტანის კაცი იყო, ძალიან მომხიბელელი. მისი ფოტოები მაქვს ჩოხაში, თეთრი მიხაკი ეგეთა ხოლმე გულზე... ტიციანი ხომ წითელი მიხაკით დადიოდა! მამას კი თეთრი მიხაკი უყვარდა. მე დედას უფრო ვგავდი... სამი წლისას მისწავლია წერაკითხვა. მამასთან ძალიან ახლოს ვიყვა. ლიტერატურაზე ვსაუბრობდით. გიუჟით მიყვარდა ლიტერატურა. მათემატიკური საგნები კი არ მომწონდა. ჯავახიშვილი და რობაქიძე რომ აკრძალული იყო, ჩვენ შინ გვქონდა 1914, 1916, 1917 წლებში გამოცემული წიგნები.

გალაკტიონის „არტისტული უვაკილები“ გვქონდა... მამა მარიგებდა, ამზე კრინტი არ დაძრაო და მეც გარეთ სიტყვა არ მითქვაძს... კარგად ვხატავდი და სკოლის გაზეოუბს მაურომებინებდნენ. მაგიტომ მიწერდნენ მათემატიკურ საგნებში ნიშნებს. მეც რა უნდა მექნა, სულ რომ არ გავეგდე სკოლიდან, ვაფორმებდი კედლის გაზეოუბს.

ერთხელ გადავწყვატუ, IX კლასში გამოგვეცა არალეგალური გაზეოთი. მასალები დაწერილიც კი გვქონდა უკვე. ევასხვაძე იყო, ერთ-ერთი მეცობრის დედის მმა, მან გადაგვარჩინა, არ გაბედოთ, თავს დაიღუპავთო... კი-დევ კარგი, თორებ რომის შემდგომ წლებში ამას რა მოყვებოდა, ხომ იცით...

გრანცოუზე დაეიბადე და გაეიზარდე, ჩვენ გვერდით გერმანელი ებრაელის — მიხელი როიტენბერგის ოჯახი ცხოვრობდა. ბრწყინვალე ხალხი იყო. მათი წყალობით რუსულიც ადრე ვისწველე. ერთადერთი გაჟი ჰყავდათ, ომში წაიყვანეს და ისიც დაიკარგა, აღარ დაბრუნებულა. რომ წამოვიზარდე, თავისი სითბო და უერადღება ჩემკენ გადმოიტანეს. ჩვენ სამი შეილი ვეავდით მშობლებს, მათ კი შეილი აღარ დარჩათ და...

დიდი, საერთო აიგანი და ერთი სამხარეულო გვქონდა, 25-მეტრიანი. იქ გვედგა ნაგთქურები და ერთად შეადღებოდა სადილი. მიხელი უბანში ცნობილი, დარდიმანდი კაცი იყო. მაშინ თბილისში თითო-ოროლა მანქანა


დადიოდა — შავი „ემ ადინი“. მოაყენებდა ამ მანქანას, ჩაგვსეამდა ბავშვებს და გვასეირნებდა, მუშტაილში წაგვიყვანდა, ფუნიკულიორზე აგვიყვანდა... კანფეტებს გვიყიდდა. მერე სურამში გადავიდნენ საცხოვრებლად, იქ ცხოვრობდნენ პატარა სახლში, ჩავდიოდი ხოლმე მათიან. თუ გსვლითი სპექტაკლი იყო და აფიშებზე ჩემს გვარს ნახავდნენ, დიდი სიხარულით მგებებოდნენ. ამ ურთიერთობას სიტყვები აღარც სჭირდებოდა.

ბავშვობა კარგია, მაგრამ ის პერიოდი მირჩვნია, როცა ცნობიერება უკვე ჩამომიყალიბდა, წიგნის ფსი გავიგე... ჯერ ხომ ყმაწვოლობაა, მერე მოდის ჭაბუკობა... აი, ჭაბუკობა მირჩვნია ველა დროს.

მამას არ უნდოდა ჩემი მსახიობობა, მერე შემგუა, რა უნდა ექნა... სპექტაკლებზე მოდიოდა, ერთ ბილეთს აიღებდა და დაჯდებოდა,

„არც დაბადების დღეზე, არც საღამოზე არ დაბისატიერა არავინ. ვინც მოუდოლდა, ვევლას სიხარულით ვხვდებოდი, სახლის კარიც ღია მქონდა და გულისაც“





„გულისტკნა თუ იყო? იყო, მავრამ მაგაზე  
არასოდეს არაფრი მითქაშს. არც გიტვვი...“



მიყურებდა. რატომ არ ვპატიჟებდი? როგორ დაუპატიჟებდი ჩემს სპექტაკლზე, მოდი და მი-  
ყურე-მეთქი, ვერავის ვეტყოდი. საერთოდ, არც დაბადების ღღებე, არც საღამოზე არ დამი-  
პატიჟია არავინ. ვინც მოვიდოდა, ყველას სი-  
სარულით ვხვდებოდი, სახლის კარიც ღია  
მქონდა და გულისაც.

ჩემს სოფელშიც კლიტე კი არ მაქვს, პა-  
ტარა ჩხირს ვუყრი ურდულში და ისე ვტოვებ.

ინსტიტუტში ცოტანი ვიყავით, გურსზე  
ათი კაცი. სარევესოროზე სულაც ზუთი კაცი  
სწავლობდა. თბილისიც პატარა იყო. ახლა  
გახდა უშველებელი ქალაქი.

მაას რომ გახდა 51წლის, ძალაან მეშინო-  
და, რამე არ დამართოდა. ამას როგორ ვიტყო-  
დი ახლობლებში... ბაბუაჩემი მოკლეს 51წლი-  
სა და შიში ამეგვიატა, მამასაც იგვე ხომ არ  
მოელის-მეთქი. მას მერე კიდევ 40 წელი  
იცოცხლა მამამ.

ჩრდილოეთში ვიყავი და იქიდან დაგბრუნ-  
დი. თან შამპანური მოვიტანე. მამა უკვე მო-  
ხუცი იყო, რად გინდოდა, რომ მოიტანე, ხომ  
იცი, შინ კახური ღვინო გვაქვსო. ველისცი-  
ხელი მეგობრები ჰყავდა და მათი შვილები უგ-  
ზავნიდნენ. თითო ბოთლი ღვინო მიფრთვით  
ვახშამზე... მამამ — მე მოვისვენებო. წავიდა  
თავის ოთახში. ცოტა ხანში დედას ვთხოვე,  
არ გაციდეს, გადააფარე რამე-მეთქი. მამა-  
მაც გვერდზე იცოდა წილა და არ დაიფარებ-  
და ხოლმე, მეც ასე ვიცი. შემობრუნდა დედა-  
ხემი და დაიწყო სუფრიდან ხორცის ალაგე-  
ბა. მივხდი, ცუდად იყო საქმე, აღესრულა-  
მეთქი გრიგოლი? თავი დამიქნია... აი, ასე წა-  
ვიდა მამა...

ხელმოკლედ ვცხოვრობდით, მაგრამ ფი-  
ზიკურად არასოდეს მიმუშავია... სამი შვილი  
ვყავდით მშობლებს. მთელი ომის პერიოდი  
არსად მსახურობდა მამა. რანაირად გაგვქონ-  
და თავი, არ ვიცი. ქართველიშვილის 1888  
წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ აბრე-  
შუმის ყდითა და ზინის ილუსტრაციებით ერთ  
ბუხანკა პურში გაყიდა მამამ, სხვა რომ აღა-  
რაფერი გვერდდა გასაყიდი. მაშინ კარგად გა-  
მოვკითხე მამას, ვის მიპყიდა წიგნი. ჩავიწე-  
რე, რომ არ დამვიწყებოდა. უკვე ფეხზე კარ-  
გად რომ დავდექი და ჩემი შემოსავალი გამიჩ-  
ნდა, მოვქებენ ის კაცი. თბილისი პატარა ქა-  
ლაქია, არ გამჭირვებია მისი პოვნა. სოლი-  
დური თანხა მთხოვა, მანქანის ფული იყო მა-

შინ. გადავუჩადე უსიტყვოდ... მამაჩემის ფაქ-  
სიმილიით იყო ის წიგნი... საოცარი კალიგ-  
რაფია პქრინდა.

გაშეკაცურად მოვიქეცი? არა, რა ვაჟკაცობა  
ეს იყო... გმირობა სულაც არ უნდოდა ამას.  
„აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმის“ ასე  
რომ არ მოვქცეულიყვავი, მოული სიცოცხლე  
გულში ხანჯლად უნდა მეტარებინა დარდი.

მიყვარდა კარგი ტანსაცმელი, ვხატავდი  
და იმის მიხედვით ვაკერინებდი ოერძს. ქსო-  
ვილს მამა ყიღულობდა ჩემთვის...

25 წლისა მამა გაეხდი... მაგრამ, რაც უნ-  
და გაგიკვირდეთ, განსაკუთრებით უფროსის  
კი არა, უმცროსი ქალიშვილის — ნათას და-  
ბადება მახსოვს. კამოზე დათიკო ბიბილეიშ-  
ვილთან მივიყვანეთ ჩემი მეუღლე. გარეთ მე  
და მისი 14 წლის ძმა ველოდებით დიდი დერუ-  
ფანი იყო, იქით შესვლა არ შეიძლებოდა. მო-  
დის დერუფნში დათიკო და მემახის: მომილო-  
ცავს, თენგიზ ბატონო, გოგოა, გოგო! ისე  
მილოცავ დავით-ბატონო, თითქოს პირველი  
გიორგი სააკაძე მყაფდეს-მეთქი. ჩემი ცოლის-  
ძმა მოვიდა, რა ხდება... ისევ გოგოა-მეთქი  
და თურმე ისე მოძიქევია ხელი, ყბა ამოუ-  
ვარდა... მეგონა ხელი მოვუთათუნე და თურმე  
რა მიქნია, ნათას დაბადების სიხარულმა  
შეგრძნება ასე დამიკარგა...

დაგადგებოდი გზას და სამ საათში გადავ-  
დიოდი კოჯორში, 12 კილომეტრს გავიყლიდი,  
მუხლს არ ჩავიხრიდი. დავჯდებოდი, მზის  
ამოსვლას ვუფურებდი. თუ დრო მქონდა, მი-  
ვიდოდი რაჭელ პურის მცხობელებთან და  
ძველ ამბებს ვაყოლებდი. პური იმათ პქონდათ,  
დვინო მე ამქონდა. იმათაც უხაროდათ, — მეც.

ერთხელ ჩემს მეგობრებთან ერთად კო-  
ჯორში ვქეიფობდი. თამადა ვიყავი. ზამთარი  
იყო. გამაბრაზეს, არ დაწყნარდნენ. გაჩერდით,  
თორუმ წავალ-მეთქი... სად წახვალო, — არ გა-  
ჩერდნენ. გამოვედი დამით და წამოვედი. გა-  
მოვიარე უძოს ტაძარზე. კიდევ კარგი, მთვა-  
რიანი დამე იყო... დაგადექი გზას და ჩამოვე-  
დი ბაგების სასაფლაოზე. ჩემი მეგობარი იყო,  
სპარტაკ ჯეველაგა, მისი ვაჟი იყო დასაფლა-  
ვებული ბაგებში. გავედი მის საფლავზე, დაგა-  
რიოფე ყვავილები, აქა-იქ თოვლში რომ ამოე-  
ყოთ თავი და დავაწყვე საფლავზე. მერე ფე-  
ხით წამოვედი ვარაზისხვში, ტროლეიბუსის  
უელიც არ წამოვიდე, ისე წამოვედი. ამიტომ  
უეხით ჩავედი სპარტაკის სახლამდე. ხომ



კალი მხატვრული ფილმიდან „ვეღრუბა“, 1967 წ.



„დათა თუთაშხია“, 1978



„ჩეგნურული ბალადა“, 1965



მშვიდობაა, — გაგიქდა სპარტაკი. ვუამშე, კოჯორიდან მოვდივარ-მეთქი. გიში სარო... საქ-ციელი კი არის გიშური, მაგრამ ასე იყო-მეთ-ქი. ახლავე მოგთვლი, ვნახოთ, ტექილს ხომ არ ამბობო. აევდით საფლავზე. ნახა ყველა-ბი და დაიჯერა... მერე მესამე მევობარსაც და-უწერებთ და „დავლეინდით“.

**გულისტკნა თუ იყო?**

იყო, მაგრამ მაგაზე არასოდეს არაფერი მითქვამს. არც ვიტევი... გულის მოფხანა არ მჭირდება. ილა ამბობს, ნუ გაიქცანებ გულს და აღარც გულის ფხანა დაგჭირდებაო.

ბევრს ვუყვარდი? რა მოგახსენოთ, არაფე-რი ვიცი... წერილები კი მომდიოდა, მაგრამ არ გხსნიდი, მეუღლე კითხულობდა, მე არ ვი-ცი, რა ეწერა იმ წერილებში...

იყო დრო, მარჯანიშვილის ქუჩაზეც კი არ დავდიოდი, არ შემეძლო. ახლა ასე აღარაა... თუატრის დღეზეც კი ვიყავი. პატივი მოგვა-გეს რამდენიმეს და მარჯანიშვილის სახლო-ბის პრეზიდენტის მოგვცეს. მერე გორმი უნდა წაუ-სულიიყავით, მაგრამ გუნება შემეცვალა და აღარ წავსულვარ... ჯიუტი ვიყავი, ახლაც ჯი-უტი ვარ. გაცხადებული პოზიცია არ მქონდა, მაგრამ ჩემს შინაგან მრწამსს არ ვდალატობ-დი და არც არაფერს ვთმობდი. ახლაც „რა გინდ რომ აეი მომკრძონ, ბილწო არ შავეპ-რი ზავითა“... თუ თავისუფალი არ ვარ, რასაც ვაკეთებ, იმ საქმეში, დაუმორჩილებელი ვხდე-ბი, განზე გადგომა ვიცი. მეუბნებით, ახლაც გამდგარი ვარ გვერდზე? ასე ხედავთ?..

ისეთ უბანში ვცხოვრობდი, როგორც ნა-თესავები, ისე ვიყავით ყველანი. სხვა იყო, სხვა... დიდი გაჭრებება იყო, მაგრამ ადამია-ნური სითბო მეტი გვქონდა. არ ვიცი, ახლა მე განვკუროვდი და მარტო დავიტოვე ჩემი თა-ვი, თუ აღარ მესმის ამ ქვენისა... ერთ ოჯახს რომ სტუმარი კულებოდა, მთელი ეზოს სტუ-მარი ხდებოდა. ახლა სურვილიც აღარ არის, გავიგო, ვინ ცხოვრობს ჩემს სადარბაზოში... რისი ბრალია ეს? მე კი ვხვდები, რისი ბრა-ლია. სასტიკი გაუცხოება მოხდა. ამას ხელი შეუწიყო ჩაჭერილმა სადარბაზოებმა, რინის კარებმა, საჭრიტინოებმა...

### ლელა პირავალი

მარჯანიშვილის თუატრის წინ გარსკვლავის განხნაზე თხეგიზ არჩევამის დასათანხმებლად ცხრა წელიწადი დასჭირდათ



## 6 კი კოშკალიშვილი:

### შენი ქვეყნის წარსულის კარბალ ცოდნა პატრიოტიზმია

„ერუდიტში“ სტუმრობას ბეჭრი ცნობილი სახე შეგნებულად გაურბის. საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობების სააშკარაოზე გამოტანა არ სურთ, ეს გასაგებიცაა. მსახიობი და ტელეწამყვანი ნუკი კოშკელიშვილი კი მაშინვე დამთანხმდა. მას არაერთი საყფარელი მწერალი ჰყავს და ოურმე ისტორიულ ნაწარმოებებსაც კითხულობს, განსაკუთრებით კი რელიგიის ისტორია აინტერესებს. ამბობს, რომ ცნობილ აღმიანთა გამონათქმებსაც „აგროვებს“. მეტიც, ბეჭრი მათგანი ზეპირადაც იცის.

— ისტორიული უანრის ლიტერატურა ყოველთვის ძალიან მომწონდა. ერთი პერიოდი ეგვიპტის ისტორიითაც ვიყავი გატაცებული, ბეჭრს ეკითხულობდი. რამდენჯერ ისიც მითქმას, რომ ძველ ეგვიპტეში XXI საუკუნე კარგა ხნის წინათ დადგა, — ეგვიპტელები ცხოვრების წესით იმდენად უსწრებდნენ დროს.

— შენი აზრით, წარსულის ცოდნა რატომ არის ასე ძალიან მნიშვნელოვანი?

— მიმაჩნია, რომ ყველა საკუთარი ქვეყნის პატრიოტი უნდა იყოს. პატრიოტიზმი მხოლოდ ის არ არის, შენი ეზო, სახლი და

მეგობრები გიყარდეს. მეგობარი შეიძლება სულაც სხვა ქვეყნაში ცხოვრობდეს და მაინც გიყარდეს... პატრიოტიზმი შენი ქვეყნის წარსულის კარგად ცოდნაა. ადამიანში სამშობლოს სიყვარულს სწორედ ეს აღრმავებს. შენი ქვეყნის განვითარების ცოდნით ითავისებ, როგორია შენი სულისკვეთება, ხედები, როგორი ხარ შენ... გენეტიკისა ძალიან მჯერა. არადა, რამდენი სახელოვანი წინაპარი გვეყლია. პათეტიკაში ნუ ჩამომართდევ და მინდა, ამ სახელოვანი წინაპარების სახელოვანი შთამომავლი ვიყოთ.

- გამორჩეულად რომელი ისტორიული გმირი გივგრის?

— ისტორიაში იდეალური გმირები, ისევე როგორც ცხოვრებაში იდეალური ადამიანები, არ არსებობენ. მიძახნია, რომ რაღაც ადამიანი ისტორიაში შევიდა, რაღაც ისეთი გააკეთა, ეს დაიმსახურა. თანაც, შევიღობა ხომ ომის გარეშე არ არსებობს. ძალიან მომწონს მაკიაველი, მისი შექცეულებები და გამონათქვამები.

— ამ ომში 72 ქვეყანა მონაწილეობდა. რომელ ომშე ლაპარაკი?

— საქართველოც?

— დიახ, ჩვენმა ქვეყანამ ძალიან დიდი დანაკლისი განიცადა.

— II მსოფლიო ომი.

— რომელი ცნობილი მხედართმთავარი არ მართავდა ბრძოლას დამის საათებში, რაღაც მიიჩნევდა, რომ დამით მიღწეული გამარჯვება მოპარული იყო?

— ვერ გიპასუხებ.

— მიგანიშნებ, ის ძველი წელთაღრიცხვის 336-323 წლებში ცხოვრობდა.

— ალექსანდრე მაკედონელი ხომ არა?

— გამოიცანი. 10 წლისა იყო ალექსანდრე, როცა ერთმა ვაჭრობი მამამისს ცხენი მიპეგრუა, მაგრამ იმ ცხენის მოთვინიერება ვერავინ შეძლო. ფილიპე მის უკან დაბრუნებას აპირებდა. ამ დროს მოთვინიერება ალექსანდრემ სცადა. შეამჩნია, რომ ცხენს საკუთარი ჩრდილისა ეშინოდა, მზისკენ შეაბრუნა და ისე დაიმორჩილა. რა დაარქვა მან თავის საყვარელ ცხენს?

— ბუცეფალი.

— ტრადიციისამებრ, რა ნიშანს იძლევიან საკამატოდან ტაძარში შეკეტილი კარდინალები ახალი პაპის არჩევის ნიშნად?

— როცა საკამატოდან თეთრ კვამლს უშევებენ, იმის ნიშანია, რომ ახალი პაპი აირჩიეს, თუ არა და შევი კვამლი ამოდის.

— რა თანამდებობა ეკატეტ ძევების უშევებების მის ნიშანია, რომ ახალი პაპი აირჩიეს, თუ არა და შევი კვამლი ამოდის.

— რა თანამდებობა ეკატეტ ძევების უშევებების მის ნიშანია, რომ ახალი პაპი აირჩიეს, თუ არა და შევი კვამლი ამოდის?

— არ ვიცი.

— თუთიერში არაფერს მიგანიშნებს?

— ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, თუთიერში არის ფრინველი, რომელიც იმეორებს იმას რაც ესმის. ეს რომ პროფესიებს შევადაროთ (პაუზის შეძლევა)... თარჯიმნები ხომ არ იყვნენ?

— გამოიცანი. რა ერქვა ქალაქს, რომლის ადგილზეც ახლა მკლარი ზღვა?

— სოდომი.

— ვინ არის ავტორი მემორიალისა „კი-ლევაც დაიზრდებან“.

— ვერ ვიხსენებ.

— მერაბ ბერძენიშვილი. რა იყვნენ ქრისტესთვის სახარების ავტორები მათე, მარკოზი, ლუკა და ოთანე?

— მოწაფებები.

— მუსლიმთა რომელი სალოცავადა იმ კლდეზე აგებული, საიდანაც გადმოცემით მუკამედი სამოთხეში ავიდა?

— ვერ გეტევი.

— ომარის მეტეთი. პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველი ქართველი სტუდენტი?

— ვერც ამას ვიხსენებ.

— მიგანიშნებ, ის 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობდა. დააპატიმრეს და გადაასახლეს. 31 წლის ასაკში ჰლექით გარდაიცვალა.

— სჯობს თავად მითხრა, ვისხეა ლაპარაკი?

— სოლომონ დოდაშვილზე. დაალაგე ამები თარიღების მიხედვით ბაზალეთი, დიდგორი, გარნისი, კრწანი.

— ჯერ დიდგორის ბრძოლა იყო, შემდეგ — გარნისის, ბაზალეთისა და ბოლოს, კრწანისის.

— დაასახელე თარიღი ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ერცჟერცოგის ფრანც ფერდინანდის სარავეოში მკვლელობისა, რაც იქცა I მსოფლიო ომის დაწყების საბაბად.

— 1914 წლს არ დაიწყო?

— დაახ, ვინ იყო ფრანც ფერდინანდის მკვლელი?

— არ მახსოვს.

— გავრილო პრინციპი. რა ერქვათ მარიამ ღვთისმობდლის მშობლებს?

— ვიცოდი და უნდა გავიხსენო (ფიქრობს), იოაკიმე და ანა.

— ამ დიდი მხედართმთავრის გადმისევნების ცერემონიალზე, როცა ცხენებშებმული ლაფეტი მოაგორეს, ხალხმა და ვეტერანმა ჯარისკაცებმა (ცხენები ჩახსნეს და თავად შეებნენ. ასე მიაგეს პატივი მხედართმთავრის კაცომოვებრობას და სიკეთეს. ვინ იყო ეს მხედართმთავარი?)

— არ ვიცი.

— პეტერ ბაგრატიონი. რა პქვა საეკლესიო წესების კრიბულს?

— ტიპიკონი.

— რა სიტყვები ეწერა დედოფალ პითიას ტაძარზე, რომელსაც ხშირად არასწორად მიაწერნ ხოლმე სოკრატეს?

— ვერ ვიხსენებ.

— „შეიცან თავი შენი“. რომელმა წმინდანმა იცხოვრა საბ-ნახევარ საუკუნეზე მეტი იქსოს ხილვის მოლოდინში?

— წმინდა სვიმეონ მიმრქმელმა.

— „კვირა“ ბერძნული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს...

— არ ვიცი.

— საუფლოს.

— გაფიფიქერე, ვნანობ, რომ არ გითხარი.

— ამერიკულები ამაყიბენ იმით, რომ მათ არც ერთ პრეზიდენტს არ ჰქონდა ეს კოსმეტიკური ნაკლი. რა აქვთ მათ მხედველობაში?

— არ ვიცი, მაგრამ იქნებ გამოვიცნო, გთხოვ, მინიშნება მითხარი.

— ზოგიერთს ეს „კოსმეტიკური ნაკლი“ უხდება კიდეც.

— ვერ ვხვდები, მაგრამ ნუ მშველი, ცოტა ხანს ვიფიქრებ. ხაოჭი არ იქნება, სათვალე? არც სათვალე იქნება. მელოტები არ იყვნენ?

— გამოიცანი. ვინ წარუდგვა საქართველოს ძლევამოსილ ლაშქარის ბასინის ბრძოლის წინ?

— თამარ მეფე, ამბობდნენ ფქშიშველი მიუძღვდათ.

— გრიგოლ ბაკურიანის მიერ დაარსებული რომელი ცნობილი მონასტერი მდებარეობს ბერების ტერიტორიაზე?

— პეტრიწონის.

— „მწერლები რომ მხოლოდ თავისი ეპოქისთვის წერდნენ, მე დავამტვრევდი ჩემს კალამს და შორს მოვისვრიდი მას“. ვის ეკუთვნის ეს სიტყვები?

— დაუმა იქნებოდა!

— მართალია. აკაკი შანიძის მთის კილო-თა ლექსი კონის მიხედვით, როგორ აღამიანს უწოდებდნენ ფშავში უბედოს?

— დაუქორწინებელს, არა?

— ცდები.

— ვერ ვხვდები, როგორს უწოდებდნენ?..

— უძეოდ გარდაცვალებულს. რომელ მეუქნე წერდა ლეონტი მროველი: „ამან განავრცო ენა ქართული და შექმნა მწიგნობრობა ქართული“?

— ფარნავაზზე.

— 1865 წელს ლონდონში გარდაიცვალა ცნობილი სამხედრო ქირურგი ჯეომს ბერი. ის არ-

ისტორიაში იდეალური გმირები, ისევე როგორც ცხოვრებაში იდეალური ადამიანები, არ არსებობენ... ძალიან მომწონს მაკიაველი, მისი შეხედულებები და გამონათქმამები.

მიის გენერალური სამედიცინო ინსპექტორი გახლდათ ის იყო საჯელე პოსპიტალში პიგი-ნის ნორმების ერთ-ერთი პირველი დამხერგავი. ცნობილი იყო, როგორც ჩხუბისთავი. მისი გარდაცვალების შემდეგ ლონდონის მაღალ საზოგადოებაში გრანდიოზული სკანდალი ავირდა, მაგრამ თავდაცვის სამინისტრომ ამბის მიჩრუათება მოახერხა. რით განსხვავდებოდა ჯეომს ბერი თავისი სამხედრო კოლეგებისგან?

— რომელმე დაავადება აღწერა?

— არა.

— რამე გამოიგონა?

— იგი ქლი იყო! იმ პერიოდის ბრიტანეთში აკრძალული იყო, საჯელე პოსპიტალში ექიმის მოვალეობა ქალს შევსრულებინა. ჯეომს ბერი სქესს მაღალადა, ყველას მამაკაცი ვორნა... ეს ცნობილი ინგლისელი მოღვაწე კა მეტარებში წერდა, რომ შშობლები არასდროს მიუერებიან. სამაგიეროდ, ძიძას აღმერთებდა და საკუთარ კაბინეტში, წლების განმავლობაში, მისი სურათი ეკიდა. ვისტეა ლაპარაკი?

— ჩერჩილი ხომ არა?

— გამოიცანი. ერთხელ ჩერჩილს პკითხეს, რით განსხვადება სტალინი პიტლერისგანო. მისი ბასები ერთსიტყვიანი იყო.

— ვერ გეტშვარი...

— უდღაშით შსოფლიოს შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი ბაბილონის დაკიდებული ბადები მეფე ნაბუქოდონისორ II-მ ააგო...

— (მაწვეტინებს) მეუღლეს დიდი სიყვარულის ნიშანად უძღვნა.

— ამასთან დაკავშირებით არაერთი ვერსია არსებობს. იმ ბაბილონ დღეს აღარაფერია დარჩენილი. ახლა რომელ ქვეყანას ეკუთვნის ის ტერიტორია, სადაც ბაბილონის ბაღები იყო?

— თუ არ ვცდები, ერაყის ტერიტორიაზეა.

— დაასრულე კონფუციის ცნობილი გამონათქმამი: „როცა ხვდები, რომ მიზანს ვერ აღწევ, ნუ შეცვლი მიზანს...“

— ....შეცვალე ნაბიჯები“.

**თამარ პვილიკაძე**

# ეფიცერების ილუსტრირებული სათავე



**457** ძველ მსოფლიოში ნილოსი ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარე იყო. ის ეგვიპტელების სამცელი და სარწყავი წყლით ამარაგებდა და ეს ბერძნებმა და რომელებმაც იცოდნენ. ძველმა მოგზაურებმა არაერთხელ სცადეს, გაეცო, საიდან მოედინებოდა ნილოსი, მაგრამ ყოველთვის რაღაც უშლიდდათ ხელს. ძველმა ბერძნებმა გეოგრაფმა პტოლემე კლავდიუსმა შეადგინა რუკა, რომელზეც მიუჰითია, რომ ნილოსი შუა აფრიკაში მდებარე ერთი დიდი ტბიდან იღებდა სათავეს.

▲ ჯონ სპიკი ჩინებული ნატურალისტი იყო. სადაც წავიდოდა, ყველგან აქეთებდა ჩანაწერებს და აღწერდა, სად რა ნახა.



▲ რიჩარდ ბარტონი იყო ინგლისის არმიის ოფიციერი, რომელმაც 29 ენა იცოდა.

**458** XIX საუკუნის დამდეგს მკვლევრები მდინარე ნილოსის სათავის ძებნას შეუდგნენ. 1856 წელს ორი ბრიტანელი მოგზაური — რიჩარდ ბარტონი და ჯონ სპიკი გაეშურნენ მის მოსამართნად. მთელი აურიკა ფეხით მოიარეს, რათა ის დიდი ტბა ეპოვათ, მაგრამ მაღალ ორივე კოლოს ნაკბენისგან მაღარით დაავადდა. ბარტონი ისე დასუსტდა, რომ იძულებული შეიქნა, მოგზაურობა მცირე ხნით შეწყვიტა.


▼ ნილოსი მსოფლიოს უდიდესი მდინარეა. ის მთელი ეგვიპტის ნახევარუდაბნოების გასწორების მიედინება.



# 500 ფაზი ისტორიიდან / მკვლევრები

გაგრძელება. დასაწყისი „ისტორიანი“ №7-30 • ნაწევები წიგნიდან „500 ფაზი ისტორიიდან“

► პტოლე-  
მე კლავ-  
ლიუსი  
მართლი  
ყოფილა —  
ნიღოსი  
მართლაც  
დიდი ტბიდან  
იღებს სათავეს  
აფრიკის შუაგულში. ეს  
არის ტბა ვიქტორია.



**459** ჯონ სპიკერა აღმოაჩინა უზარმა-  
ზარი ტბა, რომელსაც ვიქტორია უწოდა.  
იგი დარწმუნებული იყო, რომ ნიღოსი  
სწორედ მისგან იღებდა სათავეს. სპიკე  
ბრიტანეთში დაბრუნდა და ყველას უმპბო,  
რომ მდინარის სათავეს მიაკვლია. ამან  
ბარტონი საშინლად გააცხარა.  
სპიკერ აფრიკაში დაბრუნდა, რათა  
ტბა კარგად შეუსწავლა და  
იპოვა კიდევ ადგილი,  
საიდანაც ნიღოსი  
გამოედინება.

**460** ამასობაში კიდევ ორი მკვლე-  
ვარი მიუჟვებოდა ნიღოსს სათავის  
საპოვნელად — ცოლ-ქმარი სამუელ და  
ფლორენს უაიტ ბეიჭრები. 1864 წელს  
ისე შორს გაცურუს ნიღოსში, რომ სპიკე  
შეხვდნენ, რომელიც სულ სხვა გზით  
ბრუნდებოდა უკან. საიდუმლო, საიდან  
იღებდა ნიღოსი სათავეს, ერთხელ და  
სამუდამოდ გამჟღავნდა.



# კუსტორალის გენეზისი

► დიჯერიდუ ხისგან გამოთლილი, თავიდან ბოლომდე დახვრუტილი მუსიკალური ინსტრუმენტია.

დიჯერიდუ აბორიგენი ხალხის ისტორიული კულტურის განუყოფელი ნწილია.



**461**

ავსტრალიაში ადამიანები 50 ათასი წლის წინ დასახლდნენ. აბორიგენი მოსახლეობა მას შემდეგ იქ ცხოვრობს. 400 წლის წინ, XVII საუკუნის დასაწყისში, ევროპელმა მეზღვაურებმა ავსტრალიის შესწავლა დაიწყეს. დიდი ბრიტანეთი ავსტრალიას თავის საკუთრებად მიიჩნევდა და ამიტომ უამრავი ბრიტანელი გაემგზავრა იქ.

**462**

ევროპელი ახალმოსახლეები დარწმუნებული იყვნენ, რომ ავსტრალიის შუაგულში დიდი ზღვა იყო. 1844 წელს ჯარისკაცი ჩარლზ სტარტი მის საქანელად გაეშურა და დაადგინა, რომ ავსტრალიის შუაგულში ცხელი და შრრალი უდაბნო იყო. მისმა მხლებლებმა შის დამწვრობა მიიღეს და სურავანდით დააგადინენ, ფრჩხილები მტკერივით ეფშვნებოდათ. თავად სტარტი კინალამ დაბრძავდა, მაგრამ დაამტკიცა, რომ მითური ზღვა არ არსებობდა.





**463**

ავსტრალიის შეა ნაწილში ისე ცხელოდა, რომ მგზავრობა ჭირდა. მთავრობას უნდოდა ტელეგრაფის ხაზები გაეყანა ავსტრალიაში, რათა ევროპაში შეტყობინების გაგზავნა შესძლებოდათ. გამოცხადდა კონკურსი ავსტრალიის სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ კაბელების გასაყვანი მარშრუტის აღმოსაჩენად. გამარჯვებული 2000 გირვანქა სტერლინგით დაჯილდოვდებოდა, რასაკეირველაა, თუ ცოცხალი დაბრუნდებოდა.

464

გადაწყვიტა ჯილდო მოექოუბისა. 1860 წელს  
ის ცხენებით და აქლემებით გაუდგა გზას.  
მას თან ახლიდნენ თანაშემწერ ჯორჯ ლანდელ-  
სი, ასტრიონიმი უილიამ უილსი და ბოტანი-  
კოსი და ექიმი გერმან ბეკლერი. ექსპედიცია-  
ში სულ 19 კაცი იყო. უკან დაბრუნებისას  
საკების მარაგი აღარ ჰქონდათ და ყველანი  
(მათ შორის – ბერკი და უილსი) შძმშილით  
დაიხოცენ, მხოლოდ ერთი – ჯონ კინკი  
იპოვეს აბორიგენებმა ცოცხალ-მკვდარი და  
სიკვდილს გადაარჩინეს.

▼ ბერება და უილსმა ორმოცხვე მეტი  
ცხენი და აქლემი წაიყვანეს ექსპედიციაში.  
აქლემები ინდოეთიდან ჩამოიყვანეს, რადგან  
ეს ცხოველები კარგად გუებიან ცხელ  
კლიმატს.



▲ მხოლოდ სტიუარტის ექსპედიცია დამთხვერდა წარმატებით. მისმა მოგზაურობამ დასაბამი მისცა აკსტრალიაში ზალხის დასახლებასა და მიწათმოქმედებას.

465

შეუცადა, ბერკს ჯილდოს შესცილებოდა.  
ჯონ მაკლაუელ სტუარტი სულ სხვა  
გზას დაადგა — ბერკის მარწმუნებისგან  
შორს, დასავლეთისკენ. ბერკისგან  
განსხვავდით, შინ, ადელაიდაში დაბრუნ-  
და, მაგრამ ძლიერ გადაურჩა სიკვდილს —  
ისე იყო დასუსტებული, რომ ჯილდოს  
მისალებად საკაცით წაიკვანეს.

## უკასუე პითევებს

აბორიგენები გადაღნენ, რაღაც იცოდნენ, რა ეჭამათ და სად მოქალაქებინათ საკვები. ამ საკვები-დან რომელი შეეძლოთ ეჭამათ ბერკის თანამგზავ-რობი?

1. წიწვოვანი ბუნია-ბუნიას გირჩის კაქლები
  2. მატლები
  3. წყალმცენარეები
  4. სირაქლემას კვერცხები
  5. ჰელური თაფლი

· ၁၃၂ · မာတ္တန်ဖော် အမှားအသွေးပို့ဆောင်ရေး ဝန်ကြီးခွဲ

# პრეტიკის მკვლევრები

**466** არქტიკა არის ჩრდილოეთ პოლუსის ირგვლივ მდებარე ზელენი და ზღვა. მკვლევრები პირველად იქ იმისთვის გაემგზავრნენ, რომ ატლანტის ოკეანიდან წენარი ოკეანისკენ მიმავალი ჩრდილო-დასავლეთის გასასვლელი მოეძებნათ. ამას 400 წელიწადი დასჭირდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი მკვლევარი დაიღუპა სიცივისგან ან ჩრდილოეთის ყინულოვან აკეთების დაიხრჩო.

**467** ნორვეგიელი მკვლევარი რუალ ამუნდსენი იყო პირველი, რომელმაც ჩრდილო-დასავლეთის გასასვლელი გაარა. ამუნდსენი ექსპედიციაში პატარა თევზსაჭერი იალქნიანი ხის ახტით გაემგზავრა, რამაც გაუადვილა წეალმარჩხ გასასვლელებსა და მოტივტოვე ყინულებს შორის ცურვა. მოგზაურობას სამი წელიწადი დასჭირდა. 1903-1906 წლების არქტიკულ ექსპედიციაში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ასწავლეს, როგორ დაეცვა სიცივისგან თავი.

**468** ჯერ კიდევ იყო არქტიკაში ადგილი, სადაც არაეს დაედგა ფეხი. ეს იყო ჩრდილოეთი პოლუსი. მეორე ნორვეგიელმა მკვლევარმა ფრიტიოფ ნანსენმა ააგო გემი, სახელად „ფრამი“, რომელიც ისე იყო დაპროექტებული, ყინულებს შორის მოქცეული, დრეიფით დინებას მიჰყვებოდა ჩრდილოეთ პოლუსისკენ. მაგრამ 1895 წელს „ფრამი“ ისე ახლოს ვერ მივიდა პოლუსთან, როგორც ნანსენი იმედოვნებდა.

► ფრიტიოფ ნანსენის გემი „ფრამი“ ისე იყო აგებული, რომ როგორც კი ყინულებს შორის მოექცეოდა, ოდნავ ზემოთ იწვედა. ეს კი გემს საშუალებას აძლევდა, უსაფრთხოდ ეცურა ჩრდილოეთ პოლუსისკენ.




**469**

მოგვიანებით ჩრდილოეთი პოლუსისექნ გაემგზავრნენ ამერიკელი რობერტ პირი და მისი ასისტენტი მეთიუ პენსონი. პირი ოცნებობდა, თვად ყოფილი ყო პირველი თუთრკანიანი, რომელიც ჩრდილოეთ პოლუსს დაიპყრობდა. ორჯერ განცდილი მარცხის შემდეგ, 1909 წელს, მან ინუიტი მეგზურებითა და ძაღლებშებმული მართლებით ჩრდილოეთ პოლუსს მიაღწია.



**470**

ექიმი, ბიზნესმენი და პოლარული მკვლევარი ფრედერიკ კუკი საზოგადოებას არწმუნებდა, რომ პირიმდე ერთი წლით ადრე — 1908 წლის აპრილში მიაღწია ჩრდილოეთ პოლუსს. პირი გააიგნა კუკის განცხადებამ და დაიწყო ხანგრძლივი პოლემიკა მკელევრებს შორის. ბოლოს და ბოლოს, ნათელი შეიქნა, რომ კუკი ცორუობდა. მას შემდეგ არავის სჯეროდა, რომ ის ჩრდილოეთ პოლუსზე მართლაც იმყოფებოდა.



▲ პირიმ და პენსონმა მოგზაურობის დროს სელაპის ტყევისან შეეკრილი ტანსაცმელი გამოიყენეს და ინუიტ მეგზურებს გასამრჯელოც გადაუხადეს აღჭურვილობითა და ტანსაცმლით მომარაგებისთვის.



დაუჯერებელია!

ზოგიერთი ექსპერტი ფიქრობს, რომ პირი სინამდვილეში ჩრდილოეთ პოლუსამდე არ მისულა. თუ ასეა, მაშინ პირველი ადამიანი, ვინც ჩრდილოეთ პოლუსამდე ფეხით მივიდა, ინგლისელი უოლი პერბერტი იყო.

# ანტარქტიკის მკვლევრები

**471** ანტარქტიკა 200 წლის წინ შეისწავლეს. ეს დიდი და მთაგორიანი კონტინენტი დედამიწის უკიდურეს სამხრეთში მდებარეობს. ის არქტიკაზე გაცილებით ციფრი და საშიშია. XX საუკუნის დამდეგს რობერტ სკოტმა და ერნესტ შეკლტონმა სცადეს სამხრეთ პოლუსზე მისვლა, მაგრამ უშედეგოდ. 1909 წელს შეკლტონმა 155 კილომეტრი გაიარა, მაგრამ იძულებული გახდა, უკან დაბრუნებულიყო.

▼ ოუ ძაღლი მოკვდებოდა ან დასუსტდებოდა, მის ხორცის დარჩენილი ძაღლებისა და ექსპედიციის წევრების საკვებად იჭენებდნენ.

**472** 1910 წელს ბრიტანელმა მოგზაურმა და მკვლევარმა რობერტ სკოტმა გადაწყვიტა, ისევ გასდგომოდა გზას სამხრეთ პოლუსისკენ. მან ბარგის წასაღებად მოტომარზილები და მანჯურიული პონები გამოიყენა. სკოტი ანტარქტიკაში კლიდის ნიმუშების აღებას აპირებდა, რათა უკან დაბრუნებულს შეესწავლა.

**473** ამასობაში პოლუსისკენ რუალ ამუნდსენი გაემგზავრა. მან გადაწყვიტა, სისწრაფეში გასჯიბრებოდა რობერტ პირის და მასზე ადრე მისულიყო სამხრეთ პოლუსზე. სკოტისგან განსხვავებით, ამუნდსენის ექსპედიცია ძაღლებშებმული ოთხი მარზილით მგზავრობდა.



**474**

1911 წელს სკოტმაც და ამუნდსენმაც მიაღწიეს ანტარქტიკას და სამხრეთი პოლუსისკენ გაემართნენ. პირველად ამუნდსენი მივიდა თავისი ძალლებით. სკოტის მოტომარზილები დაზიანდა, პონებმა კი სიცივეს ვერ გაუძლეს და იძულებული შეიქნენ, დაქორცათ მოგზაურები მძიმე მარხილებს გაჭირვებით მიათრევდნენ. დაღლილ-დაქანცულები მხოლოდ იმიტომ მიიწვევდნენ წინ, რომ გაეგოთ, მივიდა თუ არა ამუნდსენი პოლუსზე. უკან დაბრუნებისას სკოტი და მისი თანამგზავრები ქარბუქში მოხვდნენ. მალე საკვებიც გამოელიათ და შიმშილისა და სიცივის-გან დაიხოცნენ.



▲ როცა სკოტის გუნდმა სამხრეთ პოლუსს მიაღწია, ფოტოები გადაიღეს. სახურავების ეტყობა, რომ დაღონებული არიან, რადგან პირველებმა ვერ მიაღწიეს პოლუსამდე.

**475**

ერნესტ შეკლტონი არასოდეს მისულა სამხრეთ პოლუსამდე, მაგრამ ძალიან საინტერესო თავგადასავალი გადახდა ანტრაქტიკაში. 1914 წელს ანტარქტიკას დალაშქერა გადაწყვიტა, მაგრამ სანამ მოგზაურობას შეუდგებოდა, მისი გემი „ენდიურანსი“ ყინულებმა დააზიანა და ეკიპაჟი სამი მაშელი ნავის ამარა დარჩა. შეკლტონმა ეკიპაჟი კუნძულზე დატოვა, თვითონ კი პატარა ნავით დახმარების საძებნელად წავიდა. სანამ სოფელს იპოვიდა, შტორმიანი ოკანე და ყინულოვანი მთა გადალახა. მისი ეკიპაჟის ყველა წევრი გადაარჩინეს და შინ უვნებელი დაბრუნდნენ.





	1	2	3
	მეცე ... II ძუამალატი	საგარეულოს, ქადაჭის ხაზილი	ჯარიბის მართვის ორგანიზაცია
	5	4	
	პირების ქადა ჯარების მოწყვეტილე	აშენებანის პრეზიდენტი	
8		6	7
ძელი ინდუსტ სამუშალო ქა		სიკეთის მოწყვეტილე	პრეზიდენტის გადაცემის პროცედურა
10		9	
თერქიტის პრეზიდენტი		პრიმორია	
	11	12	
	კუვას დადა თვედი ... დოლარუკი	ლაშქარი მებრძოლე	
		13	
		კუვას ურთ- ერთი დამარსხული	
14	15	16	
ქათალი ცე საზოგადოება	ლაშქარის ფლეჭულატი	პუშკინის შეკვეული	
	17	18	19
ქადაჭი საფრანგეთში		სერბიას პრეზიდენტი	წერილი და მდგრადი ციფ
20	21		22
ბოლგარის პრეზიდენტი ... მონალეკი	გორგე საეპის შემძლეული სიკეთი		მემკვე- ლის მიწაზე მცხოვრიბი განტი
	23		
		24	
		ტაძარი ტაო- კლავეტში	კარჩაგმენი საზოგადო- რიგი ჯაუფა
25	26		
ავ-ის კომისიის ცნობი	„წინაა წინა“		

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანდალის პასუხი:

- დაღასი;
  - ელიტა;
  - სამანი;
  - ვოლფი;
  - განდი;
  - ბარი;
  - ბულა;
  - გარიბალდი;
  - ფიურური;
  - აა;
  - რეგილია;
  - კარო;
  - ოუდ;
  - ტრანდიცია;
  - აიდაპი;
  - ტაძარანდი;
  - გინე;
  - ებისარი;
  - გერბი;
  - და;
  - ბრაილი;
  - დოპა;
  - ოლღა;
  - ლიი;
  - რომი.
- სურათზე: დევიდ ჰემერინი.